

აფეთქება კაიროს ქუჩაზე

A2



ვინ იპოვის გამარჯვების ფორმულას?

A6



პრეზენტაცია სამი თვის დაგვიანებით

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 28 ოქტომბერი, 2006 წელი. №240 (1392)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი
40 52 22

# პარტიულ დაპირისპირებას შეწირული "საერთო საქმე"

*სამშაბათს, როდესაც ოპოზიციამ ბოიკოტი შეწყვიტა და შვიდთვიანი პაუზის შემდეგ პლენარულ სხდომებზე დაბრუნდა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა იმედი გამოთქვა, რომ უმრავლესობისა და მათი პოლიტიკური ოპონენტების თანამშრომლობას ამიერიდან კონსტრუქციული ხასიათი ექნებოდა. ვიცე-სპიკერის სურვილი არ ახდა: სახელისუფლებო ფრაქციის ზოგიერთმა ლიდერმა ცდუნებას ვერ გაუძლო და "დიდი შერიგებიდან" უკვე მესამე დღეს ოპოზიციის მისამართით შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა. ვალში არც ოპოზიციონერი დეპუტატები დარჩნენ და... პარლამენტმა თავისი ძველი, ჩვეული სახე დაიბრუნა.*

გიორგი ასანიშვილი

პირველმა "ზავი" ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილემ რატი სამყურაშვილმა დაარღვია. მან, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ კობა დავითაშვილის გარშემო აგორებული სკანდალის შემდეგ, ექსდეპუტატი ოპოზიციამაც გაწირა და კონსერვატიული პარტიის ლიდერის მიმართ მწვავე განცხადებები გააკეთა.

რატი სამყურაშვილის თქმით, მომხდარის გამო კობა დავითაშვილი სამუდამოდ უნდა გასულიყო პოლიტიკურ პენსიაზე, მაგრამ, ამის ნაცვლად, იგი თავს უფლებას აძლევს, საზოგადოების წინაშე ძალიან მაღალი ინტენსივობით გამოჩნდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კონსტიტუციის "ჭრა-კერვა"

*"კონსტიტუციის შეცვლა უნდა იყოს ძალიან რთული. ერთი მოწვევის პარლამენტში არ უნდა შეიძლებოდეს კონსტიტუციის შეცვლა. ამას ორი მოწვევის პარლამენტის თანხმობა მაინც უნდა სჭირდებოდეს", - აცხადებს პოლიტოლოგი გია ნოდია. გუშინ სასტუმრო "თორში", რესპუბლიკური პარტიის ინიციატივით, გაიმართა "მრგვალი მაგიდა", რომელზეც პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებების კანონპროექტი განიხილებოდა. პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა დიალოგის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და ექსპერტებს "რესპუბლიკელების" მიერ შემუშავებული მოსაზრებები გააცნო.*

ვერიკო თევზაძე

"რესპუბლიკური პარტიის" შეფასებით, კონსტიტუციური კანონის პროექტი - "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ", არის ნაბიჯი გადადგმული რუსულ-ბელორუსული მოდელიდან უზბეკურ-თურქმენული მოდელისაკენ. **"როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მის მიზანს წარმოადგენს ხელისუფლების შტოებს შორის შექმნას დამოუკიდებლობის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების ახალი საკონსტიტუციო გარანტიები. სინამდვილეში, პარლამენტის მიერ ამ კანონპროექტის მოწონების შემთხვევაში, მოხდება ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპის შემდგომი იგნორირება და ე. წ. მონოლითური ხელისუფლების ჩამოყალიბების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება - ნაბიჯი რუსულ-ბელორუსული მოდელიდან უზბეკურ-თურქმენული მოდელისაკენ,"** - განაცხადა პარტიის სახელით დავით უსუფაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რეპეტიცია გადამწყვეტი ბრძოლის წინ

A6





ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 28/10 | 29/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 19 |
| ბათუმი | 23 | 22 |
| სოხუმი | 22 | 19 |
| ქუთაისი | 23 | 22 |
| გორი | 17 | 17 |
| თელავი | 19 | 18 |
| ონი | 16 | 16 |
| ზუგდიდი | 23 | 22 |
| ახმეტა | 19 | 18 |
| სამტრედია | 24 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7390 |
| ევრო | 2.2056 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2829 |
| რუბლი | 0.0649 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# დღეს "24 საათში"




# კორუფციული სქემა საჯარო რეესტრში

## სამსახურს 65 თანამშრომელი გამოემშვიდობა

*იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 65 თანამშრომელი გუშინ სამსახურიდან გაათავისუფლეს. ასე დასრულდა სკანდალი, რომელმაც 19 ოქტომბერს იჩინა თავი.*

საქმე ის არის, რომ წლების განმავლობაში თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდა სააგენტოს ხელმძღვანელობას და საკუთარი არაოფიციალური განაწესით მოქმედებდა - სამსახურში მიღებული გადაწყვეტილებები, ხშირ შემთხვევაში, არ თანხმდებოდა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან და მათი მხრიდან სამსახურში წესრიგის დამყარების ნებისმიერი მცდელობა დღემდე უშედეგოდ სრულდებოდა.

19 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლებმა სისტემაში გამკაცრებული კონტროლი და განხორციელებული საკადრო ცვლილებები გააპროტესტეს და გაიფიცნენ. მოტივი კი სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის ახლად დანიშნული მოადგილე აღმოჩნდა, რომელიც, თანამშრომელთა მტკიცებით, ყველას შეურაცხყოფას აყენებდა. ამ გაფიცვის გამო სამსახურის მუშაობა რამდენიმე საათით პარალიზებული იყო. საჯარო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ, სიტუაცია დროებით განიმუხტა და სამსახურმა მუშაობა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა.

გუშინ კი გაირკვა, რომ 19 ოქტომბრის გაფიცვას სამსახურიდან 65 თანამშრომლის გათავისუფლება მოჰყვა. ინფორმაცია საკადრო გადაწყვეტილების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ჯაბა ებანოიძემ გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პარლამენტარი დანაშაულის ფაქტზე დააკავეს

*დასტური იმისა, რომ საქართველოს უკვე არახალი ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლის გზაზე საკუთარ თანაპარტიელებსაც არ დაინდობს, სახეზეა - "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი წარმომადგენელი, პარლამენტის უმრავლესობის წევრი გია ნუცუბიძე წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.*

პარლამენტარმა აღიარებითი ჩვენება, ფაქტობრივად, დაკავებისთანავე მისცა. სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, იგი ფაქტზე აიყვანეს და სპეცოპერაცია უმრავლესობის წარმომადგენლის დასაკავებლად წინასწარ ზედმიწევნით გახლდათ დაგეგმილი.

გია ნუცუბიძის დაკავებასთან დაკავშირებით ინფორმაცია, მართალია, ადრე გავრცელდა, მაგრამ მანამდე, სანამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა საგანგებო ბრიფინგი არ გამართეს, დაკავების დეტალები უცნობი იყო.

როგორც გაირკვა, გია ნუცუბიძე სამართალდამცველებმა 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, განათლების სამინისტროს შენობაში იმ დროს დააკავეს, როდესაც მას სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნისთვის ქრთამი - 50 ათასი ლარი უნდა გადაეცა. ეს თანხა მაღალი თანამდებობის პირისთვის შეთავაზებული ქრთამის ნაწილი გახლდათ.

თბილისის პროკურორმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, სკოლების რეაბილიტაციის ფარგლებში, განათლების სამინისტრომ ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისთვის სხვადასხვა ფირმასთან ხელშეკრულება გააფორმა. მათ შორის იყო ფირმა "ამაღლება-96".

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტარი დანაშაულის ფაქტზე დააკავეს

პირველი გვერდიდან

თბილისის პროკურორის განცხადებით, უმრავლესობის დეპუტატმა განათლების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირს სკოლებში რემონტის ჩატარებისთვის თანხის გამოყოფის სანაცვლოდ, ქრთამი შესთავაზა. გია ნუცუბიძე განათლების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირისგან თხოულობდა 2 მილიონი ლარის გადარიცხვას შპს "ამაღლება-96"-ისთვის და სანაცვლოდ ქრთამს - ხუთასი ათას ლარს სთავაზობდა.

განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შსს-ს.

შპს "ჰერმესის" გენერალური დირექტორი გია ნუცუბიძე პარლამენტში საპროცედურო და წესების საკითხთა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტების წევრი, ასევე, ავსტრიასთან მეგობრობის კომისიის ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ.

თბილისის პროკურორის განცხადებით, გია ნუცუბიძეს ბრალს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მეორე ნაწილით წაუყენებენ - "მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის ქრთამის მიცემა უკანონო ქმედების ჩასადენად", - ასეთია ფორმულირება დანაშაულისა, რომელშიც პარლამენტის უმრავლესობის წევრს დასდებენ ბრალს.

*24 საათი*

# ამაშუკელი ბათიაშვილის საქმეზე დაკითხეს

ყოფილი დეპუტატი, პოეტი რევაზ ამაშუკელი "მოდულის" შენობაში დაიბარეს და დაკითხეს. სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში ამაშუკელთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზუსტ მიზეზს ოჯახის წევრები ვერ აკონკრეტებდნენ. ყოფილ დეპუტატთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზეზს არც სამართალდამცველები ასახელებდნენ.

რა კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა რეზო ამაშუკელს მოგვიანებით, ერთსაათიანი დაკითხვის დასრულების შემდეგ, მისგან გახდა ცნობილი.

"კითხვები ირაკლი ბათიაშვილის საქმეს და მასთან განხორციელებულ სატელეფონო ზარებს შეეხებოდა. ირაკლი ბათიაშვილი არის ჩემი ახლობელი, მეგობარი, რომელსაც ტელეფონით ხშირად ვესაუბრებოდი", - განაცხადა დაკითხვის შემდეგ ამაშუკელმა. მისივე თქმით, სამართალდამცველებთან გასაუბრება აბსოლუტურად კორექტულად მიმდინარეობდა.

*24 საათი*

# „სახალხო ბანკმა" ალერგიის ცენტრს საჩუქრად სამედიცინო აპარატურა გადასცა



ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრმა "სახალხო ბანკისაგან" საჩუქრად სამედიცინო აპარატურისათვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკა მიიღო.

როგორც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორმა მაია გოთუამ განაცხადა, ალერგიისა და იმუნოლოგიის აქტივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფასთან და შესაბამისად, ბავშვთა და მოზრდილთა პაციენტებისათვის თანამედროვე საერთაშორისო დონის ალერგოლოგიური დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის უზრუნველყოფასთან. ამ მხრივ გვინდა დიდი მადლობა მოვახსენოთ "სახალხო ბანკის" დირექციას, მისი დირექტორის ბატონ გიორგი გოგუაძის მეთაურობით, იმ მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური დახმარებისათვის, რაც "სახალხო ბანკმა" გაგვიწია კომპიუტერული აღჭურვილობის გადმოცემის სახით. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სახალხო ბანკი გარდა მისი წარმატებული საბანკო საქმიანობისა, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს საქართველოში სოციალური პროგრამების მხარდაჭერისათვის. ამ მხრივ ჩვენი ცენტრისათვის სახალხო ბანკის მიერ გადმოცემული კომპიუტერები ნამდვილად სასარგებლო საქმეს მოხმარდება: პირველ რიგში უზრუნველყოფს პაციენტთა მონაცემთა ბაზების სრულყოფას, აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენი ცენტრის თანამშრომლები ავტორები არიან საქართველოში ერთ-ერთი პირველი ავადმყოფთა ელექტრონული ისტორიის პროგრამებისა; გარდა ამისა, ცენტრის საქმიანობა უკავშირდება სხვადასხვა დიაგნოსტიკურ სიახლეს, მათ შორის უახლესი ალერგოლოგიური და იმუნოლოგიური ანალიზატორის დანერგვას, რაც მრავალფაქტორულ მონაცემთა ანალიზს თხოულობს, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო ფართომასშტაბიანი კოჰორტული კვლევების წარსამართავად. ამ მხრივ, სახალხო ბანკის დღევანდელი საჩუქარი დიდი სტიმულია ჩვენი მომავალი თანამშრომლობისთვის "სახალხო ბანკთან", ეფექტური ერთობლივი სამედიცინო სოციალური პროექტების წარსამართავად, რომლის დებიუტიც დღეს წარმატებით დაიწყო.

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის განაცხადებით, აღნიშნული სახის დახმარება არ იქნება ერთჯერადი. გაგრძელდება ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობა და ბანკი მომავალშიც გაუწევს მათ სხვადასხვა სახის დახმარებას.

"სახალხო ბანკი" აგრძელებს სოციალური პროექტების განხორციელებას, რათა ხელი შეეწყოს რაც შეიძლება მეტ ადამიანს, ისარგებლონ როგორც საბანკო, ასევე სადაზღვევო და სამედიცინო მომსახურებით. შესაბამისად ბანკი მუდმივად ცდილობს იყოს არა მხოლოდ სოციალური პროექტების მომსახურე, არამედ მზრუნველი ბანკი და განახორციელოს რაც შეიძლება მეტი სოციალური პროექტი საზოგადოების კეთილდღეობისათვის."

# აფეთქება კაიროს ქუჩაზე

ისანი-სამგორის რაიონში, კაიროს ქუჩაზე ძლიერი აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად, მთლიანად დაინგრა ყოფილი ტაქსოპარკის შენობა, სადაც ჟანგბადის ბალონები იტვირთებოდა. დაზიანდა აფეთქების ადგილიდან ერთი კილომეტრის რადიუსში მდებარე შენობები, საცხოვრებელ სახლებში ჩაიმსხვრა მინები და დაზიანდა სახურავები.

ბოლო ინფორმაციით, უბედურ შემთხვევას შენობაში მყოფი შვიდი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აფეთქებული შენობის ნანგრევებიდან ამოყვანილი დაშავებულები პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაღუპულებიცა და დაშავებულებიც, სავარაუდოდ, ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლები არიან.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქების მიზეზი ჟანგბადის ბალონის აალება გახდა. მთელი დღის განმავლობაში აფეთქების ადგილზე მუშაობდნენ ექსპერტები, რომლებიც აფეთქების სიმძლავრესა და მიზეზს ადგენდნენ. სამართალდამცველებთან და სამაშველო ჯგუფებთან ერთად შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ მერიის საგანგებო სიტუაციების სამმართველოს თანამშრომლები.



სამაშველო სამუშაოები შემთხვევის ადგილზე.

ყოფილ ტაქსოპარკში, შპს "ბლიცი 44"-ის ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე გამოძიება უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს. თუმცა, გამოძიება ვერსიებზე ჯერჯერობით არ საუბრობს.

შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინეს მუშა-მოსამსახურეთა ძველი, 2003 წლით დათარიღებული სახელფასო უწყისი. მასში მითითებულია იმ პირთა გვარები, რომლებიც შპს "ბლიცში" მუშაობდნენ: გივი დათაშვილი, იულია ნიკოლაიშვილი, ვოვა არტიომენკო, სერგო პისარელი, ალბერტ ზარიძე და სანამოვი. თუმცა, ჯერჯერობით ვერავინ აზუსტებს, აღნიშნული პირები ამ ობიექტზე დღესაც მუშაობდნენ თუ არა და რომელიმე მათგანი აფეთქების შედეგად დაშავდა თუ არა.

აფეთქება ჟანგბადის სამუხტ საამქროში მოხდა და როგორც სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, არ არის გამორიცხული, აფეთქება დაუდევრობას და საამქროს ექსპლუატაციის ნორმების დარღვევას გამოეწვია, თუმცა ზუსტი მიზეზები დგინდება.

მერიის საგანგებო სიტუაციების სამმართველოს ხელმძღვანელის თემურ გიორგაძის განცხადებით, აფეთქება გამოიწვია უსაფრთხოების წესების დარღვევამ.

*24 საათი*

# ფინანსური პოლიცია საბაჟოზე არსებული კორუფციის წინააღმდეგ

*"საბაჟოზე კორუფციას ფეხი ძლიერად აქვს მოკიდებული", - განაცხადა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ მისი უწყების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ. საქმე ისაა, რომ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ სამშენებლო მასალების კონტრაბანდული წესით საქართველოში შემომტანი ფირმის ხელმძღვანელი და საბაჟოს თანამშრომლები დააკავა.*

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, შპს "მშენმასალების" ხელმძღვანელი სანდრო შარაშიძე 2004-2006 წლებში თურქეთიდან საქართველოში სისტემატურად ახორციელებდა სამშენებლო მასალების იმპორტს, თუმცა, გაყალბებული საბაჟო დოკუმენტაციის გამოყენებით, რითაც სახელმწიფოსთვის გადასახდელ თანხებს ამცირებდა. საგამოძიებო მასალების მიხედვით, სანდრო შარაშიძეს ბოლო ორი წლის განმავლობაში თურქეთიდან, დაახლოებით, 2,5 მილიონი ლარის ღირებულების საქონელი აქვს შემოტანილი და, ხსენებული მეთოდის გამოყენებით, მან სახელმწიფოს, სულ ცოტა, მილიონი ლარი დაუმალა.

ფინანსური პოლიცია აცხადებს, რომ შარაშიძეს დანაშაულის ჩადენაში მებაჟეები ეხმარებოდნენ. გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ 26 ოქტომბერს შარაშიძემ თურქეთიდან 27 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები შემოიტანა, თუმცა, ინვოისში ღირებულება 12 ათასი ლარით შეამცირა. რეგიონული საბაჟო "დასავლეთის" გაფორმების ჯგუფის ინსპექტორმა გენადი კონცელიძემ არ გადაამოწმა ტვირთი და გაყალბებული ინვოისით განაბაჟა.

ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით, კერძოდ, სატელეფონო მოსმენებით ირკვევა, რომ ეს "ოპერაცია" შარაშიძეს საბაჟოზე 3 ათასი ლარი დაუჯდა. კონკრეტულად რომელმა მებაჟემ აიღო ქრთამი, ეს საკითხი გამოძიების სტადიაშია.

დაკავებული მებაჟე გენადი კონცელიძე და იმპორტიორი სანდრო შარაშიძე წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილები. ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ბათუმში მდებარე შარაშენიძის კუთვნილ ოფისს, საწყობსა და მაღაზიას ლუქავენ.

**"საგამოძიებო მასალების მიხედვით, შარაშიძეს ორი წლის განმავლობაში თურქეთიდან, დაახლოებით, 2,5 მილიონი ლარის ღირებულების საქონელი აქვს შემოტანილი. თუმცა, გაყალბებული ინვოისების მეშვეობით, მან სახელმწიფოს, თითქმის, მილიონი ლარი მაინც დაუმალა, რაშიც მას მებაჟეები ეხმარებოდნენ",** - განაცხადა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ.

ფინანსურმა პოლიციამ კონტრაბანდის სხვა ფაქტზე კიდევ რამდენიმე პირი დააკავა. დაკავებულები არიან ავტობუსის მძღოლი, საქართველოს მოქალაქე ვავილონ ლეონოვი და მებაჟეები - ინსპექტორი ირაკლი არობელიძე და ცვლის უფროსი ევგენი ესაძე.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ლევან მხეიძის განცხადებით, საბაჟოზე კორუფციის ფაქტები საკმაოდ ხშირია.

**"ამ ადამიანების დაკავებით და სააშკარაოზე გამოყვანით კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ მებაჟეებს, რომ მათი მოქმედება მხოლოდ კანონს უნდა ექვემდებარებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან",** - განაცხადა მხეიძემ. მისივე თქმით, **"საბაჟოზე კორუფციას ფეხი ძლიერად აქვს მოკიდებული".**

*24 საათი*

# გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის წერილი

*"ქალბატონო არბურ, ძალიან შეშფოთებული ვარ იმ დევნა-შევიწროების პოლიტიკით, რასაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაძაბვას, რაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ჯაშუშობაში ბრალდებული ოთხი რუსი ოფიცრის რამდენიმე დღით დაკავებას მოჰყვა, რუსეთის ხელისუფლებამ პასუხად ნაციზმისა და ქსენოფობიის პოლიტიკა შეაგება. არადა, დამეთანხმებით, დიპლომატიური ურთიერთობების გამწვავება არ უნდა აისახოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაზე, იგი არ უნდა გადაიზარდოს ღია დისკრიმინაციაში", - აღნიშნული წერილი საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს ქალბატონ ლუიზ არბურს 18 ოქტომბერს გაუგზავნა, რასაც ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია უკვე გამოეხმაურა.*

საქართველოს ომბუდსმენი ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს დაწვრილებით სწერდა იმ შეურაცხმყოფელ და ტრაგიკულ შემთხვევებზე, რაც რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა ბოლო პერიოდში გადაიტანეს, მათ შორის აღნიშნულია, სანკტ-პეტერბურიდან დეპორტაციის დროს თენგიზ ტოგონიძის გარდაცვალების ფაქტიც, რაც საქართველოს ომბუდსმენმა "არაადამიანურ მოპყრობად და მკვლელობად" შეაფასა. სუბარის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, რუსეთში მცხოვრები, რუსეთისა თუ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ქართველები ვერ ბედავენ ქუჩაში გასვლას, რადგან ეშინიათ, რომ არ გახდნენ სამართალდამცველთა მხრიდან ჩხრეკის, უკანონო დაკავების ან ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდების მხრიდან მათი შეურაცხყოფის ან ლიკვიდაციის მსხვერპლნი. სახალხო დამცველი თავის წერილში, რუსეთში მოღვაწე ქართველებისთვის ბიზნესის და სხვა საქმიანობის უკანონოდ წართმევის ფაქტებთან ერთად, ქართველი მოსწავლეების რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი სკოლებიდან გამოძევებასაც ეხება.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა ამ დღეებში საპასუხო წერილი მიიღო გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მარია-ფრანცისკა იზე-ჩარინისგან, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სახელით მადლობას უხდის სოზარ სუბარს და მის აპარატს.

**"გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარიატში ყურადღებით ვადევნებთ თვალს მოვლენათა განვითარებას და ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ვიყენებთ, რათა განხილვის საგანი გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებით ისეთი დაუცველი ადამიანებისა, როგორიც ბავშვები და მიგრანტები არიან.**

**პოლიტიკურ დაძაბულობაში ყოველთვის დევს რისკი, რომ იგი გარკვეული ინდივიდებისა თუ დაჯგუფებების მიერ ბოროტად იქნება გამოყენებული ჩვეულებრივ მოქალაქეთა ირგვლივ საფრთხისა და რეპრესიული გარემოს შესაქმნელად. ამიტომ, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი ესაუბრა მონაწილე მხარეებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ადამიანები დაცულნი იქნებიან ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან და რომ ახლანდელი განხეთქილება კონსტრუქციული დიალოგის გზით გადაიჭრება",** - აღნიშნულია გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სახელით სახალხო დამცველის ოფისში მოსულ წერილში.

*24 საათი*

*უცხოეთი*

# დანაშაულის სტატისტიკა რუსეთში

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად 54 მილიარდი რუბლი გამოყო, სიტუაცია რუსეთის პენიტენციურ სისტემაში უფრო და უფრო მძიმდება.

რუსეთის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, რუსეთის საპატიმროები იმდენადაა გადატვირთული, რომ პატიმართა საკნებში მოთავსება ძალზე დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

სამსახურის უფროსის მოადგილის ვლადიმირ სემენიუკის განცხადებით, ბოლო მონაცემებით, რუსეთში 870 ათასი პატიმარია. აქედან 163 ათასი ბრალდებული საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება. სემენიუკის განცხადებით, თუ დაჭერების ტემპი კვლავინდებურად გაგრძელდება, საპატიმრო ადგილებში სერიოზული პრობლემები შეიქმნება. მისი ინფორმაციით, მხოლოდ აპრილის თვეში საგამოძიებო იზოლატორში შეიყვანეს 32 ათასი ბრალდებული. სემენიუკის თქმით, დღეისთვის იზოლატორში 5 ათასი პატიმრით მეტი იმყოფება.

**"ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაუშვებელია ასეთი დიდი რაოდენობით ადამიანთა დაპატიმრება, მით უმეტეს ისეთ დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაპატიმრება, რომელთაც მსუბუქი ხარისხის დანაშაული ჩაიდინეს და მათთვის წაყენებული ბრალდება ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა და სასამართლომ უნდა გაითვალისწინონ საპატიმროში არსებული პრობლემები და, ასეთ შემთხვევებში, სასჯელის სხვა, არასაპატიმრო ღონისძიებები გამოიყენონ",** - აცხადებს სემენიუკი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში პატიმართა 70-75 პროცენტი სასჯელს იხდის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის; მათგან 20 პროცენტი - 116 ათასი პატიმარი გასამართლებულია მკვლელობის ბრალდებით. 90 ათასი კი განზრახ სხეულის მძიმე დაზიანებისთვის. სემენიუკის ინფორმაციით, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის რიცხვმა ბოლო 5 წლის მანძილზე საგრძნობლად იმატა.

დღეისთვის რუსეთის კოლონიაში 697 პატიმარი იმყოფება, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიმრობით შეეცვალათ. 660 ადამიანს კი სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

სამუდამოპატიმრობამისჯილთა უმეტესობა მკვლელია. მათ შორის არიან სერიოზულ დამნაშავეთა დაჯგუფების წევრები - სერიული მკვლელები და სადისტები, რომლებმაც განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული დანაშაული ჩაიდინეს.

**"ბოლო ათი წლის განმავლობაში კოლონიიდან, სადაც იმყოფებიან სამუდამო მისჯილები, არც ერთი გაქცევა არ მომხდარა, რადგანაც იქ დაცვის განსაკუთრებული ზომებია მიღებული",** - აცხადებენ სასჯელაღსრულების წარმომადგენლები.

თუმცა, არსებული მონაცემებით, რუსეთის სხვა საპატიმრო ადგილებიდან გასულ წელს 15 გაქცევა და 93 გაქცევის მცდელობა მოხდა

საერთაშორისო ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნით, მკვლელობების რიცხვით რუსეთს მსოფლიოში მეხუთე ადგილი უკავია.

მათ მიერ გაკეთებული სტატისტიკით, ადამიანის მკვლელობებით ლიდერობს კოლუმბია, მეორე ადგილზეა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მესამეზე - იამაიკა, მეოთხეზე - ვენესუელა და მეხუთეზე - რუსეთი. თუმცა, დანაშაულის გახსნის სტატისტიკით, მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია რუსეთს.

მსჯავრდებულთა რიცხვით ამერიკის შემდეგ რუსეთი მეორე ადგილზეა, მესამეზე - ყაზახეთი, მეოთხეზე ბელარუსი; მეხუთე ადგილს იყოფენ - გერმანია, შვედეთი, იტალია და საფრანგეთი.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# პარტიულ დაპირისპირებას შეწირული "საერთო საქმე"

პირველი გვერდიდან

**"დავითაშვილის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გამოთქმული მხარდაჭერა ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, ერთი მხრივ, არაფრად ულირს, მეორე მხრივ კი, ვერაფერს შესძენს და უფრო დაზარალებს,"** - აცხადებს სახელისუფლებო ფრაქციის ვიცე-ლიდერი. იგი საყვედურობს პარლამენტის პარტიას იმის გამო, რომ პრესკონფერენციებისთვის "მოქალაქე დავითაშვილს" ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობა ეთმობა.

**"ერთადერთი ადგილი, რომლითაც მას პარლამენტში შეუძლია ისარგებლოს, სასადილოა, სადაც დავითაშვილი განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩევა ხოლმე და სადაც "ნა ვერტოლეტს" ვერა, მაგრამ სხვა გემრიელ კერძებს აგემოვნებენ,"** - ყოფილი კოლეგისთვის შეზღუდვების დაწესებას ითხოვს სამყურაშვილი.

თუმცა, მისი გათვლა არ გამართლდა: კობა დავითაშვილს "დემოკრატიული ფრონტის" აქტიურად გამოექომაგა. ფრაქციის თავმჯდომარის ზვიად ძიძიგურის აზრით, კობა დავითაშვილის კრიტიკით, რატი სამყურაშვილს საკუთარი პერსონის წინ წამოწევა სურს. ამასთან, იგი დღევანდელ სახელისუფლებო გუნდს საკუთარ მძიმე ბრალდებებს უყენებს.

**"მზად ვარ, გულახდილად ვისაუბრო იმის შესახებ, თუ როგორ შედგა "ნაციონალური მოძრაობის" სიები 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების წინ და ვინ რამდენი გადაიხადა მასში მოსახვედრად. ახლა, ამ დარბაზში მრავლად სხედან ადამიანები, რომლებიც პარლამენტში ასეთი ხერხით მოვიდნენ. თუ გაინტერესებთ, იმასაც ვიტყვი, ზოგიერთმა პერსონამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ თუ პოლიტიკურმა პარტიამ, რომლებსაც "ნაციონალურ მოძრაობასთან" გართულებული ურთიერთობები ჰქონდათ, რევოლუციის შემდეგ, რამდენი გადაიხადეს "ნაცმოძრაობის" მაშინდელ გენერალურ მდივანთან ვანო მერაბიშვილისთვის იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები დალაგებულიყო,"** - აცხადებს ძიძიგური და ახლო წარსულის ზოგიერთი პიკანტური ისტორიის გამოსამზეურებლად, საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.



"პატივი ეცით საკუთარ წარსულს," - მოუწოდებს დავით ბერძენიშვილი სახელისუფლებო ორბიტაზე მყოფ დეპუტატებს.

პარტიული წარსულის თემას ოპოზიციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილიც ეხება. იგი უმრავლესობას შეახსენებს, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კობა დავითაშვილი "ნაციონალური მოძრაობის", რესპუბლიკური პარტიისა და "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ერთიანი საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი იყო, ხოლო დღევანდელი უმრავლესობის ერთ-ერთ სახეს ნიკა გვარამიას იმიტომ არ მოუწია ფულის გადახდა, რომ პარლამენტში ზვიად ძიძიგურის "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" კვოტით არის მოსული.

**"პატივი ეცით საკუთარ წარსულს,"** - მოუწოდებს დავით ბერძენიშვილი სახელისუფლებო ორბიტაზე მყოფ დეპუტატებს.

ოპოზიციონერი პარლამენტარების გამოსვლის თემამ და ტონმა უმრავლესობის წევრთა აღშფოთება გამოიწვია. მათ საერთოდ დაავიწყდათ კობა დავითაშვილის პერსონა და აქცენტი მოქმედი დეპუტატების უმადურობაზე გადაიტანეს: ელდარ კვერნაძე ზვიად ძიძიგურს შეახსენებს, რომ თავის დროზე, ვანო მერაბიშვილი ბევრს დარბოდა და წვალობდა იმისთვის, რომ მას (ძიძიგურს) სამტრედიის მაჟორიტარული არჩევნები მოეგო, ნიკა გვარამია კი იმაზე საუბრობს, რომ დავით ბერძენიშვილმა, პარლამენტში მოხვედრის მიზნით, ან განსვენებული პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ბოდიშები უხადა.

**"თქვენი პოლიტიკური გამოცოცხლება იმან გამოიწვია, რომ თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილის გვერდით აღმოჩნდით,"** - დავით ბერძენიშვილის პოლიტიკური წარმატებების რეცეპტს ამზეურებს მთელი ამ დავიდარაბის წამომწყები რატი სამყურაშვილი.

ძველი თანაგუნდელების გუშინდელ დავას "მემარჯვენე ოპოზიცია" მშვიდად ადევნებდა თვალს, თუმცა პარტიული კინკლაობა ბოლოს დავით გამყრელიძის თანაფრაქციელებსაც მობეზრდათ და გადაწყვიტეს, მედიატორის ფუნქცია ეკისრათ: მათ ჯერ უმრავლესობა დამოძღვრეს, შემდეგ კი "დემოკრატიულ ფრონტსაც" მისცეს სასარგებლო რჩევა, - მამუკა კაციტაძე რატი სამყურაშვილსა და ნიკა გვარამიას შთააგონებს, რომ ღვარძლის ნთხევა მათ ღირსებას ვერ შემატებს, თავის ოპოზიციონერ კოლეგებს კი ურჩევს, პუშკინისეული შეგონებით იხელმძღვანელონ. **"გულცივად მეხედი ყველა ქებას, ყველა ძაგებას და რეგვენ კაცს ნუ ეკამათები,"** - პოეზიაში განსწავლულობასაც ავლენს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი...

უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის "ომის განახლება" საპარლამენტო მუშაობის შედეგიანობაზე უშუალო ასახვა: აღნიშნული დაპირისპირების შემდეგ ჩავარდა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ნაცვლად, გაერთიანებული შტაბის შექმნას ითვალისწინებს. ამ დოკუმენტმა, დამტკიცებისთვის აუცილებელი 157-ის ნაცვლად, მხოლოდ 142 ხმა მიიღო.

მომხდარს ოპოზიცია და უმრავლესობა, ცხადია, ერთმანეთს აბრალებს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე აღშფოთებულია იმით, რომ კანონპროექტს, რომელმაც საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას უნდა შეუწყოს ხელი, სხდომათა დარბაზში მყოფმა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მხარი არ დაუჭირა. თავის მხრივ, ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს უმრავლესობის გამო მოხდა და იქვე შენიშნავს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტისთვის ხმის მიცემის წინ, უმრავლესობას თავისი რიგების მობილიზება უკეთ უნდა მოეხდინა.

და მაინც, კანონპროექტის ჩავარდნა, ალბათ, პირდაპირ კავშირშია დილის სხდომაზე მომხდარ დაპირისპირებასთან - რომ არა ეს შემთხვევა, ოპოზიცია არ განაწყენდებოდა, კენჭისყრის დროს მეტ "ყურადღებას" გამოიჩენდა და "საერთო საქმეც" არ დაზარალდებოდა.

# კონსტიტუციის "ჭრა-კერვა"

პირველი გვერდიდან

უსუფაშვილის აზრით, თავისთავად საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარება (რასაც ითვალისწინებს ცვლილებების პროექტი), მიუღებელი არ არის. მთავარი პრობლემა, "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერის აზრით, ისაა, რომ ეს ცვლილება ნაკარნახევია ვიწრო პოლიტიკური მიზნებით: **"დემოკრატიული საზოგადოება ემყარება ფუნდამენტურ პრინციპს - ნებისმიერი პოლიტიკური ძალა თავის მიზნებს არგებს კონსტიტუციას. ამ შემთხვევაში პირიქით ხდება".**

"რესპუბლიკელები" ხელისუფლების უზურპაციის კლასიკურ მაგალითად მიიჩნევენ პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებას პარლამენტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე.

**"დემოკრატიული სისტემის იმპერატივია, რომ სახელისუფლებო ორგანოებში არჩეულმა პირებმა თავიანთი პოლიტიკური გეგმების განხორციელების ეტაპები მოარგონ კონსტიტუციით დადგენილ ვადებს და საარჩევნო ციკლებს. თუ საზოგადოებამ ერთხელ დაუშვა დემოკრატიული სისტემის ამ ფუძემდებლური იმპერატივის დარღვევის (სახელისუფლებო ვადის თვითგაგრძელების) პრეცედენტი იმ მოტივით, რომ "კარგ" ხელისუფლებას "კარგი" საქმეები ბოლომდე აქვს მისაყვანი, მაშინ ქვეყანას აუცილებლად მოევლინება ცუდი ხელისუფლება. საზოგადოება, რომელიც "ხელისუფლების სიკარგის" განსაზღვრის უფლებას და ამის გამო არჩევნების გარეშე მისი უფლებამოსილების გახანგრძლივების საშუალებას თავად ხელისუფლებას დაუთმობს, აუცილებლად მიიღებს ცუდ ხელისუფლებას",** - ამგვარ დასკვნას აკეთებენ "რესპუბლიკელები".

მათთვის ასევე მიუღებელია არჩევნების თარიღით მანიპულირება: **"დემოკრატიული სისტემები ისწრაფიან არჩევნების დამნიშვნელი ორგანოს დისკრეციის მაქსიმალური შეზღუდვისკენ, რათა ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკურმა ძალამ არ მიიღოს ხელოვნური უპირატესობა - თავად განსაზღვრული ჰქონდეს არჩვენების თარიღი, შესაბამისად, დაგეგმოს საარჩევნო კამპანია, ოპონენტები და საზოგადოება კი გაურკვევლობაში ამყოფოს."** როგორც გუშინდელ შეხვედრაზე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, 5 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების მწარე მაგალითის შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებების ამ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, პრეზიდენტს ეძლევა **"მორიგი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დღის საკუთარი შეხედულებისამებრ ამორჩევის საშუალება, 120 შესაძლო დღიდან (2008 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე)".**

პოლიტოლოგი გია ნოდია კონსტიტუციურ ცვლილებებს "წარმოდგენილი ფორმით" მხარს არ უჭერს. ნოდიას აზრით, კონსტიტუციის შეცვლა უნდა იყოს ძალიან რთული. **"როცა ერთ პოლიტიკურ ძალას კონსტიტუციური უმრავლესობა აქვს, პრობლემაა, მაგრამ რეალობაა,** - შენიშნავს ნოდია, - **საერთოდ, ერთი მოწვევის პარლამენტში არ უნდა შეიძლებოდეს კონსტიტუციის შეცვლა. ამას ორი მოწვევის პარლამენტის თანხმობა მაინც უნდა სჭირდებოდეს."** რაც შეეხება კონკრეტულ შენიშვნებს, გია ნოდიას აზრით, მთავარი პრობლემა არის პარლამენტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ვადის გაგრძელების პრეცედენტის დაშვება. საპარეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარება ნოდიას დასაშვებად მიაჩნია.

"მრგვალი მაგიდის" მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, კონსტიტუციის პოლიტიკურ ფიგურებზე, პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მორგება, ქვეყნის უმაღლესი კანონის "ჟღჟება" მიუღებელია. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ კანონპროექტი დაუხვეწავია, რის გამოც ბევრი საკითხი ბურუსით არის მოცული. პირად საუბრებში, კანონის დაუხვეწაობის ფაქტს, ერთხმად აღიარებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და იურისტები.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, "რესპუბლიკური პარტია" პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, საქმის კურსში ჩააყენებს საერთაშორისო ორგანიზაციებს. უსუფაშვილის აზრით, საერთაშორისო ძალების ჩართვა ერთადერთი ქმედითი ბერკეტია იმისათვის, რათა ქვეყნამ უაღრესად ნეგატიური ცვლილებები თავიდან აიცილოს.

# არჩევნების დაჩქარება: მავნე ტრადიციის მხარდამჭერი ინიციატივა

ია ანთაძე

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ საპრეზიდენტო არჩევნების ვადების შეცვლის შესახებ მთელი პოლიტიკური სპექტრი დააბნია. ოპოზიციური პარტიების ლიდერებისგან საზოგადოებამ მოისმინა ამ ინიციატივის რამდენიმე შესაძლო მოტივი, რომელთაგან თითოეული ადვილად გასაბათილებელია საღი აზრის პოზიციიდან. ოპოზიციის ერთი ნაწილი პრეზიდენტის მოულოდნელ წინადადებას მისივე შიშებით ხსნის: პირველი ვერსიით, შიშის საფუძველი ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" წარმატებაა; მეორე ვერსიით - ირაკლი ოქრუაშვილის საპრეზიდენტო ამბიცია და ასაკი. ოპოზიციის მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დამთხვევით საკუთარი კანდიდატურის გაყვანა სურს, პრინციპით - "პარტია გაიყოლებს ლიდერს"; მესამე ნაწილის აზრით, პირიქით, პრეზიდენტის რეიტინგი უფრო მაღალია, ვიდრე მისი პარტიის და სააკაშვილს სურს, აამოქმედოს პრინციპი - "ლიდერი გაიყოლებს პარტიას". ოპოზიციის კიდევ ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სააკაშვილის მიზანია, მეორე ვადით არჩევა ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის პერიოდშივე გაინაღდოს.

თუ რეალობას თვალს გაუსწორებს, ოპოზიციამ უნდა აღიაროს - საიმისო გაჭირვება მიხეილ სააკაშვილს არც არჩევნებზე დასდგომია და არც პარტნიორებთან ურთიერთობისას, რომ საკონსტიტუციო ვადების შეცვლაზე ეფიქრა და თავისი პრეზიდენტობის თითქმის ერთი წელიწადი ქარისთვის გაეტანებინა. შესაძლოა, არჩევნებს შორის პერიოდში საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას არც პრეზიდენტი მოსწონდეს და არც მისი პარტია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა იცის, როგორ შეკრას გუნდი და როგორ მოიგოს არჩევნები.

ოპოზიციის არგუმენტები გვერდზე რომ გადავდოთ, არადამაჯერებელია თავად სააკაშვილისეული მოტივაციაც: თურმე, საკონსტიტუციო ვადის შეცვლა იმისთვის არის საჭირო, რომ ქვეყანა საარჩევნო რეჟიმიდან სამუშაო რეჟიმზე გადავიდეს, რესურსიც დაიზოგოს და საქმეც მეტი გაკეთდეს. ის წესი, რომ საპარლამენტო არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, საპრეზიდენტო კი - ხუთ წელიწადში ერთხელ - ქართული კონსტიტუციის შემქმნელებს არ დაუდგენიათ. ამ სტანდარტს მსოფლიოს არა ერთ და ორ ქვეყანაში მისდევენ. რესურსის დაზოგვა და საქმის კეთება არ არის ის მოტივი, რომელიც არჩევნების საკონსტიტუციო ვადების დარღვევას გაამართლებს. თუკი ეს ვინმემ იცის, ცხადია, იცის ამერიკაში განსწავლულმა იურისტმა - მიხეილ სააკაშვილმა.

ჯერჯერობით, საზოგადოებას დამაჯერებლად ვერავინ უხსნის, რა არის, ან რა შეიძლება იყოს პრეზიდენტის უცნაური ინიციატივის რეალური საფუძველი. სამაგიეროდ, ბევრი ახსნა არ სჭირდება იმაზე შეთანხმებას, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკის ღერძული პრობლემა სწორედ კონსტიტუციური წესრიგის უგულებელყოფაა. როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა მოხდა არაკონსტიტუციური გზით, მათ შორის - საარჩევნო ვადების დარღვევით. ჩვენს სახელმწიფოს არ აქვს გამოცდილება, ერთი პრეზიდენტი შეცვალოს მეორემ იმგვარად, რომ არ დაარღვიოს კონსტიტუცია, არ გააჩაღოს ომი, ან არ მოაწყოს რევოლუცია.

ამ მძიმე გამოცდილების ფონზე, ქართული პოლიტიკის უმთავრესი და უმწვავესი ამოცანაა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გადაყვანა მყარ, შეუქცევად კონსტიტუციურ კალაპოტში. მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა არჩევნების გადმოტანის შესახებ, ფაქტობრივად, ძველი, მძიმე და მავნე გამოცდილების ახლებური გაგრძელებაა. იმის ნაცვლად, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" შეექმნა საპრეზიდენტო არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში ჩატარების პრეცედენტი, არა მხოლოდ 2009 წელს, არამედ, სააკაშვილის მეორე ვადით არჩევის შემთხვევაში, 2014 წელსაც, რატომღაც - სრულიად უმტკივნეულო ვითარებაში - შემოთავაზებულია ისევ კონსტიტუციური ვადის რღვევა და ისევ პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივი კალაპოტის შეცვლა.

ცნობილია, რომ ქვეყნის განვითარების მთავარი გარანტი მყარი პოლიტიკური სისტემაა. მყარი პოლიტიკური სისტემა კი ნიშნავს სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას კონსტიტუციურ ვადებში. შესაბამისად, ცინიკურად ჟღერს, როცა პრეზიდენტი არჩევნების ვადის შეცვლის მოტივად ქვეყნის სტაბილურ განვითარებას ასახელებს. ნიშანდობლივია, რომ მასმედია ამ მნიშვნელოვანი თემის მიმართ, ჯერჯერობით, გულგრილია. თუ მიზეზი ხელისუფლებისთვის მაამებლობაა, ჩანს, მიხეილ სააკაშვილი მეტისმეტად ყოფილა დაინტერესებული საპრეზიდენტო არჩევნების დაჩქარებით.

**მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.**

# მიხეილ სააკაშვილი: მძიმე შეცდომა მოუვიდა მას, ვინც საქართველოსთვის ემბარგოს სცენარი დაწერა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენს ეწვია, სადაც ახლად გახსნილი კომპანია "ბადაგონის" ღვინის ქარხანა დაათვალიერა.

როგორც მან აღნიშნა, ქარხნის გახსნა არა მხოლოდ ახმეტისა და კახეთისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მთელი საქართველოსთვის და მსოფლიოში ქვეყნის ადგილის დამკვიდრებისთვის.

მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის მხრიდან ქართულ ღვინოზე ემბარგოს დაწესების ფაქტი გაიხსენა და განაცხადა, რომ მძიმე შეცდომა მოუვიდა მას, ვინც საქართველოსთვის ემბარგოს სცენარი დაწერა. ამ აქციით დარტყმა უპირველესად, ღვინის მწარმოებელმა რეგიონებმა მიიღეს. თუმცა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ბიზნესმენებს კახეთისათვის ყურძნის გასაღებაში დახმარება სთხოვა, ამ თხოვნის შესასრულებლად მთელი ქართული ბიზნესი დაირაზმა. შედეგად, წელს ღვინის ქარხნებმა 43 ათას ტონამდე ყურძენი ჩაიბარეს, რაც დამოუკიდებლობის შემდეგ, ურთულესი ბლოკადის პირობებში მეორე შედეგია. იმის გათვალისწინებით, რომ 120-130 ათასი ტონა ყურძენი არა მარტო ქარხნებს, არამედ კვების მრეწველობის პუნქტებს ჩაბარდა, ჩვენს გასახარად და ემბარგოს ინიციატორთა გულის გასახეთქად, კახური ყურძენი მთლიანად გაიყიდა. ემბარგოს მთავარი გაკვეთილიც სწორედ ის არის, რომ არ არსებობს გამოუვალი სიტუაციები, თუკი ერთმანეთს გვერდში დავუდგებით. ჩვენი არაკეთილმოსურნე საქართველოს ვერასოდეს დაამარცხებს ეკონომიკური ზომებით. გავა წლები და მადლობას ვეტყვით ემბარგოს ინიციატორებს, რადგან მათ ახალი ბაზრების მოპოვება და უფრო კონკურენტული პროდუქციის გამოშვება გვასწავლეს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

*მედიანიუსი*

# სერგეი ივანოვი ირაკლი ოქრუაშვილს ურჩევს, ახალ წელს საკუთარ სახლში შეხვდეს

რუსეთის ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი საქართველოს თავდაცვის მინისტრს ურჩევს გადათქვას ახალი წლის ცხინვალში აღნიშვნის გადაწყვეტილება და ამ დღესასწაულს სახლში შეხვდეს.

სერგეი ივანოვმა ირაკლი ოქრუაშვილს "ძალიან კარგი რუსული ტრადიცია" შეახსენა, რომელიც ახალი წლის სახლში აღნიშვნას ეხება.

"მე ყველას ვურჩევ ასე მოიქცეს და ახალი წელი თბილ, ოჯახურ გარემოში აღნიშნოს" - ამ სიტყვებით უპასუხა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტის შეკითხვას, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის ცნობილ დაპირებაზე - ახალი წლის ცხინვალში შეხვედრაზე - კომენტარს სთხოვდა.

იქვე, სერგეი ივანოვმა კომენტარი გააკეთა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუს სამშვიდობოთა მანდატის გაგრძელებაზე. მინისტრის თქმით, ეს მოლაპარაკებების თემა უნდა იყოს, რომელშიც "ორივე მხარე მიიღებს მონაწილეობას".

*ინტერპრესნიუსი*

# მიმართვა რუსეთის ფედერაციის საელჩოს

გუშინ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხსნის კავშირის თავმჯდომარემ ვლადიმერ სანაკოევმა საქართველოში არსებულ რუსეთის ფედერაციის საელჩოს მიმართა და 12 ნოემბერს ედუარდ კოკოითის მიერ დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის პარალელური არჩევნებისა და რეფერენდუმის გამართვის შესახებ აცნობა.

სანაკოევის თქმით, მიმართვაში არის თხოვნა, რომ რუსული მხარე ალტერნატიულად დაგეგმილი არჩევნებითა და რეფერენდუმით დაინტერესდეს, ვინაიდან უკვე შექმნილია ალტერნატიული ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი თავმჯდომარის, ურუსმაგ ქარქუსოვის მიერ არჩევნების ჩასატარებლად ყველა საჭირო პროცედურა უკვე დაწყებულია.

სანაკოევი ასევე აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ხსნის კავშირი მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში დაარსდა და მზადაა ყველა საერთშორისო ორგანიზაციას ალტერნატიული არჩევნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მიმართვა საქართველოში არსებულ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და აშშ-ის საელჩოებს, ასევე საქართველოში მოქმედ გაეროსა და ეუთოს მისიებს გაეგზავნებათ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კოკო გამსახურდიამ წინასაარჩევნო კამპანია ფოთიდან დაიწყო

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

**"ფოთი არის წინააღმდეგობების, კონტრასტების გაწონასწორების ადგილი, უდიდესი წარსულითა და მომავლით. სწორედ ამ ქალაქიდან შევუდექით საარჩევნო მარათონს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას კანონი იყო უსამართლო და ერთი პარტიის ინტერესებს მორგებული. ხელისუფლება ურცხვად იყენებდა ადმინისტრაციულ და ფინანსურ რესურსებს, რადგან ჰქონდა წესიერ შეჯიბრში დამარცხების პანიკური შიში. პარტია აგრძელებს ბრძოლას, ფრონტი გაიშლება მთელს საქართველოში და თუ საჭირო გახდა, გადავლახავთ 10 პროცენტიან ბარიერსაც,"** - აღნიშნა "თავისუფლების" ლიდერმა კოკო გამსახურდიამ ფოთში, პარტიის აქტივისტებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე. გამსახურდიამ მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

შეხვედრა ქალაქის ერთადერთ მოქმედ დარბაზში ჩატარდა, სადაც დროებით დრამატული თეატრის დასია განთავსებული. კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებიდან წაკითხულმა ფრაგმენტებმა საქმიანი დატვირთვის მქონე ღონისძიებას კულტურული ელფერიც შესძინა. ბევრი ითქვა ფოთში არსებულ პრობლემებზეც.

**"წვიმიან ამინდში ქალაქი იტბორება, სასმელი წყალი ფუფუნებადაა ქცეული, ნავსადგური კერძო პირების ქონება გახდა, პრეზიდენტის რწმუნებულის, ზაზა გოროზიას მეცადინეობით საავადმყოფო ფოთის ნაცვლად ზუგდიდში რემონტდება, ქართველი მეთევზეები ქაფშიას თურქებისგან ყიდულობენ, ტაძრის აღსადგენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გადარიცხვას გუბერნატორი აფერხებს, თეატრის მშენებლობა დაკონსერვებულია. თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ფოთი საქართველოში პირველ თუ არა, მეორე ქალაქად მაინც უნდა ითვლებოდეს, ის კი დღეს უმუშევრობისა და უიმედობის ქალაქია,"** - თქვა პარტია "თავისუფლების" ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯულიეტა ლომაიამ.

კოკო გამსახურდია "ცხელი ხაზის" ამოქმედებას გეგმავს. იგი ხელისუფლების მიერ განხორციელებული კონკრეტული პროგრამების მონიტორინგით ინტერესდება და მწვავე საკითხების მოსაგვარებლად მოსახლეობას თანადგომას ჰპირდება. "თავისუფლების" ლიდერის განმარტებით, პარტიას არსენალში თანამედროვე მეთოდები აქვს, რაშიც თითოეული მოქალაქის გათვითცნობიერებას შეეცდება.

**"არჩევნები დემოკრატიული არავითარ შემთხვევაში არ იქნება, რადგან ასეთს მხოლოდ დემოკრატები ატარებენ. ჩვენ რეალისტები ვართ და ხელისუფლების საფუძვლების მორყევაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ შევეცდებით მას გამოვტაცოთ გარკვეული პროცენტები... ჩვენ შეგვიძლია საქართველოს მოსახლეობის მობილიზება და ხელისუფლების არასამართლიანი და უპატიოსნო თამაშის გადაფარვა,"** - განაცხადა კოკო გამსახურდიამ. მან დაკონკრეტება ნაადრევად მიიჩნია, თუმცა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან გაერთიანებაც არ გამორიცხა.

**"აუცილებელია მსოფლმხედველობითი ერთიანობა, ხელისუფლებასთან დამოკიდებულების განსაზღვრა, თანმიმდევრულობა და ადეკვატურობა იმ ძალების, რომლებთანაც ჩვენ ვაპირებთ გაერთიანებას. თუ ეს შესაძლებელი გახდება, არჩევნებში გამარჯვებისა და დასავლეთიდან მხარდაჭერის მოპოვების მეტი შანსი გვექნება,"** - აღნიშნა პარტია "თავისუფლების" ლიდერმა "24 საათთან" საუბრისას.

# თბილისში ავსტრიის ნაციონალური დღე აღნიშნეს

*26 ოქტომბერს, ავსტრიის დამოუკიდებლობის 50 წლისთავთან დაკავშირებით (1956 წელს ოთხმა მოკავშირე ქვეყანამ: აშშ-მ, სსრკ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, დამოუკიდებლობა უბოძა "ალპენრეპუბლიკ"-ს), ავსტრიის საპატიო კონსულმა საქართველოში ევა ბერგერმა, სასტუმრო "შერატონ-მეტეხი-პალასში" საზეიმო მიღება გამართა. აღნიშნულ ცერემონიას საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, ბიზნესწრეებისა და დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ პარლამენტის სპიკერი - ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი - გიორგი ბარამიძე და საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნების ელჩები.*

ავსტრიის კონსული საქართველოში ქ-ნი ევა ბერგერი, რომელიც საღამოს მასპინძელი იყო, საპატიო სტუმრებს კლასიკური ავსტრიული მელოდიების ფონზე ეგებებოდა. მიღებაზე სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ქართული ხალხური მუსიკის ფონზე, ავსტრიული სამზარეულო დაეგემოვნებინათ.

ტრადიციისამებრ, ამ დღეს ავსტრიის საპატიო საკონსულო საქველმოქმედო ღონისძიებითაც აღნიშნავს. ამჯერად, საჩუქარი წილად ერგო 11 წლის ოთიკო დარბაისელს საგარეჯოდან. მას საჩუქრად ნანატრი ტრენაჟორი სარბენი ბილიკი გადაეცა. მისთვის უფრო დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა, პარლამენტის სპიკერის- ქ-ნ ნინო ბურჯანაძის მილოცვა ამ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით.

**"მე ავსტრიას ყოველთვის ვადარებ საქართველოს, რადგან პატარა ქვეყანას, ძალიან დიდი ძალა აქვს. იმედი მაქვს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. რაც შეეხება ჩვენს ნაციონალურ დღესასწაულს, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის ვცდილობთ, რომ დამოუკიდებლობის დღე შესაბამისად აღვნიშნოთ,"** - აცხადებს ავსტრიის საპატიო კონსული.

როგორც ცნობილია ავსტრია მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიული და სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ქართული მხარე მიესალმა ევროკავშირის როლის გააქტიურებას საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით და გამოხატვს კმაყოფილებას იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ავსტრია, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა (მიმდინარე წლის პირველ ნახევარში), საქართველოს მიმართ ავლენდა.

*24 საათი*

# კორუფციული სქემა საჯარო რეესტრში

პირველი გვერდიდან

როგორც ებანოიძემ განაცხადა, სამსახურში სისტემური და საკადრო რეფორმა უკვე დაწყებული იყო და იგი ორი თვის შემდეგ უნდა დასრულებულიყო. თუმცა 19 ოქტომბრის მოვლენებმა ეს ცვლილებები დააჩქარა.

ასეთი რადიკალური ნაბიჯი სააგენტოს ხელმძღვანელმა რამდენიმე მიზეზით ახსნა. მისი თქმით, თბილისის სარეგისტრაციო სამსახური წლების განმავლობაში ინარჩუნებდა სრულიად მიუღებელ ავტონომიას და სრულფასოვნად არ ექვემდებარებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისის მოთხოვნებს. ამასთან ერთად, სარეგისტრაციო პროცედურები და ვადები ხშირად ირღვეოდა, რაც მოქალაქეებს საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა - მათ საათობით უწევდათ კონკრეტული საბუთის მისაღებად რიგში დგომა; ხშირად ისეც ხდებოდა, რომ, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან სარეგისტრაციო ვადის დარღვევის გამო, მოქალაქეს საჭირო საბუთი თავიდან უნდა აეღო და, ბუნებრივია, საფასურიც თავიდან გადაეხადა.



ებანოიძის თქმით, სისტემის შიგნით დაწყებულმა რეფორმებმა "გარეკორუფციული" გარიგებების სქემაც გაშიფრა.

როგორც ჯაბა ებანოიძე აცხადებს, ყოველივე ეს კორუფციული გარიგების საკმაოდ ნოყიერ საფუძველს ქმნიდა. ამასთან ერთად, სისტემის შიგნით დაწყებულმა რეფორმებმა "გარეკორუფციული" გარიგებების სქემაც გაშიფრა. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი კერძო კომპანია და სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლები უკანონო ოპერაციებს ახორციელებდნენ.

ჯაბა ებანოიძის თქმით, პრობლემების აღმოსაფხვრელად სააგენტოში დაიწყო რეფორმა, რომელიც გულისხმობს სარეგისტრაციო პროცედურების გამარტივებას ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით. შემუშავდა ახლი პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიღებისა და გაცემის მოქნილ სისტემას და მოქალაქეების მარტივ და გამჭვირვალე მომსახურებას.

**"ახალი ტიპის სამსახური საქმისადმი ახლებურ მიდგომას ითხოვს. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა ნაწილისთვის ამგვარი ცვლილებები მიუღებელი აღმოჩნდა. პროცედურების, ერთი მხრივ, გამარტივებამ და, მეორე მხრივ, გამკაცრებულმა კონტროლმა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა გარე ძალებს, რომლებიც სწორედ სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მექრთამეობაზე აგებდნენ საკუთარ ბიზნესს,"** - აღნიშნა ებანოიძემ.

სამსახური დატოვეს იმ ადამიანებმა, რომლებიც გაფიცვის ორგანიზებასა და სამსახურის შეგნებულ პარალიზებაში არიან მხილებული. მათ ადგილებს კი უკვე შერჩეული და შესაბამისი სწავლებაგავლილი კადრები დაიკავებენ.

საგულისხმოა, რომ გათავისუფლებულ თანამშრომლებს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. რაც შეეხება 19 ოქტომბრის გაფიცვის მთავარ საბაბს - მურმან ცერცვაძეს. იგი ორშაბათიდან კვლავ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილის რანგში გააგრძელებს საქმიანობას.

*24 საათი*

# "ვეტერანთა დარბაზმა" უვადო შიმშილობის აქცია დაიწყო

"ვეტერანთა დარბაზმა" გუშინ, სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან უვადო შიმშილობის აქცია დაიწყო. აქციის მონაწილეები "ომის ვეტერანთა სოციალური გენოციდის შეწყვეტას მოითხოვენ".

შიმშილობის აქციაში "ვეტერანთა დარბაზის" ექვსი წევრი მონაწილეობს. როგორც "ინტერპრესნიუს" აქციის ორგანიზატორმა ჩიორა წიკლაურმა განუცხადა, შიმშილობის აქცია მანამ გაგრძელდება, სანამ აქციის მონაწილეების ჯანმრთელობა შიმშილობის საშუალებას მისცემს.

"ვეტერანთა დარბაზი" ხელისუფლებას ხუთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას სთხოვს: სოციალური შემწეობების გაზრდას, ვეტერანთა დასაქმების პროგრამების განხორციელებას, პენსიონერი პარლამენტარების ტოლ პენსიას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ოჯახებისთვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

*ინტერპრესნიუსი*

# თავისუფალი სიტყვა

*მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ მაია ჭალაგანიძეს. გადაცემის თემაა პატიმართა პრობლემები, ხოლო გადაცემის სტუმარია სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.*

**მაია ჭალაგანიძე:** ბატონო სოზარ, მინდა შევეხო კარცერის და შიშველი პატიმრების თემას. როდესაც ამ თემასთან დაკავშირებით, სატელევიზიო სიუჟეტს ვუყურებდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პატიმრებმა, რომელთა უფლებებს იმ შემთხვევაში თქვენ იცავდით, მხარი არ დაგიჭირეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა და თავისი თანამშრომლები დაიცვა. თქვენ კი საპირისპიროს ამტკიცებდით. როგორ მთავრდება ასეთი გაუგებრობები?

**სოზარ სუბარი:** ადგილზე ჩემი სამი თანამშრომელი იყო მისული და ნახეს შიშველი პატიმრები. მეორე დღეს, როცა მივიდნენ, პატიმრებმა ასე უთხრეს: რა კარგია, რომ მოხვედით, თქვენს მოსვლამდე 15 წუთით ადრე დაგვირიგეს ტანსაცმელიო. მერე დღეს ჩემს თანამშრომლებთან ერთად მისული იყო კვიციანი, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ადამიანთა უფლებების ოფისს ხელმძღვანელობს. აღნიშნულ პატიმრებს თვითონ ჩამოართვა ახსნა-განმარტებები. ასევე, აღმოაჩინა, რომ კარცერში სიის მიხედვით 15 პატიმარის ნაცვლად, მხოლოდ შვიდი პატიმარი იყო. დანარჩენი რვა პატიმარი სად იყო უცნობია. ერთ-ერთი პატიმარი წურწუმია, რომელიც სიის მიხედვით კარცერში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო, იქ იჯდა.

**მ.ჭ.** ანუ, პატიმრის კარცერში ჯდომის დოკუმენტი არ არსებობდა?

**ს.ს.** არა, ამის დოკუმენტი არ არსებობდა. ეს თვითონ კვიციანმა აღმოაჩინა და დაკითხოს ისიც.

**მ.ჭ.** თქვენ გქონდათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან საუბარი?

**ს.ს.** არა, მე გავაგზავნე რეკომენდაცია, რომ ის ადამიანი სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს, რადგან აქ საუბარია დადგენილ ფაქტზე.

**მ.ჭ.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა თქვენი პარალელური სტრუქტურა, სადაც სამუშაოდ თანამშრომლები თქვენი ოფისიდან წავიდნენ. ეს რა ჯგუფია, რას საქმიანობს დეპარტამენტის ოფისი და თანამშრომლობთ თუ არა მათთან რაიმე სახით?

**ს.ს.** სტრუქტურაზე ვერ გეტყვით. პრეზენტაცია კი გაკეთდა, მაგრამ ჩამოყალიბებულია თუ არა არ ვიცი. იდეაში კარგი და დადებითი მოვლენაა. ეფექტურობა პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თანამშრომლობას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ვთანამშრომლობთ. აღნიშნული ოფისი მართლა კვალიფიცირებული ადამიანებით არის დაკომპლექტებული. მათ ჩვენ ოფისში ძალიან დიდი გამოცდილება მიიღეს. ანუ, კარგი საფუძველია იმის, რომ მათ შეძლონ თავისი მისიის განხორციელება. ეს მისია სრულად რომ განხორციელდეს, საჭიროა პოლიტიკური ნება, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვისკენ იქნება მიმართული, რაც იქ არ არის.

**მსმენელი:** როგორც ცნობილია, ადგილების თვალსაზრისით საპატიმროებში საშინელი სიტუაციაა. ბატონო სოზარ, მაინტერესებს, თუ გაქვთ სტატისტიკა იმისა, რამდენი პატიმარი შედის ყოველწლიურად საპატიმროში და რამდენი თავისუფლდება?

**ს.ს.** ნამდვილად საშინელებაა, როდესაც ოც ადგილიან საკანში ოთხმოცი პატიმარია მოთავსებული. დაწოლაზე რომ არაფერი ვთქვათ, დასადგომი ადგილიც არ არის. ჩვენმა საზოგადოებამ ამ პრობლემის შესახებ კარგად იცის. 2003 წელს 6 ათასი პატიმარი იყო. დღეისთვის პატიმართა რაოდენობამ 14 ათასს გადააჭარბა. ზრდის მკვეთრი ტენდეციაა. რა თქმა უნდა, პატიმრები თავისუფლდებიან, მაგრამ გაცილებით მეტი შედის ყოველდღიურად. პატიმრობის ზრდას ხელს ისიც უწყობს, რომ არ გამოიყენება საკმარისი რაოდენობით არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიებები, მათ შორის ეკონომიურ დანაშაულზე, რაც არასწორი სტანდარტია. შარშანდელთან შედარებით წინასწარი პატიმრობის სტატისტიკა გაუმჯობესებულია. შარშან, პროკურატურა 90 პროცენტზე წინასწარ დაპატიმრებას ითხოვდა, წელს კი მხოლოდ 70 პროცენტზე ითხოვს. 30 პროცენტი გირაოთი, ან თავდებით გამოდის, თუმცა აბსოლუტურ ციფრებში მაჩვენებელი გაუარესდა. წელს გაცილებით მეტი დაპატიმრება ხდება, ანუ წინასწარი პატიმრობის 70 პროცენტი მეტია, ვიდრე შარშანდელი 90 პროცენტი.

**მ.ჭ.** რატომ არ გამოიყენება პირობითი თავისუფლება?

**ს.ს.** პირობითი თავისუფლება თითქმის არ გამოიყენება, რადგან არ არის პოლიტიკური ნება.

**მ.ჭ.** თუმცა არის კანონი, რომელიც პოლიტიკურ ნებაზე არანაკლები ძალის უნდა იყოს...

**ს.ს.** კანონით არ შეიძლება არაფერის დანგრევა. კანონით, როცა ხელვაჩაურში მოსახლეობას ქათმები ჩამოართვეს, წინასწარ უნდა მიეცათ ფული, მაგრამ დღემდე არ მიუციათ. კანონით ბევრი რამე ხდება.

# კლიმატის გარდაუვალი ცვლილებები საქართველოში

*კლიმატის ცვლილება, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფიქსირდება, ადამიანის საქმიანობას უკავშირდება. ამ ზაფხულს საქართველოში დაფიქსირებული საკმაოდ მაღალი ტემპერატურა კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი გამოვლინებაა. გუშინ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მთავრობებმა წარმოადგინეს თავიანთი კონცეფციები, თუ რა უნდა განახორციელონ ამ მიმართულებით.*

თამარ დვალი

კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი უმთავრესი გლობალური პრობლემაა. გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ბოლო დროს დედამიწაზე კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ამ ცვლილებებს საქართველოს ნებისმიერი მოსახლეც გრძნობს. ექსპერტთა აზრით, საქართველოში მოსალოდნელია ტემპერატურის ცვლილება, რაც ზოგიერთ რეგიონში გამოიწვევს აციებას, ანუ შეიქმნება უფრო მკაცრი კლიმატი, ვიდრე აქამდე იყო.

როდესაც საქართველოში პირველი ანგარიში მომზადდა კლიმატის ცვლილებების ემისიასთან დაკავშირებით, ტემპერატურის მკვეთრი კლება დაფიქსირდა. პირველი მაჩვენებელი იმისა, რომ კლიმატის ცვლილება ნამდვილად გვაქვს კავკასიაში, არის ცენტრალურ კავკასიონზე ყინულოვანი ფენის კლება. როგორც ცნობილია, ეს ფენა ერთი მესამედით შემცირდა.

მეცნიერების მიერ კლიმატური ცვლილებების მიზეზად სათბური გაზების, ანუ გამონაბოლქვის ($CO_2$-ის) მატება სახელდება. შემუშავებული კონვენცია მიმართულია იმისკენ, რომ ემისია, ანუ გაფრქვევა ამ გაზებისა შემცირდეს. დღეისთვის გარემოს მთავარ დამაბინძურებელ ქვეყნებად სახელდება რუსეთი, ამერიკა და რამდენიმე ევროპული ქვეყანა.

**"ნებისმიერი ემისიის შემცირება იწვევს ეკონომიკური საქმიანობების შეკვეცას, ან შემცირებას. აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილება სერიოზულ გავლენას მოახდენს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე. ქვეყანა, რომელიც მიუერთდება კონვენციას, უნდა შეწყვიტოს, ან შეამციროს ქიმიური და ნავთობაგადამამუშავებელი წარმოება. ეს კი სერიოზულ პრობლემას შეუქმნის ქვეყნების ეკონომიკას. კიოტოს ოქმის თანახმად, 2008 წლიდან განვითარებულმა ქვეყნებმა ემისია საშუალოდ 5%-ით უნდა შეამცირონ,"** - განაცხადა ექსპერტმა ნინო ჩხობაძემ.

კავკასიის რეგიონში ყველაზე ცუდი ვითარება ამ მხრივ აზერბაიჯანშია. საქართველოში დღეისთვის არ არის სერიოზული დამაბინძურებლები, თუმცა ჩვენთვის ყველაზე მძიმე პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტიდან გამონაბოლქვი. ამ კუთხით გამოირჩევიან სამრეწველო ქალაქები, როგორებიცაა რუსთავი და თბილისი.

კლიმატური ცვლილებები უარყოფითად მოქმედებს საკვებ პროდუქტებზეც. პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რამდენად გაუძლებს ჩვენი სოფლის მეურნეობის კულტურები (რომელიც ტრადიციულია) ადაპტირებას.

რითი უნდა ვიკვებოთ; მოვა თუ არა მოსავალი; შევძლებთ თუ არა ამ მოსავლის პროგნოზირებას; დაგვჭირდება თუ არა შევცვალოთ ჩვენი ტრადიციული სოფლის მეურნეობა სხვა მიმართულებით, ანუ სხვა კულტურები შემოვიტანოთ, - ამ კითხვებს პასუხი ექსპერტთა თქმით, უახლოეს 10 წელიწადში უნდა გაეცეს.

**"ეს არის დიალოგის დასაწყისი ქვეყნებს შორის და ერთობლივი ძიება თუ რა უნდა გაკეთდეს. კლიმატის ცვლილება გარდაუვალია მსოფლიოსთვის,"** - განაცხადეს გუშინ კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ გამართულ კონფერენციაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ სამხრეთ კავკასიის რეგიონებიდან, შვედეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან და ლიხტენშტეინიდან მოწვეული ექსპერტები.

# საუნივერსიტეტო პოლიტიკა

*უმაღლესი სასწავლებლების რეფორმა ყველაზე მძიმედ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო. უნივერსიტეტის პროფესურის ნაწილმა არ ცნო კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, პრეზიდენტის ბრძანებულება უნივერსიტეტის წესდების გაუქმების შესახებ. ამ აკადემიურმა ნაწილმა (მოგვიანებით მათ ამბოხებული პროფესურა უწოდეს) ჩამოაყალიბა მმართველობის ალტერნატიული საბჭო. ისინი ირჩევენ რექტორს, დეკანებს, ადგენენ წესებს, ქმნიან სხვადასხვა საუნივერსიტეტო საბჭოებს, ხანდახან მიტინგებსაც ატარებენ, არაერთხელ ჰქონდათ მცდელობა, საპროტესტო მოძრაობაში ჩაერთოთ სტუდენტობა, გადაეზარდათ უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმა პოლიტიკურ პროცესებში. ამის პარალელურად უნივერსიტეტში მიმდინარეობს აკადემიური პროცესები, ორმაგდება ანაზღაურება, უნივერსიტეტის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გია ხუბუამ შექმნა რექტორის მრჩეველთა საბჭო, სადაც ამბოხებული პროფესურის ზოგიერთი წარმომადგენელი (ვინც უნივერსიტეტისთვის აკადემიურ ღირებულებას წარმოადგენს) შევიდა. დეკემბერში გაიმართება რექტორის არჩევნები, რომლის შემდეგაც თსუ-ში დასრულდება კანონით გათვალისწინებული დროებით მმართველობა და უნივერსიტეტი ავტონომიური გახდება. წინაწარ ცნობილია, რომ რექტორის არჩევნებში კენჭს ამჟამინდელი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ხუბუაც იყრის, თუმცა იქნება თუ არა იგი ხელისუფლების კანდიდატი, ჯერ გაურკვეველია.*

ეკა ჭანაშია



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მიწვეულ პედაგოგთა ანაზღაურება სამჯერ გაზარდა.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანებით, 2006-2007 სასწავლო წლის განმავლობაში საათობრივი დატვირთვის წესით მიწვეული პედაგოგებიდან, მეცნიერებათა დოქტორი საათში 10 ლარს მიიღებს, მეცნიერებათა კანდიდატი - 8 ლარს, ხარისხის არმქონე პედაგოგი კი - 6 ლარს.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საუნივერსიტეტო რეფორმამდე საათობრივი ანაზღაურებით მიწვეული პედაგოგებიდან მეცნიერებათა დოქტორი საათში 3,40 ლარს იღებდა, მეცნიერებათა კანდიდატი - 2, 70 ლარს, ხოლო ხარისხის არმქონე პედაგოგი - 2 ლარს.

უნივერსიტეტში რექტორის მრჩეველთა საბჭოს შეიქმნა, რომლის პირველი სხდომა გუშინ გაიმართა. საბჭოს წევრები არიან, პროფესორები მზექალა შანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ნუგზარ ალექსიძე, თეიმურაზ იოსელიანი, ვაჟა ოკუჯავა, ჯუმბერ ჭუმბურიძე (აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი სულ ცოტა ხნის წინ ამბოხებული პროფესორების მიერ ჩამოყალიბებული ალტერნატიული აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე იყო), გიორგი თუმანიშვილი, თამაზ გამყრელიძე და გიორგი ტყეშელაშვილი. საბჭოს წევრებმა რექტორის მოვალეობის შემსრულებელ გია ხუბუასთან ერთად უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმის შესახებ იმსჯელეს. ასევე უნივერსიტეტის ეზოში ახალი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის აშენებისა და უნივერსიტეტის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ერთი კვირაში დანიშვნის საკითხი განიხილეს. საბჭოს წევრებმა მრჩეველთა საბჭოს მუშაობის დებულების შემუშავებაზეც ისაუბრეს. მათი შეკრება, შესაძლებელია, კვირაში ერთხელ გაიმართოს, იმის მიხედვით თუ რა აქტუალური საკითხი იქნება განსახილველი. ახალ ორგანოს საკონსულტაციო ფუნქცია ექნება, მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც უნივერსიტეტში აცხადებენ, საბჭოს რეკომენდაცია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის მნიშვნელოვანი იქნება.

მრჩეველთა საბჭო ოფიციალურად 6 ოქტომბრიდან რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების საფუძველზე არსებობს. საბჭოს წევრები ხელფასის სახით 700 ლარს მიიღებენ.

ამ კარგი მოვლენების პარალელურად უნივერსიტეტში არც ისე კარგი ამბებიც ხდება. ყველასათვის მოულოდნელად თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა ჰუმანიტარული ფაკულტეტის სულ ახლახან არჩეული დეკანი ნინო ჩიქოვანი. მან განაცხადა, რომ რადგან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შიდა პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა სურს, საჭიროდ ჩავთვალე, ამ პროცესებისთვის ხელი არ შემეშალა. დანიშნონ ის კადრები, რომლებიც მათთვის მისაღებიაო. საუბარია, რომ თანამდებობები დატოვეს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებმა. ანუ იმ ადამიანებმა, ვინც ხუბუასთან ერთად დაიწყეს რეფორმებზე მუშაობა.

სერიოზული პრობლემები უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის არაორგანიზებულობამაც შექმნა. სწავლის დაწყებიდან საკმაოდ დიდ ხანი სტუდენტები ვერ არკვევდნენ, სად რომელი ლექცია უტარდებოდათ, ასევე მხოლოდ სწავლის დაწყების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ფიზიკის დიდ აუდიტორიაში მთელი ფაკულტეტის სტუდენტობა ვერ დაეტეოდა. 2000 კაციანი აუდიტორია უნივერსიტეტში არ არსებობს, ვიდრე ადმინსტრაცია ამას გაიხსენებდა, სტუდენტებს დილის 8.00 საათზე უწევდათ ლექციაზე მისვლა, რათა დასაჯდომი ადგილი დროულად მოეძიებინათ. ის ვინც 10.00 საათზე დანიშნულ ლექციაზე თუნდაც ნახევარი საათით ადრე მივიდოდა, დასაჯდომი ადგილის გარეშე რჩებოდა. პირველკურსელები დიდი ხანი საერთო ლექციას ფეხზედამდგარნი და ერთმანეთს მიკრულნი "უსმენდნენ".

"სასწავლო პროცესი ჩავარდა" - გამოაცხადა უნივერსიტეტის აბუნტებული პროფესორების მიერ შექმნილმა აკადემიურმა საბჭომ და შექმნილი პრობლემების ფონზე გააქტიურება გადაწყვიტა. ე.წ. საბჭო სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შეიკრიბა და "საქართველოს პროფესორთა კოლეგია" ჩამოაყალიბა. პროფესორთა კოლეგიამ თავის პირველ წევრად პატიმრობაში მყოფი ირაკლი ბათიაშვილი დაასახელა, ხოლო ახლად შექმნილი კოლეგიის თავმჯდომარედ პროფესორი ნესტან კირთაძე აირჩია.

ე.წ. აკადემიური საბჭო სტუდენტების ჩართვას საპროტესტო გამოსვლებში ისევ ცდილობს, ცხადია ამ დაპირისპირებას, თუ პროფესორთა კოლეგიის ახლად არჩეული თავმჯდომარის რადიკალური პოლიტიკური პოზიციით ვიმსჯელებთ, პოლიტიკური სუნი ისევ ასდის. როგორც რადიკალური ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, უნივერსიტეტითვის ბრძოლა არის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა ამ დაპირისპირებამ ადრინდელი პოლიტიკური სიმწვავე დროებით დაკარგა. " 24 საათის" ინფორმაციით კი, რექტორის არჩევნებში, რომელიც დეკემბერში უნდა გაიმართოს, ხუბუა შეიძლება ხელისუფლების კანდიდატი უკვე აღარ იყოს. ვარაუდობენ, რომ განხორციელებული ცვლილებებით იგი საარჩევნოდ უნივერსიტეტის შიდა რესურსების თავის სასარგებლოდ მობილიზებას ცდილობს.

# ნალჩიკში ისევ დაძაბული სიტუაციაა

*ისლამისტების თავდასხმიდან ერთი წლის შემდეგ ყაბარდო-ბალყარეთში მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა ხალხს ძალადობის მაინც ეშინია.*

დანა ცეი, ნალჩიკი

ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში ქალაქზე მეამბოხე „ბოევიკების“ თავდახსმის ერთი წლისთავი აღინიშნა. შარშან 13 ოქტომბერს მომხდარი შეტაკებების დროს 140-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. სწორედ ისე, როგორც ერთი წლის წინ, ეს დღე წელსაც მოსაწყენი და მოღრუბლული იყო. აფხაზეთის მოედანზე ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ მიტინგზე დაახლოებით 2 ათასი ადამიანი შეიკრიბა. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ რუსეთის მმართველი პარტიის „ედინაია როსიას“ დროშები და ტრანსპარანტები წარწერით „ვგმობთ ტერორს“.

მიტინგზე სიტყვით რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოვიდნენ. მიტინგი მალევე დაიშალა, რადგან ხალხი აქ თავისი ნებით არ მოსულა. მოსამსახურეები თავიანთი ხელმძღვანელობის ბრძანებით მოვიდნენ, ხოლო სტუდენტები პირდაპირ ლექციებიდან მოიყვანეს.

იმავდროულად, სულ ერთი კვარტალის მოშორებით ადგილობრივი პროკურატურის შენობის წინ მიტინგს კიდევ ერთი ჯგუფი მართავდა. ამ მიტინგის მდუმარე მონაწილეებს შავი ტანისამოსი ეცვათ. მათ ხელში მომღიმარე ახალგაზრდების სურათები და კუსტარულად დამზადებული პლაკატები ეჭირათ წარწერებით: „ჩვენი შვილები ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ“, „დაგვიბრუნეთ ჩვენი შვილები!“ და „მათ მოკლეს ანა პოლიტკოვსკაია, რადგან სიმართლის ეშინოდათ“. აქციის მონაწილეებს დასტებად ეჭირათ რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების ასლებიც, რომლებსაც გამვლელებს ურიგებდნენ.

მეორე მიტინგის მონაწილეები ყაბარდო-ბალყარეთის „ჯამაათის“ (ისლამური ორგანიზაციის) იმ ათობით წევრის ნათესავები იყვნენ, რომლებიც შარშანდელ შეტაკებებში დაიღუპნენ. გამუდმებული პროტესტებისა და თხოვნის მიუხედავად თავიანთი ნათესავების დაკრძალვის საშუალებას მათ დღემდე არ აძლევენ.

შარშან, 13 ოქტომბერს ძალოვანი უწყებების 18 შენობას დაახლოებით 200 „ბოევიკი“ დაესხა თავს. ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 12 სამოქალაქო პირი, ძალოვანი სტრუქტურების 35 წარმომადგენელი და 98 თავდამსხმელი. ჯამაათის ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღებული „ბოევიკებიდან“ მხოლოდ 35 დაიღუპა, ხოლო დაღუპულ „ბოევიკებს“ შორის მოხსენიებული სხვა პირები მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ. დააკავეს 69 პირი. მათი სასამართლო პროცესი ჯერ არ შემდგარა. ის მომავალი წლისთვის გადაიდო.

ავტონომიური რესპუბლიკის ბევრი მცხოვრები ამბობს, რომ ყაბარდო-ბალყარეთში მდგომარეობა უმჯობესდება, რაც დიდწილად ახალგაზრდა და მდიდარი პრეზიდენტის არსენ კანოკოვის დამსახურებაა. ეს თანამდებობა კანოკოვმა ოქტომბრის შეტაკებამდე ორი კვირით ადრე დაიკავა. ამას წინათ კანოკოვმა განაცხადა, რომ „ყაბარდო-ბალყარეთში ამ პერიოდს ბევრი „დათბობას“ უწოდებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ დათბობას ნამდვილი გაზაფხული მოჰყვეს“.

ყაბარდო-ბალყარეთში ნამდვილად დიდი ცვლილებები მოხდა. მაგალითად, მტკიცე ოპოზიციონერსა და ადამიანის უფლებათა დამცველს ვალერი ხატაჟუკოვს თავისი ოფისი ახლა ნალჩიკის ცენტრში აქვს და მაშინ მართავს პრესკონფერენციებს, როცა მოესურვება. სწორედ ხატაჟუკოვი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც მიმდინარე ცვლილებებს „დათბობა“ უწოდა.

დაღუპული „ბოევიკების“ ნათესავებს მიტინგების გამართვის საშუალება აქვთ. მილიცია ამ მიტინგებს არ შლის, თუმცა ვიდეოფირზე მაინც იღებს.

გარდა ამისა, გასულ წელს ადგილობრივმა მთავრობამ რუსეთის ენერგოგიგანტებს „გაზპრომსა“ და „რაო ეეს“-ს უზარმაზარი ვალები გადაუხადა. ამ კომპანიებს რესპუბლიკის აქტივების ნაწილი გადაეცა. მთავრობამ უზარმაზარი სახელფასო დავალიანებაც გაისტუმრა. ადგილობრივი საფეხბურთო გუნდი, რომლის მფლობელიც პირადად პრეზიდენტია, ახლა რუსეთის პრემიერ-ლიგაში თამაშობს. პრეზიდენტ პუტინის დაბადების დღეს, ნალჩიკის ახლადგარემონტებულ იპოდრომზე დოღი გაიმართა. მთლიანმა საპრიზო ფონდმა 600 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ამ ღონისძიებას დაესწრო ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი რამზან კადიროვი, რომელსაც ორი დღით ადრე 30 წელი შეუსრულდა. კანოკოვმა დაბადების დღის აღსანიშნად მას წმინდა სისხლის ყაბარდოული კვიცი აჩუქა.

უწინ ნალჩიკს მთელ რუსეთში ყველაზე უარესი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჰქონდა. ახლა კი ის აყვავებული ქალაქის იერსახეს იძენს. პრეზიდენტის ინიციატივით აქ უცხოელი ინვესტორებიც ჩამოდიან.

თუმცა ინვესტორები კვლავაც შიშობენ, რომ სიტუაციის დაძაბვა და ძალადობა მომავალშიც მოსალოდნელია. მწერალ ვლადიმერ ტერეხოვის თქმით, კანოკოვის წინაშე მდგარი პრობლემა ისაა, რომ ყაბარდო-ბალყარეთში სიტუაციის გასაუმჯობესებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, იგი ძალოვან სტრუქტურებს სრულად ვერ აკონტროლებს. პრეზიდენტის სრულად არ ექვემდებარება არა მხოლოდ ადგილობრივი შინაგან საქმეთა სამინისტრო, არამედ ნალჩიკში განლაგებული ჩრდილოეთ კავკასიის ანტიტერორისტული ცენტრიც. ცენტრი უშუალოდ მოსკოვს ემორჩილება.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში რესპუბლიკაში კვლავ გავრცელდა ცნობები დაპატიმრებების, ჩხრეკისა და ძალადობის შესახებ.

ცნობილ ადვოკატ ლარისა დოროგოვასა და კიდევ ორ ადვოკატს 13 ოქტომბრის მოვლენების მონაწილეთა დაცვა აეკრძალათ. დოროგოვა ამბობს, რომ ამას წინათ ვიღაცამ დაურეკა და დაემუქრა. მას სახელი და გვარი არ დაუსახელებია, თუმცა დოროგოვამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ამოიცნო. „რისთვის გვიწყობენ პროვოკაციას? სწორედ ასე ტანჯავდნენ ჩვენს ბიჭებს მორალურად და ფიზიკურად. ყველამ იცის, რა ტრაგედიამდეც მიგვიყვანა ამან!“ – თქვა ლარისამ.

ამას წინათ გაჩხრიკეს და მცირე ხნით დააკავეს რამაზან ტემბოტოვი, რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველი და რუსეთის პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიის „ედინაია როსიას“ წევრია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან ერთ-ერთი სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არტურ ზოკაევის მკვლელობის გამოძიება მოითხოვა.

ადგილობრივი მცხოვრები რაჯა ბულატოვი ამბობს, რომ გასულ თვეში იგი მილიციამ გაიტაცა და სასტიკად სცემა, რის შემდეგაც სამედიცინო დახმარებაც კი არ გაუწევიათ. ბულატოვს ადვოკატის არჩევის ნება არ დართეს და დანიშნული ადვოკატი მოახვიეს თავს.

რაჯას დედამ ნაფისატ ბულატოვამ პროკურატურას წერილი მისწერა. „27 სექტემბერს ჩემი შვილი ნიღბიანებმა ჩვენი სახლის მახლობლად აიყვანეს. მთელი ღამე ვეძებდი. დილით ნიღბიანები სახლში ისე შემოიჭრნენ, საბუთები არც წარმოუდგენიათ. ერთ-ერთმა მუცელში ავტომატის კონდახი ჩამარტყა. მთელი სახლი დამირბიეს და წასვლის წინ ჩემს წასაყვანად სასწრაფო გამოიძახეს“, – წერდა იგი.

კიდევ ერთი დაკავებულის მაგომედ დამბეკოვის ნათესავები ამბობენ, რომ ანტიტერორისტულმა ცენტრმა ისიც სახლის მახლობლად აიყვანა. ოჯახმა მხოლოდ ორი დღის შემდეგ მიიღო შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი იარაღის შენახვის ბრალდებით იყო დაკავებული.

„ეს მეთოდები ჩეჩნეთში კარგად დაამუშავეს. რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, ასე იქცევიან. ადამიანს დანაშაულის აღიარებასა და აღიარებით ჩვენებაზე ხელის მოწერას ერთ დღეში აიძულებენ. თუ დაპატიმრებული გატაცებიდან ერთ დღეში არ გამოტყდა, იგი შეიძლება უგზო-უკვლოდ გაუჩინარდეს“, – ამბობს ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფის „ჩეჩნეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის“ ხელმძღვანელი რუსლან ბადალოვი.

ამასობაში კი გასულ წელს განხორციელებული თავდასხმების ორგანიზატორები ჯერაც თავისუფლად დადიან და ისლამისტ მეამბოხეთა საიტზე „კავკაზ-ცენტრი“ განცხადებებს აქვეყნებენ. როგორც ჩანს, ისინი ჯერაც სარგებლობენ მხარდაჭერით, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გასულ წელს შინიდან დაახლოებით 300 ახალგაზრდა წავიდა და, როგორც ჩანს, ისლამისტების რიგებს შეუერთდა. რესპუბლიკის ბევრი მცხოვრები კვლავაც შიშობს, რომ მალე შეიძლება ისევ რაღაც მოხდეს.

www.iwpr.net

# სომხეთი: პოლიტიკა ქალების გარეშე

*სომეხი ქალები ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვას ცდილობენ.*

ლენა ბადეიანი, ერევანი

სომხეთის პარლამენტში იმაზე ნაკლები ქალია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნის პარლამენტში. ამჟამად 131-ადგილიან ეროვნულ ასამბლეაში მხოლოდ შვიდი ქალია, რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სფეროებშიც – ქალაქებისა და სოფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 926 ხელმძღვანელიდან მხოლოდ თხუთმეტია ქალი.

ამჟამად მდგომარეობის შეცვლის მიზნით გარკვეულ ზომებს იღებენ. ორგანიზაციათა ბლოკმა სახელწოდებით „ქალი ლიდერები“ გასულ თვეში განაცხადა, რომ პარლამენტში საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი წარადგინა. პროექტი საკანონმდებლო ორგანოში ადგილების 25 პროცენტის სპეციალურად ქალებისათვის გამოყოფას ითვალისწინებს. ამ ინიციატივას 22 პარტია და ორმოცამდე საზოგადოებრივი ასოციაცია უჭერს მხარს.

ეს პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობის გაზრდის პირველი მცდელობა არ არის. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქალებს პარტიების საარჩევნო სიებში ადგილების 5 პროცენტი დაუთმეს, თუმცა მათი უმრავლესობა სიის ბოლოში აღმოჩნდა, რამაც პარლამენტში გასვლის ყოველგვარი შანსი დაუკარგა.

„ამ გადაწყვეტილებას პარლამენტში არავითარი ხარისხობრივი ცვლილება არ მოუხდენია, რადგან ის კონკრეტული არ ყოფილა“, – ამბობს სომხეთის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ჰერმინე ნაღდალიანი.

„არ დაკონკრეტებულა, სიის რომელ ნაწილში უნდა ჩაესვათ ქალები, კაცებმა კი ეს მშვენივრად გამოიყენეს“, – დასძენს იგი.

ამჟამად ქალები სიებში პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების მხოლოდ ნახევარს ჰყავს. ამ ოთხი პარტიიდან სამი (რესპუბლიკური პარტია, „დაშნაკცუთიუნი“ და გაერთიანებული ლეიბორისტული პარტია) მმართველ კოალიციაში შედის. მეოთხე, „ორინაც ერკირი“ („კანონიერების ქვეყანა“), მმართველი კოალიციიდან ცოტა ხნის გამოვიდა.

„დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სომხეთის ხელისუფლებამ სიტუაცია სწორად შეაფასოს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობის გაზრდის მიზნით შესაბამისი ზომები მიიღოს“, – განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „არმინფოს“ გაერო-ს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წარმომადგენელმა დუბრავკა სიმონოვიჩმა.

„იმისთვის, რომ პარლამენტის მუშაობაში რამე შეიცვალოს, საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობა 30 პროცენტამდე მაინც უნდა გაიზარდოს“, – დასძინა მან.

ჯერ კიდევ გაურკვეველია, მიიღებს თუ არა პარლამენტი ამ ახალ ინიციატივას, რადგან მას პარლამენტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია – რესპუბლიკური პარტია და კიდევ ერთი დიდი საპარლამენტო ჯგუფი „სახალხო დეპუტატი“ მხარს არ უჭერს. წინადადების ჩასაგდებად კი ამ ორი ფრაქციის ხმები სრულიად საკმარისია.

არსებობს მოსაზრება, რომ კვოტების დაწესება არასწორი ნაბიჯია. „ჩემი აზრით, პროცესი თანდათანობითი უნდა იყოს. ერთი ხელის მოსმით აზიური გენდერული სისტემიდან თანამედროვე ევროპულ სისტემაზე გადასვლა შეუძლებელია“, – განუცხადა IWPR-ს ოპოზიციური „სამართლიანობის“ ფრაქციის წარმომადგენელმა არშაკ სადოიანმა.

„კანონი კონკრეტულ კვოტებს არ უნდა ადგენდეს. ეს ხომ საშინაო საქმეა. ჩვენი პარტიის სიაში ქალები ნამდვილად იქნებიან“, – ამტკიცებს გაერთიანებული ლეიბორისტული პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელი გურგენ არსენიანი.

ოპოზიციურ გაზეთ „ჩორორდ იშხანუთიუნის“ („მეოთხე ძალაუფლება“) მთავარი რედაქტორი შოღერ მათევოსიანი ამტკიცებს, რომ ეს საკითხი საერთოდ არასწორად გაიგეს, რადგან სომხეთის პოლიტიკაში გადამწყვეტი ფაქტორი მთავრობისადმის ერთგულებაა და არა ამა თუ იმ კანდიდატის სქესი.

„როცა პრეზიდენტის პოსტის ან სხვა რომელიმე მაღალი თანამდებობის დაკავებაზე მიდგება საქმე, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ეს ოპოზიციას ემართება ხოლმე: თუ ქალი ოპოზიციის მხარესაა, ის ამ თანამდებობას ვერ დაიკავებს, ხოლო თუ მთავრობას ემხრობა, დაიკავებს“, – განუცხადა IWPR-ს მათევოსიანმა.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ჰერმინე ნაღდალიანი ამბობს, რომ ქალები სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიურობენ. „ბევრ შემთხვევაში ქალებს არ სჯერათ, რომ რაღაცის შეცვლა შეიძლება ან რომ მათ ბრძოლასა და სურვილებს რაღაც შედეგი შეიძლება მოჰყვეს“, – აღნიშნავს ნაღდალიანი.

ერევანის ცენტრალური რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გაგიკ ბეგლარიანი ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან პოლიტიკოსთაგანია, რომლის აზრითაც ქალთან არჩევნების წაგება სამარცხვინოა.

„ქალთან წაგება ჩემთვის დიდი სირცხვილი იქნება“, – განაცხადა ბეგლარიანმა, როდესაც შეიტყო, რომ გასული წლის ადგილობრივ არჩევნებში პოპულარული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი რუზან ხაჩატრიანი მასთან ერთად იყრიდა კენჭს.

იმ არჩევნებში ხაჩატრიანი დამარცხდა, ხოლო ბეგლარიანმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ხაჩატრიანმა არჩევნების შედეგები არ სცნო. მისი განცხადებით, ბეგლარიანმა შედეგების გასაყალბებლად მიუღებელი მეთოდები გამოიყენა, რაც, მისი აზრით, ქალ და მამაკაც პოლიტიკოსებს განასხვავებს.

წინასარჩევნო კამპანიის დროს ბეგლარიანი თავის ოპონენტს თაიგულებს ჩუქნიდა, თუმცა მასთან დებატებში არასოდეს ჩაბმულა.

„რატომ ხდება, რომ მამაკაცის სურვილი დაიკავო ოფიციალური თანამდებობა არავის აკვირვებს, ქალის ანალოგიური სურვილი კი სიურპრიზი ხდება? რატომ არავის უკვირს, როცა ქალს სურვილი აქვს გახდეს ექიმი, მაგრამ ყველა გაოცებულია, თუ მან პოლიტიკოსობა გადაწყვიტა? ეს ხომ ჩვეულებრივი სამუშაო და პროფესიაა. თუ უნარი გაქვს, რატომ უნდა გახდეს ეს დაცინვის საგანი?“ – კითხულობს ხაჩატრიანი.

„გამართეთ დემოკრატიული არჩევნები და თუ ქალები ვერ გავიდნენ, შეგიძლიათ თქვათ, რომ ისინი კონკურენტუუნარო არიან. თუ ქალებს ექნებათ სურვილი, ხოლო მამაკაცები მათ დახმარებას შეეცდებიან, ქვეყანაში სიტუაცია შეიძლება გაუმჯობესდეს“, – ამბობს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნორა ჰაკობიანი.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანელი პატიმარი სტუდენტები

*აზერბაიჯანელი პატიმრების მცირე ჯგუფმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები უკვე ჩააბარა. მიბაძავენ თუ არა სხვები მათ მაგალითს?*

იდრაკ აბასოვი,
ბაქო

ბაქოს მკვიდრს, 18 წლის ახმედ ველიევს სამშენებლო ობიექტზე ქურდობისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის წინ მიუსაჯეს. ახლა ახმედს იმედი აქვს, რომ მალე არქიტექტორი გახდება.

ველიევი ერთ-ერთია რვა ახალგაზრდა პატიმრიდან, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მას შემდეგ მიიღეს, რაც მსჯავრდებულებს ციხეში მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლება მისცეს. ასეთი რამ წელს პირველად მოხდა.

ახალგაზრდა პატიმარი ბაქოს საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე ისწავლის. ციხეში მოხვედრამდე მას უნივერსიტეტში სწავლაზე არც კი უფიქრია.

„მამაჩემი მთიანი ყარაბაღის ბრძოლების დროს (1991-94) დაიღუპა. სწავლისთვის დრო არ მქონდა. დედაჩემისა და უმცროსი ძმის გამოსაკვებად ფულს მანქანების რეცხვით ვშოულობდი“, – თქვა ველიევმა IWPR-თან ციხეში საუბრისას.

„მაგრამ ჩემი ნაშოვნი ფული საკმარისი არ იყო. როცა დედაჩემი ავად გახდა, მშენებლობიდან მასალები მოვიპარე“, – გვითხრა ველიევმა, როცა მას ჩადენილი დანაშაულის შესახებ ვკითხეთ.

ველიევი ახლადწამოწყებული საცდელი პროექტის მონაწილეა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა პატიმრებს განათლების მიღების საშუალება პირველად ეძლევათ. გამოცდებისთვის პატიმრებს ციხეში ხუთი სკოლის მასწავლებელი ამზადებდა.

ოთხი დანარჩენი პატიმარი აზერბაიჯანის საზღვაო ტექნიკური ინსტიტუტის გარემოს დაცვის ფაკულტეტზე ისწავლის. სხვები კი სადაზღვევო საქმესა და ინგლისურ ენას დაეუფლებიან.

„ვფიქრობ, რომ ამგვარად რამდენიმე ახალგაზრდა პატიმარს, რომელიც მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის სამიდან ათ წლამდე სასჯელს იხდის, ნორმალური ცხოვრების პირობებში დაბრუნების საშუალება მიეცა“, – განაცხადა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სამსახურის ხელმძღვანელმა ნაზიმ ალეკპეროვმა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა აზერბაიჯანის ციხეებში პატიმრები საშუალო განათლებას იღებენ, უმაღლესი განათლების მიღების არანაირი საშუალება არ აქვთ და შესაბამისი კურსების გასავლელად მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც არ არსებობს.

„ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების მოსაძიებლად საერთაშორისო პრაქტიკას ვსწავლობთ“, – განაცხადა ალეკპეროვმა, რომელმაც ახლახან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რჩევები ბრიტანული დელეგაციისგან მიიღო. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ორგანიზაცია Penal Reform International-ის ყოფილი ხელმძღვანელი ბარონესა ვივიენ სტერნი, ედინბურგის ციხის მმართველი დეივიდ კროფტი და John Smith Memorial Trust-ის დირექტორის მოადგილე ჯოანა ლემი.

ციხეებში განათლების პროგრამის ერთ-ერთი მხარდამჭერის, პარლამენტის წევრისა და ორგანიზაცია „ქალი ლიდერების“ თავმჯდომარის მალახატ ჰასანოვას განცხადებით, ამჟამად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებისთვის განათლების მისაღებად არც საკანონმდებლო ბაზა არსებობს და არც პირობები.

როგორც ჰასანოვა აცხადებს, აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას პარლამენტის მიმდინარე სესიის დროს შეეცდება. ამ ინიციატივას მხარი პატიმრების ნაწილმაც დაუჭირა.

ორი წლის წინ 18 წლის ელშად ახმედოვს მკვლელობის ბრალდებით ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

„ჩემი დაკავებიდან ცოტა ხანში გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მაგრამ ახლა იმედი მაქვს, რომ ციხიდან გამოვალ და ნორმალურ, ახალ ცხოვრებას დავიწყებ“, – განაცხადა ელშადმა.

ოცი წლის რაშიდ მეხტიევი მთიან ყარაბაღში დაიბადა. ახლა ციხეში გაუპატიურების ბრალდებით ზის.

„სერიოზული დანაშაული ჩავიდინე, რადგან სულელი ბიჭი ვიყავი. ყოველ დღე ვლოცულობ და ალაჰს ჩემი ცოდვის პატიებას ვთხოვ“, – გვითხრა რაშიდმა. ახლა მას ინგლისურის სწავლა და ბიზნესში საქმიანობის დაწყება სურს.

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორი ელდარ ზეინალოვი ახალ ინიციატივას იწონებს და ამ პროგრამის გაფართოება სურს.

„ძალიან კარგია, რომ ახალგაზრდა პატიმრები, რომლებიც ჯერ სრულყოფილ კრიმინალებად არ ჩამოყალიბებულან, სხვა ცხოვრების შესახებ ფიქრობენ და თავისუფლებისთვის ემზადებიან“, – განაცხადა ზეინალოვმა.

ზეინალოვის განცხადებით, აზერბაიჯანში სასჯელაღსრულების სისტემის 18-დან 19 ათასამდე პატიმრიდან სწავლის სურვილი დაახლოებით სამასმა პატიმარმა გამოთქვა.

ზეინალოვს განსაკუთრებით გობუსტანის ციხეში მყოფ მსჯავრდებულთა ბედი აშფოთებს, რომლებსაც სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი. მათ განათლების მიღების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

„ამას წინათ ახალგაზრდა პატიმარს ნამიგ ველიევს, რომელიც 19 წლის ასაკში გაასამართლეს და ახლა 29 წლისაა, უმაღლესი განათლების მიღების უფლება არ მისცეს. სტუდენტური ცხოვრებიდან ის პირდაპირ სიკვდილის საკანში მოხვდა“, – განაცხადა ზეინალოვმა.

„აბსოლუტურად ყველა სასამართლომ, რომლებსაც იუსტიციის სამინისტროსთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდათ, ციხეების ადმინისტრაციას დაუჭირა მხარი. ახლა ბიჭს სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეაქვს“, – დასძინა ზეინალოვმა.

ალეკპეროვის განცხადებით, მთელი რიგი საკანონმდებლო ბარიერები ჯერ კიდევ გადასალახია.

„როგორც კი ეს პრობლემა გადაწყდება, განათლების მიღების უფლებას ყველა პატიმარს სიხარულით მივცემთ“, – დასძინა ალეკპეროვმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

მოკლედ

## იტალია - თურქეთი ჯაჩინტო ფაკეტის უკვდავსაყოფად

მსოფლიო ჩემპიონი იტალიის ნაკრები 15 ნოემბერს ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს თურქეთის ნაკრებთან. მატჩი ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელის, ამ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ჯაჩინტო ფაკეტის ხსოვნას ეძღვნება და ამიტომ მის მშობლიურ ქალაქ ტრევილიოში გაიმართება.

"ის დიდებული ფეხბურთელი და ადამიანი იყო. ჯაჩინტო ფაკეტი სამაგალითოა ყველა სპორტსმენისთვის. ასეთ ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ. ეს თამაშიც სწორედ ამიტომ იმართება - კიდევ ერთხელ მოვიგონოთ შესანიშნავი მოთამაშე," - განაცხადა ლუიჯი რივამ, იტალიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა და ფაკეტის თანაგუნდელმა.

ჯაჩინტო ფაკეტი 64 წლისა გარდაიცვალა. მან იტალიის ნაკრებში 94 შეხვედრა ჩაატარა, 1968 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, 1970 წელს კი - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. საკლუბო დონეზე მილანის "ინტერის" ღირსებას იცავდა და ამ კლუბთან ერთად რამდენჯერმე მოიგო იტალიის ჩემპიონატი, ხოლო 1964 და 1965 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასები.

გარდაცვალებამდე მშობლიური კლუბის პრეზიდენტი გახლდათ.

## ფრანგები ზიდანის თაობას აჯილდოებენ

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე საფრანგეთი 15 ნოემბერს ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ევროპის ჩემპიონ საბერძნეთის ნაკრებთან. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადებით, ამ მატჩის წინ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მომგები ფეხბურთელები სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდებიან.

საბერძნეთთან მატჩი საფრანგეთის ნაკრებისთვის უკანასკნელი იქნება 2006 წელს. შეგახსენებთ, რომ ევროპის ბოლო ჩემპიონატს ფრანგები სწორედ საბერძნეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ დაემშვიდობნენ - 2004 წელს პორტუგალიაში გამართული ტურნირის მეოთხედფინალში.

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ღირსებას შემდეგი ფეხბურთელები იცავდნენ:

**მეკარეები:** ბერნარ ლამა, ფაბიენ ბარტეზი, ლიონელ შარბონიე

**მცველები:** ვინსენ კანდელა, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ლილიან ტურამი, ემანუელ პეტი, ფრანკ ლებეფი

**ნახევარმცველები:** პატრიკ ვიეირა, იური ჟორკაეფი, დიდიე დეშამი, ზინედინ ზიდანი, რობერ პირესი, ბერნარ დიომედი, ალენ ბოგოსიანი, კრისტიან კარამბე

**თავდამსხმელები:** სტეფან გივარში, ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგე, კრისტოფ დიუგარი

**მწვრთნელი:** ემე ჟაკე

## "მილანი" კავენაგის ყიდულობს

იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ იტალიური "მილანი" მოსკოვის "სპარტაკის" არგენტინელი ფორვარდის ფერნანდო კავენაგის ყიდვას გეგმავს. თავის დროზე რუსეთში "სახალხო გუნდად" შერაცხულმა "სპარტაკმა" არგენტინელში 11,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. იტალიური მედიის ინფორმაციით, მილანური კლუბი კავენაგიში 5 მილიონ ევროზე მეტს არ გადაიხდის.

აღსანიშნავია, რომ რუსულ გუნდში კავენაგიმ ვერაფრით ვერ მოახერხა საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და მისთვის ტრანსფერი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

## ერიქსონი - "ვესტ ჰემში"

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი შესაძლოა ლონდონური "ვესტ ჰემის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის დასაწყისში "ვესტ ჰემში" სერიოზული ინვესტიციები ჩაიდო. ბრიტანეთში გავრცელებული ინფორმაციით, ამ ლონდონური კლუბის ერთ-ერთი მთავარი აქციონერი ცნობილი რუსი მილიარდერი ბორის ბერეზოვსკია. ცოტა ხნის წინ "ვესტ ჰემმა" ორი არგენტინელი ფეხბურთელი იყიდა - ხავიერ მასკერანო და კარლოს ტევესი. ამ დღეებში კი კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა ცნობილი საფეხბურთო აგენტი პინი ზაჰავი, რომელიც ერიქსონის საქმეებს წარმართავს.

## კოლერი ორი თვით "დაისვენებს"

ჩეხეთის ნაკრებისა და ფრანგული "მონაკოს" თავდამსხმელი იან კოლერი ტრავმის გამო ორ თვეს ვერ ითამაშებს. ჩეხ ფეხბურთელს მარჯვენა ფეხის ტერფი აქვს დაზიანებული.

"სამწუხაროდ, ისევ ის ფეხი მაწუხებს, რომლის გამო გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ვითამაშე. როგორც ექიმები ამბობენ, დაახლოებით ორ თვეს მომიწევს დასვენება", - განაცხადა კოლერმა.

## "ინტერი" რეკობას გარეშე დარჩა

იტალიური პრესის ცნობით, სერია ა-ს მე-8 ტურში "ლივორნო" - "ინტერის" შეხვედრისას "ნერიაძურის" ურუგვაელმა თავდამსხმელმა ალვარო რეკობამ მცირე ტრავმა მიიღო. თუმცა, რამდენად სერიოზულია ფეხბურთელის ტრავმა, ექიმები ჯერ ვერ ამბობენ. ერთი რამ კი ახლავე ცნობილია - რეკობა ვერც მილანურ დერბიში დაეხმარება "ინტერს" და ვერც ჩემპიონთა ლიგაზე მოსკოვის "სპარტაკის" წინააღმდეგ ითამაშებს.

## ლარსონი "ასტონ ვილას" უარყოფს

შვედური "ჰელსინბორგის" თავდამსხმელმა ჰენრიკ ლარსონმა უარყო პრესაში გავრცელებული ხმები ბირმინგემის "ასტონ ვილაში" მისი გადასვლის თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ "ჰელსინბორგში" შვედი თავდამსხმელი გასული სეზონის ბოლოს კატალონიური "ბარსელონადან" გადაბარგდა.

"ასტონ ვილას" თავკაც მარტონ ონილს დიდ პატივს ვცემ, თუმცა "ჰელსინბორგში" დარჩენა საბოლოოდ გადავწყვიტე", - განაცხადა ლარსონმა.

## მარადონას ძეგლს დაუდგამენ

"როიტერის" ინფორმაციით, კვირის ბოლოს არგენტინაში მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას დიეგო არმანდო მარადონას ძეგლს დაუდგამენ. ქანდაკება სამი მეტრი სიმაღლისა და 300 კგ-ზე მეტს იწონის. ძეგლი მარადონას ექს-კლუბის "ბოკა ხუნიორსის" მუზეუმში დაიდგმება. ფეხბურთელის ქანდაკების შესაქმენალად საჭირო თანხა საგანგებოდ ამ მიზნისთვის შექმნილი ინტერნეტ-საიტით მსოფლიოს ყველა ქვეყნის გულშემატკივრებს შორის შეგროვდა.

## დიდი გაცვლა

გუშინ ბრიტანულმა მედიამ თითქმის სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა, რომელიც შესაძლოა შეესაბამებოდეს სიმართლეს.

"ბარსელონას" პრეზიდენტმა "ჩელსის" გაცვლა შესთავაზა - კატალონიური კლუბიდან ლონდონში დეკუ გადადის, სანაცვლოდ "ბარსელონა" ფრენკ ლამპარდს მიიღებს. ამავე დროს ლაპორტა ლონდონელებს 10 მილიონ გირვანქა სტერლინგსაც დაუმატებს.

დეკუ მოურინიოს ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფეხბურთელია. ამავე დროს ცნობილია, რომ ლაპორტას ძალიან უნდა ლამპარდის ხილვა "ბარსელონას" რიგებში. თანაც თავად ლამპარდსაც აქვს ნათქვამი, რომ ბარსელონა მისი უსაყვარლესი ქალაქია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიხაელ ბალაკის ყიდვის შემდეგ "ჩელსის" ფაქტობრივად ორი ერთნაირი ტიპის ფეხბურთელი ჰყავს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გაცვლა აბსოლუტურად რეალურია.

რაგბი

# რეპეტიცია გადამწყვეტი ბრძოლის წინ

ვასილ უდუმაშვილი

დღეს, 14.00 საათზე, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დიდი რაგბია. ქართველი "ბორჯღალოსნები" რაგბის მსოფლიო თასის მატჩში ესპანელ "ლეონესს" დაუპირისპირდებიან. საქართველოს ნაკრებისთვის ამ მატჩის მოგება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გუნდი მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსს დაკარგავს. გამარჯვება კი ფინალური ეტაპის საგზურის გარანტიას მაინც არ გვაძლევს. ამის შემდეგ ქართველებს პორტუგალია-რუსეთის წყვილში გამარჯვებულთან მოუწევთ ჯახი 11 და 25 ნოემბერს.



ესპანელები ფავორიტად "ბორჯღალოსნებს" მიიჩნევენ.



წესით, ესპანეთის ნაკრები უნდა იოლად დავამარცხოთ. ხვალ შესაძლოა გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს ის, თუ ვინ მოიგებს პორტუგალიაში - ჩვენი მეტოქე სწორედ იქ გაირკვევა.

დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ჩვენი მომავალი მეტოქე პორტუგალიის ნაკრები უნდა იყოს. ჯერ ერთი, პირენეელები საკუთარ მინდორზე მასპინძლობენ რუსებს. მეორეც, მათ უფრო ძლიერი გუნდი ჰყავთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როგორ უდგებიან რაგბის მამები პორტუგალიის ნაკრებს. შეგახსენებთ პორტუგალია - საქართველოს მატჩს, როდესაც მსაჯმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ "ბორჯღალოსნებს" არ მოეგოთ. კიდევ ერთი დეტალი, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება. ესპანეთის დამარცხების შემთხვევაში მორიგ მატჩს ქართველები 11 ნოემბერს გამართავენ. რაგბის მამებმა აქაც ჩვენს მეტოქეს დაუჭირეს მხარი. წესით, პლეი-ოფის პირველი შეხვედრა საქართველოს ნაკრებს მეტოქის მინდორზე უნდა გაემართა, რაც გარკვეულ უპირატესობას იძლევა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ პირველ მატჩს თბილისი უმასპინძლებს.

თუმცა, ჯობს შევეშვათ მომავალ ბატალიებს და დღევანდელ მატჩზე ვთქვათ. პირველ რიგში ხომ ესპანეთის ნაკრებია დასამარცხებელი. გუშინ რაგბის კავშირის ოფისში ესპანეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელების პრესკონფერენცია გაიმართა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა გუნდის მდგომარეობაზე ისაუბრა. სამწუხაროდ, ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ მაჩხანელი, ჯიმშელაძე და მაისურაძე. ლაბაძე კი, ნაკრების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ამ თამაშზე საერთოდ არ ჩამოსულა.

ერთი სიტყვით, ასეთია საქართველოს ნაკრების დანაკლისი, თუმცა ესპანელთა ძლევა ამ მორაგბეების გარეშეც უნდა შევძლოთ. მთავარია, რომ ისინი მომავალი მატჩებისთვის იყვნენ მზად. ნოემბრის შეხვედრებში საქართველოს ნაკრების ბედი გადაწყდება და ჩვენს გუნდს ყველა წამყვანი მორაგბე დასჭირდება.

პრესკონფერენციაზე მცირე კომენტარი გააკეთა "ბორჯღალოსნების" კაპიტანმა ილია ზედგენიძემ: "ჩვენი მთავარი მეტოქე თავად ჩვენ ვართ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შეცდომები, რომლებიც აქამდე იყო და ესპანელებს მოვუგოთ".

ახლა ესპანეთის ნაკრებზეც ვთქვათ. ეს გუნდი ევროპული რაგბის გრანდებს ნამდვილად არ განეკუთვნება, თუმცა ბოლო დროს ესპანეთში რაგბის პოპულარიზაციაზეც ზრუნავენ. ამ მიზნით ნაკრების მთავარ მწვრთნელად ინგლისელი გერარდ გლინი დაინიშნა, რომელმაც გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მისთვის ესპანეთში მუშაობა ახალი და საინტერესო გამოცდილებაა. დღევანდელ მატჩთან დაკავშირებით კი თქვა, რომ ფავორიტად ქართველ მორაგბეებს მიიჩნევს.

ერთი საინტერესო ინფორმაცია გულშემატკივრებისთვის, რომლებიც, იმედია, დღეს მრავლად იქნებიან სტადიონზე. ტაიმებს შორის სტადიონზე მოსულ ქომაგებს საინტერესო სანახაობა ელით - გაიმართება ამხანაგური მატჩი საქართველოსა და აზერბაიჯანის ქალ მორაგბეთა შორის.

ფორმულა 1

# ვინ იპოვის გამარჯვების ფორმულას?

გიორგი ნაფარეული

*ინტერლაგუშის ტრასაზე ბრაზილიის დიდი პრიზის დამთავრებისთანავე, რამაც 2006 წლის სეზონის დასასრული გვაუწყა, გაჩნდა რამდენიმე შეკითხვა: რა ელის ფორმულა 1-ს მიხაელ შუმახერის წასვლის შემდეგ? იქნება თუ არა კონკურენტუნარიანი მომავალ სეზონშიც სკუდერია "ფერარი" და მრბოლთა ახალი გენერაციიდან ვის აქვს უკეთესი შანსი დაიკავოს გრძელვადიან პერსპექტივაში "წითელი ბარონის" მიერ გათავისუფლებული ტახტი?*



ჯერჯერობით გამოცანაა, როგორი ბოლიდით დაიწყებს 2007 წლის სეზონს "ფერარი".

### "ფერარი": აურზაური საჭინიბოში

თუ როგორ ფორმაში შეხვდება სკუდერია მომავალი წლის გაზაფხულზე ახალი სეზონის პირველ ეტაპს მელბურნში, ჯერჯერობით გამოცანად რჩება. როგორც ჩანს, შუმახერის ნაცვლად "ფერარიში" პირველ ნომრად კიმი რაიკონენს დააყენებენ, მაგრამ ფელიპე მასას დამაჯერებელი გამარჯვება სან პაულუში სათუოს ხდის ბრაზილიელის თანხმობას დასჯერდეს მხოლოდ აუტსაიდერის როლს. ცვლილებებია მოსალოდნელი მენეჯერთა და ინჟინერთა გუნდშიც: უკვე ცნობილია, რომ ერთწლიან შვებულებას იღებს "ფერარის" ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი, რომლის თანამშრომლობამ შუმახერთან (ჯერ კიდევ "ბენეტონის" ხანაში დაწყებულმა) გარკვეულწილად განაპირობა "ფერარის" რენესანსი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. გარდა ამისა, შესაძლოა, რომ ამ დეკადის განმავლობაში სკუდერიაში ჩამოყალიბებული ინტერნაციონალური შემადგენლობა უფრო მონოეთნიკური, ანუ ტრადიციულად იტალიური გახდეს: როდესაც ლუკა დი მონტიძემოლო, "ფერარის" მენეჯერი ნიკი ლაუდას ჩემპიონობისას 1975 და 1977 წლებში, გუნდს დაუბრუნდა 1993 წელს, მისი ამოცანა იყო "ფერარის" ამოთრევა იმ ხუთწლიანი მარაზმიდან, როგორშიც სკუდერია მოხვდა ენცო ფერარის გარდაცვალების შემდეგ. ამისთვის მან თავისი ადრინდელი მენეჯერის პოსტი საავტომობილო რბოლების ყოფილ შტურმანს, ფრანგ ჟან ტოდტს შესთავაზა. ტოდტის მენეჯმენტისას გუნდში დიდ ინტერნაციონალს მიეცა დასაბამი. ასე მაგალითად, წამყვანი პოსტები ეკავათ გერმანელს (შუმახერი), რამოდენიმე ინგლისელს (ბრაუნის გარდა აქ იყვნენ კომპიუტერული პროგრამების გენიოსად წოდებული ტედ ჩაპსკი და მთავარი მექანიკოსი ნაიჯელ სტეპნი), სამრეთაფრიკელს (ბოლიდის შასის ანუ კარკასის დიზაინერი რორი ბერნი), ბერძენს (აეროდინამიკოსი ნიკოლას ტომბაძისი), კიდევ ერთ ფრანგს (ძრავების დიზაინერი ჟილ სიმონი) და ავსტრალიელს (შუმახერის სარბოლო ინჟინერი კრის დაიერი). შესაბამისად, თუ ბოლო წლების განმავლობაში სკუდერიის ოფისებში სამუშაო ენად ადგილობრივი, მოდენური დიალექტი ინგლისურმა შეცვალა, მომავალი სეზონიდან შესაძლოა დანტესა და მაკიაველის ენამ ისევ იმძლავროს: გასულ კვირას ინტერლაგუშის რბოლისას დამკვირვებლებმა ჟან ტოდტისა და როს ბრაუნის გვერდით 41 წლის სტეფანო დომინიკალი შენიშნეს. მას უკვე კარგა ხანია ახალ დი მონტიძემოლოდ მოიხსენიებენ. გარდა ამისა, ლაპარაკია, რომ წამყვან პოზიციებზე აღმოჩნდებიან 43 წლის ლუკა ბალდისერი, ვინც როს ბრაუნთან ერთად რბოლების სტრატეგიას აყალიბებს და 44 წლის ალდო კოსტა, გუნდის საინჟინრო დეპარტამენტის დირექტორი. ამის მიუხედავად, საეჭვოა, რომ სკუდერია "ფერარის" ოფისებში მაკარონის ჭამისა და ლამბრუსკოს სმის ადრინდელი ტრადიცია აღორძინდეს. როს ბრაუნის იუმორნარევი თქმისა არ იყოს, "ჩვენ ზედმეტად გავლენიანები ვართ, რომ ეს მოხდეს".

### ეყოლება თუ არა "ფორმულას" ახალი ბარონი?

ინგლისელი ჟურნალისტის რიჩარდ უილიამსის თქმისა არ იყოს, ბრაზილიის გრან-პრიზე ოცდაორივე მრბოლი ერთნაირ მანქანებში რომ ჩაგვესვა, ამ ეტაპსაც შუმახერი მოიგებდა. მართლაც, პენსიაზე გასვლის დღესაც კი "წითელმა ბარონმა" მკაფიოდ მონიშნა თავისი ტერიტორია. ახლა საკითხავი ის არის, შეუძლია თუ არა ფორმულა 1-ის ახალგაზრდა მგლებიდან რომელიმეს დაავიწყოს რბოლების მოყვარულთ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი.

შუმახერის ბუნებრივ მემკვიდრედ თითქოს ფერნანდო ალონსო გვესახება. მაგრამ "რენოდან" მდიდარი წარსულის მქონე, მაგრამ ამჟამად საშუალო დონის "მაკლარენში" ესპანელის გადასვლამ შეიძლება შეაფერხოს (დროებით მაინც) მისი წინსვლა. გავიხსენოთ, რომ 1994 წლის სეზონის ბოლოს იმ დროს ორგზის მსოფლიო ჩემპიონის მიხაელ შუმახერის ტრანსფერმა "ბენეტონიდან" "ფერარიში" გერმანელს რამდენიმე წარუმატებელი სეზონი მოუტანა. ასე რომ, სპეციალისტთა აზრით, ძველი გვარდიის (რაიკონენი, მასა, ბატონი, მონტოია, ფიზიკელა, ჰაიდფელდი...) გარდა ჰორიზონტზე რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა გამოჩნდა, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულონ მომავალი სეზონების რბოლებში. აი, რამდენიმე მათგანი:

### ჰეიკი კოვალაინენი (24 წლის)

ფინელს დიდი პატივი ერგო წილად, რადგან მომავალი სეზონიდან "რენოში" მსოფლიო ჩემპიონს ალონსოს ჩაანაცვლებს. გუნდის ერთ-ერთი მენეჯერის პეტ საიმონდსის აზრით, კოვალაინენსა და ალონსოს ბევრი აქვთ საერთო: "ის სწრაფია, ჭკვიანი და ფერნანდოსავით ადვილად ითვისებს ინფორმაციას. კოვალაინენს დიდი პოტენციალი აქვს".

### რობერტ კუბიცა (21 წლის)

ახალგაზრდა პოლონელი გასული სეზონის ყველაზე სერიოზული აღმოჩენაა და არცაა გასაკვირი, რომ "BMW-ზაუბერმა" ყველაფერი გააკეთა მის შესანარჩუნებლად. ყოფილი "ტესტ-დრაივერი" გერმანიის დიდი პრიზის დროს დააწინაურეს პილოტად და შემდეგ, მონცას უაღრესად პრესტიჟულ რბოლაზე, მესამე ადგილზეც კი გაიყვანა თავისი ბოლიდი. "BMW-ზაუბერში" ლაპარაკია აგრეთვე 19 წლის გერმანელ სებასტიან ვეტელზე, რომელსაც მესამე პილოტად აიყვანენ ნიკ ჰეიდფელდისა და რობერტ კუბიცას შემდეგ.

### ლიუის ჰამილტონი (21 წლის)

ეს ბრიტანელი ყმაწვილი "მაკლარენში" ვუნდერკინდად მიაჩნიათ. ჰამილტონმა მოიგო წლევანდელი GP-2 ფორმატის ჩემპიონატი, მაგრამ, მისივე თქმით, ჯერ არ არის მზად ფორმულა 1-ისთვის. "თუ როდის შედგება ჰამილტონის დებიუტი ჩვენთან ერთად, ამას გადავწყვეტთ გარემოებების მიხედვით. ჩვენ არ გვინდა ზედმეტად გავრისკოთ", - განაცხადა გუნდის მენეჯერმა რონ დენისმა.

### ნიკო როსბერგი (21 წლის)

სპეციალისტთა აზრით, კიდევ ერთმა ფინელმა ტალანტმა მამამისის, კეკე როსბერგისგან მემკვიდრეობით მებრძოლი სულისკვეთება მიიღო. გასულ კვირას ბრაზილიაში მისი დებიუტი "უილიამსის" გუნდში არ გამოდგა უპრობლემო: როსბერგმა დაამტვრია საკუთარი ბოლიდიც და თავისი თანაგუნდელის მარკ ვებერისაც. მიუხედავად ამისა, გუნდის ერთ-ერთი მენეჯერის პატრიკ ჰედის თქმით, "ჩვენ კვლავაც ვფიქრობთ: ნიკოს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ფორმულა 1-ის ნამდვილ ვარსკვლავად იქცეს".

ფეხბურთი

# ზოგი ასე უბერავს, ზოგიც ისე უბერავს

მარი ჯავახიშვილი

ინგლისი-გერმანიის საფეხბურთო მეტოქეობაზე დღემდე ბევრი თქმულა და დაწერილა. 1966 და 1996 წლების "უემბლი", 70-ის ლიონი, 90-ის ტურინი, 2001-ის მიუნხენი... ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ალემანთა და ალბიონელთა ყოველი მორიგი დაპირისპირება ისტორიაში ლეგენდარულის სახელით შედის. თუმცა, უკანასკნელ წლებში ამ ერთგვარი "დერბის" გამარჯვებული უფრო ხშირად ინგლისელები ხდებოდნენ.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, გერმანულმა გამოცემამ Deutsche Sprachwelt-მა ინგლისელებთან ბრძოლა ერთობ უცნაური მეთოდებით წამოიწყო. გავლენიანმა ჟურნალმა მკითხველებს მოუწოდა სტადიონზე არ გამოიყენონ არც ერთი სიტყვა, რომელიც ინგლისურს უკავშირდება. ასე მაგალითად, ნაცვლად კიპერისა (Der Keeper), ამიერიდან ბუნდესლიგის ნაკრების კარს "ტორვარტი" (Torwart) დაიცავს, გოლის ავტორს კი ტრადიციული "გოლგეთერის" (Goalgetter) ნაცვლად "ტორიეგერად" (Torjaeger) მოიხსენიებენ. საყოველთაოდ ცნობილი გუნდური სული "თიმსპირიტ" (Teamspirit) ალემანთათვის "მანშაფტსგეისტად" (Mannschaftsgeist) გადაიქცა, პერსპექტიული ახალგაზრდების მოძიებით კი სკაუტების მაგივრად ეგრეთ წოდებული "შპილბეობახტერები" (Spielbeobachter) დაკავდებიან.

თავისი ახალი იდეის დასტურად Deutsche Sprachwelt-მა ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში ეროვნულ სამოსში გამოწყობილი "ბაიერნის" სრული შემადგენლობის ფოტო გამოაქვეყნა.

 აი, ესპანეთში კი გულშემატკივრებს მსგავსი საკითხები დიდად არ ანაღვლებთ. აქ საყვარელ გუნდს, რომ იტყვიან, სულით ხორცამდე გულშემატკივრობენ.

რამდენიმე დღის წინ "რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონი მადრიდის გარეუბან ვალდემოროში მდებარე მონასტერს ესტუმრა. პრეზიდენტის ვიზიტის მიზეზი მონასტერში მცხოვრები "გალაქტიკოსის" მხურვალე ქომაგის... 105 წლის მარია კალვო კასარესის მონახულება გახლდათ, რომელიც ყოველდღე ლოცულობს "რეალის" წარმატებისთვის.



ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მიუნხენის "ბაიერნი".

მადლობის ნიშნად კალდერონმა 105 წლის მონაზონს საკლუბო კაშნე და გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელის ავტოგრაფით დამშვენებული ბურთი აჩუქა.

"ბავშვობიდან "რეალს" ვქომაგობ და ჩემს ყოველდღიურ ლოცვებში ღმერთს ამ გუნდის გამარჯვებას ვთხოვ. თუმცა, ეს ყოველთვის არ ამართლებს. მინდა, რომ ამ სეზონში "სამეფო გუნდმა" მეათეჯერ ასწიოს ჩემპიონთა ლიგის თასი", - გამოტყდა მარია კალვო კასარესი.

ასეთი გულშემატკივრობით, ცხადია, ვერც ბევრი ევროპული და, მათ შორის, ესპანური კლუბი დაიკვეხნის. მაგრამ ფანობის საკითხში პრიმერადივიზიონის კიდევ ერთ კლუბს - "ბეტისსაც" ეთქმის სიტყვა. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ესპანურ კლუბს შორეულ ვიეტნამში ჰყავს სეხნია. ესპანელი და ევროპელი გულშემატკივრისთვის კარგად ცნობილი თეთრ-მწვანე ფორმისგან განსხვავებით, აზიური "ბეტისის" ფეხბურთელები ლურჯი ფორმით იცავენ კლუბის ღირსებას, თუმცა ეს ხელს არ უშლის ვიეტნამელებს სევილიელთა გერბის ორიგინალი გამოიყენონ.

პორტუგალიელმა ვინმე მარია მანუელა ფერეირამ კი თავისი საყვარელი "ბარსელონას" ბრაზილიელი გამთამაშებლის რონალდინიოს მიმართ საკმაოდ ორიგინალურად გამოხატა. ახალგაზრდა ქალბატონი რამდენიმე თვის განმავლობაში ამზადებდა ბრაზილიელის პროტოტიპის ორმეტრიან თოჯინას. მარიას თქმით, თავის შედევრს თავად გადასცემს რონალდინიოს, ოღონდ ჯერ არ იცის როდის.

ერთი სიტყვით, ფეხბურთისა და ფეხბურთელების სიყვარულს ყველა თავისებურად გამოხატავს.

# წითური იუბილარი

## პოლ სქოულზმა "მანჩესტერის" მაისურით მეხუთასე მატჩი გამართა

მარი ჯავახიშვილი

გასულ უქმეებზე პრემიერლიგური დაპირისპირება "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ლივერპულს" შორის რეკორდული გამოდგა. იმ დღეს "ოლდ ტრეფორდზე" უამრავმა იუბილარმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი. მასპინძელთა ნახევარმცველის პოლ სქოულზის გარდა, რომელიც "წითელი ეშმაკუნების" მაისურით მე-500 მატჩს ატარებდა, იყო კიდევ სამი, ეგრეთ წოდებული მრგვალთარიღიანი ფეხბურთელი. სტივენ ჯერარდი მერსისაიდული კლუბის შემადგენლობაში 350-ჯერ თამაშობდა, რიისე - 150-ჯერ, ფეხბურთელთაგან ყველაზე ახალგაზრდა უეინ რუნიმ კი ასიანს უწია.

თუმცა, გმირთაგმირი მაინც პოლ სქოულზი გამოდგა - ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ინგლისელი ფეხბურთელი საგანგებო პრიზით დააჯილდოვა ყველა დროის საუკეთესო მანჩესტერელმა, სერ ბობი ჩარლტონმა.

...14 წლის იყო სელფორდელი ბიჭუნა, ბრაიან კიდი რომ შეუჩნდა და პატარა პოლსა და მის ოჯახს არწმუნებდა, ბიჭი "მანჩესტერ იუნაიტედში" უნდა მივიდესო. ყველამ კარგად იცოდა, რომ პოლს თამაში შეეძლო, თუმცა ერთადერთი პრობლემა სქოულზების ოჯახი იყო - დათანხმდებოდნენ თუ არა ისინი პოლის "ოლდ ტრეფორდზე" თამაშს. ამასობაში კიდი, რომელიც იმხანად "მანჩესტერ იუნაიტედის" იუნიორთა სკოლას თავკაცობდა, როჩდეილის სკოლის გუნდების მატჩებს ესწრებოდა და სქოულზის თამაშს ადევნებდა თვალს. დამწყები ფეხბურთელი ყოველდღიურად განიცდიდა პროგრესს.

საბოლოოდ კიდის დაჟინებამ თავისი ქნა და 1994 წელს პოლ სქოულზმა "მანჩესტერ იუნაიტედის" წითელი მაისურა მოირგო. იმ დღიდან მოყოლებული, წითური ფეხბურთელი "ოლდ ტრეფორდის" გულშემატკივართა საყვარელი მოთამაშეა. ფანების გულის მოგება სქოულზმა ხასიათის სიმტკიცითა და ჟინიანი თამაშით შეძლო. ალბათ სწორედ მისმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ დღეს მის ანგარიშზე 500 მანჩესტერული მატჩია.

ეს ციფრი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ინგლისელი ნახევარმცველის განვლილ კარიერას, რომელიც ნამდვილად არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ერთხანს მის საფეხბურთო კარიერას დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. საქმე ის გახლავთ, რომ ექიმებმა ფეხბურთელს ასთმის დიაგნოზი დაუსვეს, რაც ეჭვქვეშ აყენებდა სქოულზის თამაშს. თუმცა, საბედნიეროდ, ინგლისელმა ნახევარმცველმა ავადმყოფობას სძლია.



სქოულზმა იუბილე გოლით აღნიშნა.

გასულ სეზონზე "მანჩესტერის" ნახევარმცველი მორიგი საფრთხის წინაშე დადგა - ამჯერად მხედველობასთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემები. მაგრამ ხასიათის სიმტკიცემ და ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა თავისი ქნა და სქოულზი ისევ მოედანზეა.

"ეს ორმაგი გამარჯვებაა, თუ გავითვალისწინებთ პოლის შარშანდელ რთულ პერიოდს, როცა მხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს გადააწყდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, დავეხმარეთ საუკეთესო სპეციალისტების მოძებნაში. საბედნიეროდ, ექიმებმა გვითხრეს, რომ მისი პრობლემები დროებითი იყო", - იხსენებს მანჩესტერელთა თავკაცი.

ფერგიუსონისვე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "მანჩესტერმა" ზარ-ზეიმით აღნიშნა ფეხბურთელის 500-მატჩიანი იუბილე, 31 წლის ნახევარმცველი ასეთ დროს ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს.

"პოლი ძალიან თავშეკავებული ადამიანია. ხმაურიან ადგილებს შინ, ოჯახთან ერთად ყოფნა ურჩევნია. თანამედროვე ფეხბურთელებს ხომ სახლში ვერ გააჩერებ. ჩვენ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა პოპულარობის აუცილებელი პირობაა მუდმივად ჩანდე მოდურ საღამოებზე. მაგრამ პოლს არც საზოგადო აზრი აინტერესებს და არც გადაჭარბებული ყურადღება. შეიძლება ვინმემ პოლისადმი გადაჭარბებულ ყურადღებაში დაგვადანაშაულოს, მაგრამ, ჩემი აზრით, მან ღირსეულად დაიმსახურა ის ჯილდო, რომელიც გადავეცით", - ამბობს სერ ალექს ფერგიუსონი.

# იმედი ბოლოს კვდება

## მორიენტესი ნაკრებში გამოძახებას მშვიდად ელის

ნისლიანი ალბიონიდან სამშობლოში დაბრუნებულ ფერნანდო მორიენტესს, რომ იტყვიან, "ვალენსიაში" მეორე სუნთქვა გაეხსნა. "ლივერპულიდან" "ღამურებში" გადასული თავდამსხმელი კლუბს წარმატებულ სტარტში დაეხმარა და დღეისთვის "ვალენსია", "ბარსელონას" მხარდამხარ, პრიმერადივიზიონის სატურნირო ცხრილს ლიდერობს.

უეფას ოფიციალური გამოცემა "რეალისა" და "მონაკოს" 30 წლის ექს-თავდამსხმელთან საუბრისას შეეცადა გაეგო, რა შეიცვალა ფეხბურთელის ცხოვრებაში სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

**- შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთში დაბრუნება წარმატებული აღმოჩნდა...**

- საბედნიეროდ, ასეა. ესპანეთის ჩემპიონატში ხელმეორედ თამაში მართლაც ძალიან მინდოდა, თუნდაც იმიტომ, რომ პრიმერას საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ და ყველაზე კომფორტულად სწორედ აქ ვგრძნობ თავს. მიხარია, რომ სეზონის სტარტი ბრწყინვალედ დავიწყეთ, თუმცა ამას მარტივი ახსნა აქვს - ჩვენი გუნდი შესანიშნავ ფორმაშია.

**- თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, გამოვა, რომ საშუალოდ ერთ თამაშში ერთი გოლი გაგაქვთ. თქვენს ასაკში ეს საკმაოდ კარგი შედეგია...**

- პირველ რიგში ეს ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. პარტნიორები შესანიშნავად ეწყობიან ჩემს სათამაშო სტილს, რის გამოც ჩემმა შედეგიანობამ მოიმატა.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ დავიდ ვილა თქვენს მეწყვილედაა დაბადებული...**

- დავიდი მართლაც იდეალური ფორვარდია, რომელმაც, ასაკის მიუხედავად, სრულად მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. ამ ეტაპზე ის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ შარშანდელთან შედარებით, უკეთესად თამაშობს. ვილას გარდა, "ვალენსიაში" კიდევ ორი მაღალი დონის თავდამსხმელია - სილვა და ანგულო.

**- თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ეტაპზე "ბარსელონა", "რეალი", "სევილია" და "ვალენსია" იდეალურ ფორმაში არიან, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ წლეულს ესპანურ ინჩადას დაუვიწყარი სეზონი ელის?**

- არ გამოვრიცხავ, რომ სეზონის მიმდინარეობისას პირველობისთვის ბრძოლაში რომელიმე სხვა კლუბიც გამოერიოს. ჩემი აზრით, ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა სხვა გუნდებსაც შეუძლიათ.

**- მოდით, "რეალზეც" ვთქვათ. როგორ მოგწონთ თქვენი ყოფილი კლუბის ახალი დამრიგებელი?**

- ჯერჯერობით "რეალს" მცირეოდენი პრობლემები მაინც აწუხებს. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი - გუნდში ხომ ახალი ფეხბურთელები და ახალი მწვრთნელი არიან. მაგრამ "სამეფო გუნდი" თანდათან უმატებს. ამის დასტურია ისიც, რომ დღეს ისინი მხოლოდ ერთი ქულით ჩამოგვრჩებიან.



მორიენტეს იმედი აქვს, რომ ნაკრების ღირსებას კიდევ დაიცავს.

**- როგორ ფიქრობთ, "ვალენსიას" კიდევ დიდი დრო სჭირდება, რომ ევროპის უძლიერეს კლუბთა შორის ჩაეწეროს, როგორც ეს ექტორ რაულ კუპერის დროს იყო?..**

- ჩემი აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება "ვალენსიას" სათავეში. ის უფრო მნიშვნელოვანია, ვის გვარგუნებს წილისყრა და როგორ მოვემზადებით თითოეული შეხვედრისთვის. ის, რომ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული სტარტი ავიღეთ, ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარია, ასევე გავაგრძელოთ.

**- მიმდინარე სეზონში თქვენ ერთადერთი ფეხბურთელი ხართ, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაზე ოთხი კლუბის - "რეალის", "მონაკოს", ლივერპულისა" და "ვალენსიას" მაისურით აქვს გოლები გატანილი...**

- ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ 21 წლისა უკვე "რეალის" ღირსებას ვიცავდი და ლიგაზე თამაშიც მომიხდა. ცხრა წლის წინ მიღებული გამოცდილება დღემდე ძალიან მეხმარება.

**- თუ თქვენს შედეგიანობას გავითვალისწინებთ, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში არ გიწვევენ...**

- მიზეზს ვერ გეტყვით. თუმცა, ის კი შემიძლია გითხრათ, რომ თამაშს ასეთივე ტემპით განვაგრძნობ. იმედი მაქვს, კარიერის დასრულებამდე კიდევ მომიწევს ნაკრების ღირსების დაცვა. ხომ იცით, იმედი ბოლოს კვდება.

მოკლედ

### ნესტა "ლაციოში" ბრუნდება

იტალიის ნაკრებისა და "მილანის" მცველმა ალესანდრო ნესტამ ჯერჯერობით არ გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. იტალიაში იმასაც კი ამბობენ, რომ ალესანდრო მშობლიურ "ლაციოში" აპირებს დაბრუნებას. თუმცა ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება, რადგან, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ნესტამ კიდევ ორი წელი უნდა ითამაშოს "მილანში".

### უბრალო სიმულაცია

სიმულაციის პრობლემა თანამედროვე ფეხბურთში სულ უფრო აქტუალური ხდება. ფიფას მთავარი სამედიცინო სამსახურის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სიმულაციის არაერთი მაგალითი იყო. იმ შემთხვევების უმეტესობა, როდესაც ფეხბურთელს მინდორზე სამედიცინო დახმარებას უწევდნენ, უბრალო სიმულაციაა და მეტი არაფერი. ფეხბურთელები ტაქტიკური მოსაზრებით აჭიანურებდნენ დროს. მუნდიალის 64 მატჩში ასეთი 145 შემთხვევა დაფიქსირდა. 58 პროცენტ შემთხვევაში ფეხბურთელებს დახმარება არ სჭირდებოდათ.

### ნადირობა არგენტინელ ვუნდერკინდზე

"რივერ პლეიტის" 18 წლის ფორვარდის გონსალო იგუაინას შეძენა ახლა რამდენიმე ევროპულ ტოპ-კლუბს სურს. ამ ფეხბურთელზე ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული. მიუხედავად იმისა, რომ არსენ ვენგერის განცხადებით, მისი გუნდი ზამთარში ფეხბურთელების ყიდვას არ გეგმავს, ლონდონური კლუბის მესვეურები მაინც მართავენ მოლაპარაკებას არგენტინელებთან. ამავე დროს ფეხბურთელის შეძენა რამდენიმე ესპანურ და იტალიურ კლუბსაც უნდა. გუშინ ფრანგული პსჟ-ც ჩაერია საქმეში. ფრანგული მედია 18 წლის ვუნდერკინდს უკვე ადარებს დავიდ ტრეზეგეს, რომელიც მართალია საფრანგეთის ნაკრებში თამაშობს, მაგრამ წარმოშობით არგენტინელია.

### მანჩინი დაიღალა

მილანის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი უკვე დაიღალა ადრიანოს ტრანსფერზე გავრცელებული ჭორების მოსმენით. დღე ისე არ გავა, რომ ბრაზილიელი ფორვარდი რომელიმე ევროპულ გრანდში არ გაამწესონ. ცხადია, ასეთი ვითარება მანჩინის არ მოსწონს.

"გაფრინდა თუ არა ადრიანო სახლში? ამ შეკითხვაზე ადგილობრივი ავიაკომპანიების მესვეურები უკეთ გიპასუხებენ. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ფეხბურთელის გაყიდვას არ ვაპირებთ. უკვე დავიღალე ამაზე საუბრით. ნუთუ ჟურნალისტებს სხვა სალაპარაკო თემა არ გაქვთ. ადრიანოს ტრანსფერზე გაუთავებელი საუბარი, ვფიქრობ, მხოლოდ ჩემთვის არ უნდა იყოს მოსაწყენი", - ამბობს მანჩინი.

### ლიპი - მექსიკაში

იტალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ უახლოეს მომავალში შესაძლოა მექსიკის ნაკრები ჩაიბაროს. მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობას 16 ნოემბერს დაასახელებს. როგორც ამბობენ, ამ პოსტის დაკავების მთავარი კანდიდატი სწორედ მარჩელო ლიპია, რასაც არც მექსიკის ფედერაციის ხელმძღვანელობა უარყოფს. თავად ლიპი ამის თაობაზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

### ბექჰემი 5 მილიონად

უახლოესი სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ ბექჰემი შესაძლოა ესპანეთიდან სამშობლოში დაბრუნდეს. "დევიდმა ყველაფერი გადაწყვიტა. თუ ისევ ვერ მოხვდება ძირითად შემადგენლობაში, აუცილებლად დატოვებს გუნდს", - ამბობს სამეფო კლუბის წარმომადგენელი. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე "რეალმა" დევიდი 25 მილიონ გირვანქა სტერლინგად იყიდა, ახლა კი კლუბი, რომელსაც ბექსის შეძენა მოუნდება, ფეხბურთელს 5 მილიონ გირვანქა სტერლინგად მიიღებს.

# პრეზენტაცია სამი თვის დაგვიანებით

## ოპერის თეატრის ორკესტრს ბედნიერი მომავალი ემუქრება

სოფო კილასონია

ოპერისა და ბალეტის თეატრის საოპერო დასისთვის ზაფხულმა მთლიანად შვედეთის, "დალჰალას" ფესტივალისთვის მზადებასა და შემდეგ მისი შთაბეჭდილებების, ეიფორიის ქარცეცხლში განვლო. გასტროლი, რომელიც 8 ოქტომბერს დაიწყო და რამდენიმე დღე გაგრძელდა, მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს გახდა მსჯელობის საგანი. გასტროლს წარმატებით ჩაუვლია. ამ წარმატების ილუსტრაციასა და განზოგადებას ემსახურებოდა მიღება კულტურის სამინისტროში, რომელზეც მინისტრი გიორგი გაბაშვილი თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად გვმასპინძლობდა.

რამდენიმე დღე შვედეთში შავთეთრად აღიბეჭდა უცხოელი ფოტოგრაფის ფირზე, რომლის გამოფენაც კულტურის მინისტრმა დაგვახვედრა. რამდენიმე დღე ულამაზეს კრატერთან ფერშიც გვაჩვენეს, ამისთვის დავით საყვარელიძეს ვიდეო "სასწაულები" ეხმარებოდა. ვიზუალური მასალა არაფერი იქნებოდა, რომ არა თვითმხილველთა რეპლიკები და საინტერესო და ენთუზიაზმით აღსავსე ჩვენი გიდი, ოპერის დირექტორის სახით.

დალჰალას ფესტივალზე ქართველები ორი საოპერო ნაწარმოებით წარდგნენ. კამილ სენ-სანსის "სამსონი და დალილა" (საკონცერტო შესრულება) და ჯუზეპე ვერდის "ტრუბადური" გახდა მიზეზი იმ გამოხმაურებისა, რომელსაც შვედური გაზეთები ადასტურებდნენ და რომ ზედაპირულობაში არ დაგვადანაშაულონ, აქვე მოვიყვანოთ ტექსტები, რომლის გაცნობის საშუალებაც სამინისტროში მოგვეცა:

"...შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა საოპერო კოლექტივმა მსმენელთა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სრულიად სამართლიანად და არგუმენტირებულად შეიძლება ვილაპარაკოთ ისეთ ფენომენზე, როგორიც ანსამბლია. საქართველოს ნამდვილად აქვს თავისი გამორჩეული საოპერო კულტურის გამო სიამაყის ყოველნაირი საფუძველი... აღსანიშნავია, რომ დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა კვლავაც გვაჩვენა და დაამტკიცა თავისი გამორჩეული შესაძლებლობები, ისევ წარმოჩნდა დრამატული სცენების მისეული გააზრებისა და ხაზგასმის მაქსიმალური ძალმოსილება", - **კარლ-გუნარ ოჰლენი,** "ყოველდღიური შვედური გაზეთი".



ფესტივალის სცენა

"გუშინ და გუშინწინ (იგულისხმება ორი სპექტაკლი) ორი უდიდესი მოვლენა მოხდა დალჰალას ისტორიაში. ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე, არაჩვეულებრივი ხმები გყავთ, არაჩვეულებრივი იყო გუნდი და ორკესტრი. თქვენ გაქვთ ტრადიცია, ტრადიცია ჩვენც გვაქვს, მაგრამ თქვენ განსაკუთრებული ტრადიცია გქონიათ. ქართველების სიმღერა სულში ჩამწვდა, ამ სილამაზის გამო ცრემლიც მომადგა, ბედნიერი ვარ! მუსიკა სპორტის მსგავსად ხალხს აერთიანებს და აბედნიერებს. ვფიქრობ, შვედეთში მეტი PR არის საჭირო საოპერო მუსიკისთვის და მიმაჩნია, რომ თქვენმა სპექტაკლებმა დიდი სამსახური გაგვიწია ამ საქმეში", - **მარაგარეტ დელეფორსი,** დალჰალას ფესტივალის დამფუძნებელი.

"დიდი მადლობა შვედეთში მოწვევისთვის. ძალიან მიყვარს საქართველო, თქვენთან სიმღერა. მაღალი დონისაა თქვენი გუნდი, ორკესტრი," - **დაინიუს სტუმბრასი,** ვილნიუსის ოპერის თეატრისა და მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი.

"ზეიმი შედგა! წარმოჩნდა უმაღლესი დონე. ყოველთვის ვინარჩუნებთ იმ ნიშას, რომელიც მოგვცეს ჩვენმა პედაგოგებმა, ჩვენმა კონსერვატორიებმა. ვფიქრობ, ნებისმიერი მსმენელიც დაადასტურებს, რომ ეს იყო უმაღლესი დონე. მე თბილისური პრემიერა არ მინახავს, მაგრამ დღეს სპექტაკლმა დიდი აღმავლობით ჩაიარა, ყველა მაღალ დონეზე იყო - გუნდი, ორკესტრი. დიდხანს სიცოცხლე ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილს. ვფიქრობ, ამ სპექტაკლმა უნდა დაიპყროს მსოფლიო და დაიპყრობს კიდეც. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს თეატრს კიდევ ბევრი წარმატება ელის, ამას იმიტომ ვამბობ, რომ მუდმივად ვმოგზაურობ მსოფლიოში და ვიცი რაც ხდება მსოფლიო ასპარეზზე - დიდი პროექტების კეთების შეუდარებელ შედეგებს აჩვენებთ. დიდი მადლობა, რომ მომიწია თქვენს კოლექტივთან სიმღერა. ყოველთვის მიყვარდა თქვენი ქვეყანა და თუ შესაძლებლობა მექნება, სიამოვნებით გესტუმრებით", - **იური ნეჩაევი**, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი.

მიღებაზე არაერთხელ აღნიშნეს, რომ განახლებული დასისა და ორკესტრისთვის გასტროლი "დალჰალას" ფესტივალზე პირველი გამარჯვება იყო საერთაშორისო არენაზე. აღნიშნული ფესტივალი, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ვიტყობთ, მართლაც მნიშვნელოვანი ადგილია საოპერო დასების დათვალიერებისთვის. მნიშვნელოვანიცაა და უაღრესად წარმტაციც. კლდეებს შორის, ტბის შუაგულში, ღია ცის ქვეშ. სულ ცოტა ავანგარდულ თბილისურ "ტრუბადურს" აღწერილი გარემო მშვენივრად მოურგია. სცენაზე მსახიობები პირდაპირ ნავებით ასულან, კლდეები ბუნებრივ დეკორაციად ქცეულა, ჩაკეტილი და ამავდროულად ღია სივრცე სხვადასხვაგვარი პროექციების ეკრანად მშვენივრად გამომდგარა.

ეს ყველაფერი გადმოცემით უნდა ვირწმუნოთ. ქართულმა მედიამ გასტროლი ვერ გააშუქა. დავით საყვარელიძემ აღნიშნა, რომ მათი საშულებებით ერთი ოპერატორისა და ერთი ჟურნალისტის წაყვანა გახლდათ შესაძლებელი (იგულისხმება ტელე-ჟურნალისტი), მაგრამ ტელევიზიებმა უარი განაცხადეს.

"არადა იურმალაზე წავიდნენ და დიდი მონდომებით გააშუქეს. თუმცა იურმალას კონცერტები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია!" - ეს ღიმილნარევი შენიშვნაა ოპერის თეატრის დირექტორისგან.

მაინც როგორია ამ გასტროლის კონკრეტული შედეგები? შემოქმედებითი ურთიერთობა დაიწყება მონტე-კარლოს საოპერო სახლთან. ამბობენ, რომ ჩვენს თეატრში ჩამოვა მისი დირექტორი ჟან ლუი ბრიდა. თბილისთან მეგობრობის სურვილი გამოთქვა ნორვეგიის თეატრმა და კიდევ სხვა არაერთმა, რომლებიც ე.წ. გაცვლით გასტროლებს გეგმავენ. ამას გარდა 2007 წელს ოპერის თეატრს ესტუმრება ტოსკანას ცნობილი ფესტივალ-კონკურსის ხელმძღვანელი, რომელსაც, პირველ რიგში, ჩვენთან თემურ ჩხეიძის მიერ განხორციელებულ "ჯამბაზებს" უჩვენებენ. თუმცა სანამ ეს ყველაფერი მოხდება, ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზაზა აზმაიფარაშვილი ლეონკავალოს ოპერაზე დაგვპატიჟებს. თბილისს, როგორც იქნა, ელირსება და თემურ ჩხეიძის საოპერო რეჟისურის ნიმუშს იხილავს. ეს არ ყოფილა ბოლო სიხარული გუშინდელი შეხვედრისა. იყო კიდევ ერთი:

2007 წლიდან ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი თანდათანობით ახალი მუსიკალური საკრავებით აღიჭურვება. ცნობისთვის, - დაძველებული ინსტრუმენტები თეატრის შემოქმედებითი დონისა და ხარისხის განვითარებაში ყველაზე სერიოზული მუხრუჭი გახლავთ. აქამდე გადაუჭრელი ამოცანა, რომლის მოგვარებასაც დავით საყვარელიძე რა ხანია გვპირდებოდა, საბოლოოდ ეტყობა, რომ გაყინული წერტილიდან დაიძრა. თეატრისა და მუსიკოსების მიერ არაერთგზის აღნიშნული ეს პრობლემა ფინანსურად ძლიერი დონორისთვის საბოლოოდ ცხადი გახდა. "ქართუ" ჯგუფი საკრავებისთვის საჭირო საკმაოდ დიდ თანხას თეატრის განვითარებისთვის გაიღებს. გუშინ გვითხრეს, რომ "ჩვენს ორკესტრს ექნება ისეთი ხარისხის საკრავები, როგორსაც ვერ ფლობენ ევროპის წამყვანი თეატრები". სპეციალურ ქარხნებს სულ მალე დიდი დაკვეთის შესახებ შეატყობინებენ. ბატონი დავით საყვარელიძე თვლის, რომ ეს შენაძენი სახელმწიფო დონის საქმეა, საკრავების შეძენა იმაზე მეტია კულტურული ერისთვის, ვიდრე იარაღის შეძენა ქვეყნისთვის. ამაში თეაატრის დირექტორს ალბათ ბევრი დაეხმარება.

ჩვენ კი ბოლოსთვის მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ 2007 წლის ბოლოდან, ანუ მას შემდეგ, რაც ორკესტრის აღჭურვილობა განახლდება, საოპერო და საბალეტო სპექტაკლების დროს, საორკესტრო ორმოდან შიგადაშიგ წამოსული მუსიკალური ცდომილებები დაჭანგებულ და მოშლილ საკრავებს ვეღარ დაბრალდება.

ასე რომ, თუ გეგმები განხორციელდა და თუ ერთ წარმატებულ გასტროლს მეორე მოჰყვება, თუ ჩვენი თეატრი თანდათან დიდი სცენებისკენ გადაინაცვლებს და თუ დასის ხმას ჯანმრთელი საორკესტრო თანხლება ექნება, ბედნიერი მომავლის გარდა, ოპერის თეატრს ალარაფერი დაემუქრება.





ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39


# მოგონებები გალერეა TMS-ში

## ზაალ ქიქოძის თავგადასავლებით სავსე ცხოვრება

მზევინარ ხუციშვილი

მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურობა ძალიან მიყვარს, ფოტოგრაფიისა ბევრი არაფერი გამეგება. მხოლოდ მარტივი კრიტერიუმი მაქვს: მომწონს ან არ მომწონს. 26 ოქტომბერს გალერეა TMS-ში, სადაც ზაალ ქიქოძის ფოტოგამოფენა და წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, მრავალრიცხოვან საზოგადოებაში ჩემნაირი ალბათ ბევრი იყო. თუმცა ყველასთვის ერთი რამ იყო საერთო - ზაალ ქიქოძის მონატრება.

გალერეაში შესვლისთანავე, პირველ რიგში, ალბათ მაინც 2003 წლის 2 აპრილი გაგახსენდებოდათ, როცა ამავე გალერეაში სამი თაობის - ქიქოძეების გამოფენა გაიმართა. თუმცა ამჯერად სიხარულთან ერთად იყო ტკივილი, რომელიც თავად ზაალ ქიქოძემ დატოვა ამ ადამიანების გულში. გამოფენაზე მისი შემოქმედების გარდა წარმოდგენილია მეგობრების ფოტოებიც, რომლებზეც საქართველოს სხვადასხვა კუთხე და ექსპედიციებია ასახული ანუ როგორც პირობითად გამოფენას და წიგნს უწოდეს "ზალიკოს საქართველო."

გამოფენა მის ხსოვნას და ამავე დროს 61 წლის იუბილეს მიეძღვნა. ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და ახლობლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს შემოქმედი და მისი თავგადასავლებით სავსე ცხოვრება.

**მეუღლე, მარინა თაბუკაშვილი:** "ამ წიგნის გამოცემა საჭირო და მნიშვნელოვანი გვგონია მის ავტორებს. ვგრძნობთ, მკითხველ აუდიტორიას და ზალიკოს ქებას კი არ ვისახავთ მიზნად, არამედ ისეთი გავლენის მოხდენას, რომელიც შესაფერისი იქნება ზალიკოს საქმისთვის, მისი ცხოვრების შინაარსისთვის. მოკლედ და სხარტად არც ცხოვრების აზრი გამოითქმის და არც საქმიანობა აღიწერება. ამიტომ ცოტა სქელი წიგნი გამოგვივიდა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ წიგნის ნაწილები ერთმანეთს ავსებს და მკითხველის მონაწილეობასაც ითხოვს, რათა ხელახლა აიკინძოს თქვენს საკუთარ სიუჟეტად. ამავე დროს დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც წიგნის შექმნაში დაგვეხმარა".



გამოფენას უამრავი მნახველი ჰყავდა.

**მანანა ჯიქია:** "ძნელია ამ ქვეყნიდან უცაბედად წასულ კაცზე ილაპარაკო სევდის გარეშე, მაგრამ, მერწმუნეთ, ძალიან მინდა, სწორედ ასე ვილაპარაკო ზალიკო ქიქოძის შესახებ. არ მინდა, გავიხსენო ის საშინელი სურათი, უძილო ღამეებში თვალწინ რომ მიდგება და მზარავს: უშბის სასიკვდილო ტრასაზე გახირული სამი კაცი სასოწარკვეთას მისცემია...

არ მინდა ამაზე ფიქრი და ამიტომ ყოველთვის ვცდილობ ვიფიქრო ჩემი ახალგაზრდობის არაჩვეულებრივ პერიოდზე, რომელიც ქიქოძეების ოჯახთან დაახლოებას უკავშირდება. არასოდეს დამავიწყდება ის განცდა, რომელიც მახლდა თითქმის ყოველდღიური სტუმრობისას მათ ოჯახში... ძალინ ბევრია სათქმელი და გასახსენებელი ამ საოცრად გულისხმიერ და სათნო ადამიანზე."

**ტატო ბერიძე:** ძნელია უამბო ვინმეს კაცზე, რომელიც საოცრად გამორჩეული იყო სხვებისგან. ჩემს გარდა ხომ ათასობით ადამიანს უყვარდა ჩვენში თუ უცხოეთში და სულ ცოტა ხნის წინ დაიღუპა უშბაზე. ალბათ ყველაფერი მაინც ბედისწერაა!

**მარიკა დიდებულიძე:** "საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრებით და არსებობით გვარწმუნებენ, რომ ღირსება კვლავ დიდი ფასეულობაა, რომ ჯერაც არსებობს ერთგულება და თავგანწირვა, სიყვარული და მეგობრობა, მოყვასის სიყვარული არა სიტყვით, არა ქაღალდზე ან ტელეეკრანიდან, არამედ რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში - მარადიული, მუდმივი ფასეულობები. ჩემთვის ყოველივე ამას ზაალ ქიქოძე განასახიერებს - ადამიანი, რომელიც არასოდეს მდგარა გმირის პოზაში, ყველაფერს და, მათ შორის, საკუთარ თავსაც მსუბუქი ირონიით უყურებდა, მაგრამ ამ მარადიული ფასეულობების მცველი იყო. რაინდი - ჩემთვის ეს სიტყვა ყველაზე მეტად ესადაგება ზალიკოს".

**შვილი, არჩილ ქიქოძე:** "ზალიკოს ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ძალიან უყვარდა ადამიანი და ძალიან სჯეროდა მისი შესაძლებლობებისა. სწამდა, რომ ადამიანს მრავალი რამის შეცვლა შეეძლო. ამ რწმენის ფონზე მისთვის ყველაზე მიუღებელი თვითმკვლელობა იყო. მისი ეს თვისება ყველაზე ხშირად მაგონდება, რადგან ყოველთვის მეგონა, რომ ამას ჩემს გასაგონად ამბობდა. მას ჰქონდა კონკრეტული ადამიანების მიერ ჩადენილი საქციელის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ძალიან უყვარდა და აღფრთოვანების გარეშე ვერ ახსენებდა".

**ხელოვნებათმცოდნე მერაბ ლორთქიფანიძე:** "ეს იყო ადამიანი, რომელზეც შეიძლება ძალიან ბევრი ილაპარაკო, მაგრამ ბოლოს აღმოაჩენ, რომ უაზრობას ამბობ. იშვიათად არიან მისი მსგავსი ადამიანები. ფანტასტიკური პიროვნება იყო. არიან ადამიანები, რომელთა დანაკლისსაც ეჩვევი, მაგრამ მის არყოფნას ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ეს ნამდვილად ასეა. ამავე დროს გააცნობიერებს, ვინ იყო ზაალ ქიქოძე. ეს დღეს უკვე ნათლად ჩანს, რადგან დიდი ხანია გალერეაში ასეთი ხალხმრავლობა არ ყოფილა"...

თქვენც წაიკითხეთ წიგნი "ზალიკოს საქართველო" და ესტუმრეთ გალერეა TMS-ს 2 ნოემბრამდე.


### განცხადება

გაზეთ "24 საათის" ამა წლის 19, 21 და 22 სექტემბრის ნომრებში შპს "ვარციხე 2005"-მა გამოაცხადა ტენდერი 25000 ლიტრი სატრანსფორმატორო ზეთის შესყიდვაზე.
აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "მეგი და კომპანია", რომელთანაც 13 ოქტომბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

### ბრიტანული ენის დარბაზი გთავაზობთ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.
■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (PET, FCE, CAE, IELTS)
■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

Good luck with your English.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: british-Languaje hall@yahoo.com

ჩვენ მივდევთ დროს!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42

# მიმართულება სწორად იყო შერჩეული

ხათუნა ბრეგვაძე

საქმიანობა, რომელიც დავით ტატიშვილმა ქვეყანაში სამედიცინო სფეროს განვითარების მიზნით დაიწყო, 10 წელს ითვლის. როგორც თავად ამბობს, მიზანი, რომლის მიღწევაც მან დღეს შეძლო, იყო ის, რომ შექმნილიყო დიაგნოსტიკურ-სამკურნალო-სარეაბილიტაციო კომპლექსი, რომელიც ადამიანს მისცემდა იმის საშუალებას, რომ რამდენიმე დაწესებულებისგან შექმნილ სამედიცინო კომპლექსში გაეწიათ მისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარება.

დღეს მიზანი მიღწეულია, 10 წლის წინ ჩაყრილ ფუნდამენტზე აშენებულ დიაგნოსტიკურ-სამკურნალო-სარეაბილიტაციო კომპლექსში პროფესიონალები მაღალი დონის მომსახურებას გთავაზობენ. როგორც დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექი "ნაუტილუსი" თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი. მედპერსონალის კეთილი განწყობა, როგორც თავად ექიმები აღნიშნავენ, მკურნალობის შედეგებზე პირდაპირაა დამოკიდებული.

10 წლის წინ დავით ტატიშვილის წამოწყებას ეჭვის თვალით უყურებდნენ. დღევანდელმა დღემ კი ცხადყო, რომ მიმართულება სწორად იყო შერჩეული.



სამედიცინო ცენტრი.

"ჩვენი დაწესებულებები ამბულატორიული ტიპისაა. დიაგნოსტიკა, საკონსულტაციო მიმართულების მკურნალობა, ენდოსკოპიური და ლაპარასკოპიული ქირურგია, რომელიც ჩვენთანაა დანერგილი, მსოფლიოში კარგადაა აპრობირებული. ესაა ოპერაცია გაჭრის გარეშე, რომელსაც ნაკლები გართულებები სდევს თან და ამავდროულად, ოპერაციიდან მეორე დღეს ადამიანი შრომისუნარიანია. რაც შეეხება ამბულატორიულ დიაგნოსტიკას, მხედველობაში მაქვს რადიოლოგიური მიმართულება, დანერგილი თანამედროვე დონეზე. სპირალური ტომოგრაფია, რენტგენოლოგიური და ექოსკოპიური გამოკვლევები უახლესი ტექნიკის დახმარებით ხორციელდება, ისევე, როგორც ბიოქიმია, იმუნოლოგია, ბაქტერიოლოგია, ენდოსკოპიური კვლევები, გასტრო-ფიბრო სკოპია, კოლონოსკოპია, სტომატოლოგია და სხვა. კომპიუტერული ენცეფალოგრაფიის კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია ნევროლოგიის დარგში. პაციენტს ეძლევა საშუალება, ჩაიტაროს ფიქციური დიაგნოსტიკური კვლევების ფართო კომპლექტი. პრაქტიკულად არ არსებობს დარგი, რომელშიც, როგორც ბავშვებმა, ისე მოზრდილებმა გამოცდილი ექიმის კონსულტაცია ვერ მიიღონ," - აღნიშნა პროფესორმა დავით ტატიშვილმა.


სამკურნალო მასაჟი და სპეციალური ვარჯიშები, მანუალური თერაპია.


კედრის სახლი: კედრის კასრი - პროცედურის შემდეგ, რელაქსაციური-სამკურნალო მასაჟი, სპეციალურ რელაქსაციურ კედრის მაგიდაზე.

კლინიკის ერთგვარი სავიზიტო ბარათი სარეაბილიტაციო კურსი გახლავთ, რომელიც პაციენტების გარდა, პოტენციური პაციენტების, ჯანმრთელი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

პოსტტრავმული, ნევროლოგიური და პოსტოპერაციული მაღალი დონის რეაბილიტაციის დროულად დაწყება ძალიან კარგ შედეგებს იძლევა. ადამიანს უნდა მისცე რჩევა, რომ აუცილებელი სამკურნალო ღონისძიებების შემდეგ, ასევე აუცილებელია რეაბილიტაციის სწორი კურსის ჩატარება.

რეაბილიტაციის კურსი ჯანმრთელი ადამიანისთვისაც მნიშვნელოვანია. თუ ჩვენ ვცდილობთ, რომ ჯანმრთელი ქვეყანა და საზოგადოება გვყავდეს, ამის გარეშე არაფერი გამოვა. ყველა ადამიანი პოტენციურად სხვადასხვა დაავადების მატარებელია. ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვა რეაბილიტაციის კურსით არის შესაძლებელი. ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების საწინდარია. განვითარებულ ქვეყნებში რეაბილიტაცია პოტენციურად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაცაა განსაზღვრული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ სიცოცხლის ხანგრძლივობამ 90 წელს მიაღწია. საქართველო ისეთი ტემპით ვითარდება, რომ ამას ჩვენც მივაღწევთ," - აღნიშნა დავით ტატიშვილმა, რომელიც მის მიერ შექმნილი დაწესებულებების წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასეულობით ადამიანის დასაქმებას თვლის. უფრო მნიშვნელოვნად კი ათასობით ადამიანისთვის გაწეულ დახმარებას მიიჩნევს. "ყველაზე დიდ აღიარებად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც წლების განმავლობაში აკითხავენ ჩვენს დაწესებულებას. მათ ირწმუნეს, რომ თუ მათ, მათი ოჯახის წევრებს და ახლობლებს აქვთ პრობლემა, აქ უნდა მოვიდნენ. ეს ყველაზე დიდი აღიარებაა, სასიამოვნოა, თვითკმაყოფილების გრძნობა გიპყრობს."

პაციენტებმა იციან, რომ მათი ჯანმრთელობის გამოკვლევის, საჭირო ანალიზების ჩატარებისა და მათი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის დადგენის შემდეგ, ექიმი მათ მკურნალობის ინდივიდუალურ კურსს დაუნიშნავს. ადამიანის გამოჯანმრთელებისთვის კომპლექსური მუშაობა აუცილებელია და კარგია, როდესაც ეს ერთი მენეჯმენტის მქონე დაწესებულებებში ხორციელდება.

"კედრის სახლი" სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექს "ნაუტილუსშია" განთავსებული. ხანდახან ისეც ხდება, რომ სამკურნალოდ მისული პაციენტი ნოვაციას სანდოდ არ მიიჩნევს. "ერთ "კასრში" მე ვჯდები, მეორეში პაციენტი და პროცედურის პროცესში ვუხსნი, თუ რამდენად სასარგებლოა მისთვის "კედრის სახლი". ესაა ჩემი სტრატეგია," - აღნიშნა დავით ტატიშვილმა.

10 წლის განმავლობაში ნაშენებს განვითარება სჭირდება. დავით ტატიშვილის დიდი სურვილია, სამკურნალო დიაგნოსტიკური კომპლექსის კიდევ უფრო განვითარება და სრულყოფა მოახდინოს. "პირადი მისწრაფებაა, რომ ქვეყანაში შევქმნა ევროპული, მსოფლიო დონის აღდგენით-გამაჯანსაღებელი ცენტრი. როგორ, რა სახით, ამაზე სხვა დროს ვისაუბრებ," - გვითხრა მან.

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში უმაღლესი ხარისხის მომსახურების მიუხედავად, მომსახურების ფასები სტანდარტულია. იგი ამბობს, "უფლება არ გვაქვს ადამიანს მკურნალობა შუაში შევუწყვიტოთ, თუ მისთვის აუცილებელი პროცედურის ფასის გადასახდელად სახსრები არ აქვს. ამდენად, მთელ რიგ შემთხვევებში იძულებულები ვართ, პაციენტებს შეღავათები გავუწიოთ. ჩვენი მიზანია, მოსახლეობას მივაწოდოთ ყველაზე მაღალი დონის მომსახურება, ამოცანაა მათი გაჯანსაღება, რადგან ჩვენგან წასული პაციენტი უნდა მიხვდეს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა და რომ ცხოვრება ასე ჯობია."


უახლესი ექოსკოპიური ტექნოლოგიები.


სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მდებარე: 0114, ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. №-ში, აცხადებს ტენდერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გათბობისათვის 2006 წლის ნოემბერ-დეკემბერში საჭირო ნავთის, დიზელისა და მყარი საწვავის (შეშის) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. აღნიშნულ პერიოდში სკოლამდელი აღზრდის 18 დაწესებულებისათვის მისაწოდებელია 4600 ლიტრი ნავთი, 2 დაწესებულებისათვის - 18500 ლიტრი "ლ-62" მარკის დიზელის საწვავი და 17 დაწესებულებისათვის - 533 კუბური მეტრი 45-50 სმ სიგრძეზე დაჭრილი საწვავად ვარგისი შეშა (სასურველია რცხილა, წიფელი ან მათი მაგვარი). შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დისლოკაციის ადგილზე. შესყიდვის ობიექტის ყოველი სახე (ნავთი, დიზელის საწვავი და შეშა) განიხილება ცალკე ლოტად.

3. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარაუდოდ 2006 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან) 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (დახურული პაკეტით), აგრეთვე განაცხადი უნდა წარმოადგინონ 1006 წლის 16 ნოემბრის 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. №4, VI სართული, ოთახი №613.

5. ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

6. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.
6.3. ფიზიკური და იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

7. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: №200122900, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (მთაწმინდა-კრწანისი), ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300034040. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2006 წლის 25 ოქტომბრიდან 2006 წლის 15 ნოემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. №4, VI სართული, ოთახი №613. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ გამგეობის აპარატის წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ლეჟან მზექალაშვილს შემდეგ ნომერზე: 92-04-39 და ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების წამყვან სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს დავით კასრაძეს შემდეგ ნომერზე: 99-84-46.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე.**

**პერსონალური კომპიუტერის, უწყვეტი კვების ბლოკისა და პრინტერის სპეციფიკაცია**

ლოტი I

| | მახასიათებლები | | | რაოდ. |
|---|---|---|---|---|
| მუშა სადგური | პროცესორი/CPU | >=3.33GHz+; 512Kb; 533MHz FSB_ის წარმადობის | ერთი მწარმოებლის (მაუსების და კლავიატურის ჩათვლით) | 200 |
| | მეხსიერება/RAM | 512MB; DDR2; PC5300 (667-Mhz); | | |
| | მყარიდისკი/HDD | 80Gb; SATA 3.0 Gb/s;7200 rpm | | |
| | კომპაქტდისკ/CD-ROM | 48X min | | |
| | დისკეტა/FDD | 1.44 or more | | |
| | ვიდეო/Video | 128 Mb, on board | | |
| | ქსელი/LAN | 10/100 Mb | | |
| | პორტები/Rear i/o ports: | 6XUSB 2.0, 1XSerial, 1XParallel, 2XPS/2, audio in/out, Front i/o ports: 2XUSB 2.0, head, micr. | | |
| | mouse | USB optical | | |
| | კლავიატურა/Keyboard | PS/2 Standard | | |
| | გარანტია | მწარმოებლის 3 წლიანი გარანტია | | |
| მონიტორი | დიაგონალი | CRT 17" | | 200 |
| | რეზოლუცია | 1024 x768/85Hz; 1280 x1024/65HZ | | |
| | გარანტია | მწარმოებლის 3 წლიანი გარანტია | | |
| პრინტერი | ფორმატი | A4 | | 80 |
| | პორტები | USB 2.0/Paralel Port | | |
| | საქაღალდე ჯამი | 1 ჯამი - 250 გვერდი, + 1 ფურცლის | | |
| | ქაღალდის ტიპი | თაბახის, კონვერტი, სქელი ქაღალდი, გამჭირვალე | | |
| | მეხსიერება | >=32Mb | | |
| | რეზოლუცია | 1200X1200dpi | | |
| | ბეჭდვის სისწრაფე | >=26 ppm | | |
| | გარანტია | მწარმოებლის 3 წლიანი გარანტია | | |

ლოტი II

| | | | |
|---|---|---|---|
| უწყვეტი კვების ბლოკი | გამომავალი სიმძლავრე | 750 VA, 450 Watts, 230V | 230 |
| | გამომავალი შეერთება | 6xC13 | |
| | კაბელის სიგრძე | 2 მ | |
| | შემავალი სიმძლავრე | 230V | |
| | დიაპაზონი | 159-282VAC;Autpmatic Voltage Regulation(AVR) | |
| | მუშაობის ხანგრძლ. მთლიანი დატვირთვ. | 4 წთ | |
| | მუშაობის ხანგრძლ. ნახევარი დატვირთვ. | 11 წთ | |
| | გარანტია | მწარმოებლის 2 წლიანი გარანტია | |

ლოტი III

| | | | |
|---|---|---|---|
| სისტემური ბლოკი | პროცესორი/CPU | 3.5/5112K;Soc-939 (64) | 1 |
| | მეხსიერება/RAM | DDR SDRAM 512Mb PC3200 DIMM | |
| | დედაპლატა/MB | 939S56-M(RTL) Socket 939,<Sis756>; PCIE+Lan SATA RAID; U133 4DDR<PC-3200> | |
| | მყარიდისკი/HDD | 160Gb SATA | |
| | კომპაქტდისკ/CD-ROM | DVD+/-RW NEC | |
| | ვიდეო/SVGA | PCI-E NV GF7600GT 256Mb 128bit; DDR# HDTV+DVI | |
| | WEB | PK-935 | |
| | | FiWi | |
| | mouse | 8 keys; optical Wireless Usb+PS2 giftbox | |
| | კლავიატურა/Keyboard | PS/2 Standard/ US+Russian | |
| | დინამიკი/Speaker | + | |
| მონიტორი | დიაგონალი | CRT 19" | |
| | რეზოლუცია | 1920 x 1440Hz; 64Hz; 0.2mm | |
| უწყვეტი კვების ბლოკი | გამომავალი სიმძლავრე | 750 VA, 450 Watts, 230V | |
| | გამომავალი შეერთება | 4 x power IEC 320 EN 60320 C13 | |
| | შემომავალი | 1 x power IEC 320 EN 60320 C14 | |
| | შემავალი სიმძლავრე | 230V | |
| | დიაპაზონი | 196-280V; 160-300V; | |
| | მუშაობის ხანგრძლ. მთლიანი დატვირთვ. | 2.4 წთ | |
| | სტანდარტები | CE, C-Tick, GOST, NEMKO, PCBC | |

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 20 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობის სერთიფიკატი (ISO) და მწარმოებლის გარანტია.*
*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*
*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*
*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებათ.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:
*საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობის სერთიფიკატი (ISO) და მწარმოებლის გარანტია.*
*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*
*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*
*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებათ;*

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით;
4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133
5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96

# შპს "საქართველოს რკინიგზა" ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**2006 წლის 25. 10. ქ. თბილისი N 737/დმგ**

**შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2006 წლის 21 ოქტომბრის 8/130 დადგენილების შესაბამისად საფირმო სამგზავრო მატარებელი N 622/621 "თბილისი-ბათუმი", ბათუმი-თბილისი"-ს მგზავრობის ტარიფების დადგენის მიზნით**

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**1. დამტკიცდეს საფირმო სამგზავრო მატარებელი N 622/621 "თბილისი-ბათუმი", "ბათუმი-თბილისის" მიმართულებით მგზავრობის ღირებულება თანდართული ცხრილის მიხედვით (ცხრილი N 4)**
**2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს "საქართველოს რკინიგზის" 2006 წლის 29 ივნისის N 13 /115 დადგენილებით დამტკიცებული "თბილისი - ბათუმი"-ს ღამის საფირმო მატარებლის I კლასის ვაგონით მგზავრობის ღირებულება და ა/წ 11 აგვისტოს დირექტორთა საბჭოს N 5/121 დადგენილებით დამტკიცებული III კლასის (პლაცკარტის) და II კუპირებული ვაგონით მგზავრობის ღირებულება.**
**3. 2006 წლის 1 ნოემბრიდან შემოღებული იქნას საფირმო სამგზავრო მატარებელი N 622/621 "თბილისი-ბათუმი", ბათუმი-თბილისის" მიმართულებით მგზავრთა გადაყვანის ტარიფი თანდართული ცხრილი N 4-ის მიხედვით.**
**4. საფირმო მატარებლის I,II,III კლასის ვაგონებით მგზავრობის ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური.**

### ცხრილი № 4

**საფირმო** მატარებელზე მგზავრობის ტარიფი (ლარი,თეთრი)
ძალაშია 2006 წლის 1 ნოემბრიდან

| სარტ. №№ | მანძილი კმ | სრული | | | საბავშვო | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I კლასი | II კლასი | III კლასი | I კლასი | II კლასი | III კლასი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1 | 1-10 | 23,5 | 15,4 | 5,3 | 11,8 | 8,7 | 2,7 |
| 2 | 11-20 | 24,0 | 15,6 | 5,7 | 12,0 | 8,8 | 2,9 |
| 3 | 21-30 | 24,6 | 15,8 | 6,0 | 12,3 | 8,9 | 3,0 |
| 4 | 31-40 | 25,0 | 16,1 | 6,2 | 12,5 | 9,0 | 3,1 |
| 5 | 41-50 | 25,6 | 16,3 | 6,6 | 12,8 | 9,2 | 3,3 |
| 6 | 51-60 | 26,1 | 16,6 | 6,8 | 13,0 | 9,3 | 3,4 |
| 7 | 61-70 | 26,6 | 16,8 | 7,2 | 13,3 | 9,4 | 3,6 |
| 8 | 71-80 | 27,1 | 17,0 | 7,5 | 13,5 | 9,5 | 3,8 |
| 9 | 81-90 | 27,7 | 17,3 | 7,7 | 13,8 | 9,6 | 3,9 |
| 10 | 91-100 | 28,1 | 17,5 | 8,1 | 14,1 | 9,8 | 4,1 |
| 11 | 101-110 | 28,7 | 17,7 | 8,4 | 14,3 | 9,9 | 4,2 |
| 12 | 111-120 | 29,1 | 18,0 | 8,7 | 14,6 | 10,0 | 4,4 |
| 13 | 121-130 | 29,7 | 18,2 | 9,0 | 14,9 | 10,1 | 4,5 |
| 14 | 131-140 | 30,2 | 18,5 | 9,2 | 15,1 | 10,2 | 4,6 |
| 15 | 141-150 | 30,7 | 18,7 | 9,6 | 15,4 | 10,4 | 4,8 |
| 16 | 151-160 | 31,2 | 18,9 | 9,9 | 15,6 | 10,5 | 5,0 |
| 17 | 161-170 | 31,8 | 19,2 | 10,2 | 15,9 | 10,6 | 5,1 |
| 18 | 171-180 | 32,2 | 19,4 | 10,5 | 16,1 | 10,7 | 5,3 |
| 19 | 181-190 | 32,8 | 19,7 | 10,7 | 16,4 | 10,8 | 5,4 |
| 20 | 191-200 | 33,3 | 19,9 | 11,1 | 16,6 | 10,9 | 5,6 |
| 21 | 201-210 | 33,8 | 20,1 | 11,4 | 16,9 | 11,1 | 5,7 |
| 22 | 211-220 | 34,3 | 20,4 | 11,7 | 17,1 | 11,2 | 5,9 |
| 23 | 221-230 | 34,9 | 20,6 | 12,0 | 17,4 | 11,3 | 6,0 |
| 24 | 231-240 | 35,3 | 20,9 | 12,2 | 17,7 | 11,4 | 6,1 |
| 25 | 241-250 | 35,9 | 21,1 | 12,6 | 17,9 | 11,5 | 6,3 |
| 26 | 251-260 | 36,3 | 21,3 | 12,9 | 18,2 | 11,7 | 6,5 |
| 27 | 261-270 | 36,9 | 21,6 | 13,2 | 18,5 | 11,8 | 6,6 |
| 28 | 271-280 | 37,4 | 21,8 | 13,5 | 18,7 | 11,9 | 6,8 |
| 29 | 281-290 | 37,9 | 22,0 | 13,8 | 19,0 | 12,0 | 6,9 |
| 30 | 291-300 | 38,4 | 22,3 | 14,1 | 19,2 | 12,1 | 7,1 |
| 31 | 301-310 | 39,0 | 22,5 | 14,4 | 19,5 | 12,3 | 7,2 |
| 32 | 311-320 | 39,4 | 22,8 | 14,7 | 19,7 | 12,4 | 7,4 |
| 33 | 321-330 | 40,0 | 23,0 | 15,0 | 20,0 | 12,5 | 7,5 |
| 34 | 331-340 | 40,0 | 23,0 | 15,0 | 20,0 | 12,5 | 7,5 |
| 35 | 341-350 | 40,0 | 23,0 | 15,0 | 20,0 | 12,5 | 7,5 |

* ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური
**ტარიფში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი

მგზავრთა გადაყვანის დირექტორი [signature: 25.10.2006] ი. კანდელაკი

## ვაგონის მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 12 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში *ვაგონის მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- განცხადებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის ჩამონათვალს დაემატოს მე-7 ლოტი შემდეგი შინაარსით:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 7 | ჰაერგამანაწილებელი | სამუხრუჭე №483 A | ცალი | 10 |

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული *ვაგონის მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

## ინფორმაცია

სსიპ-სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

2006 წლის 12 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ერთ პირთან მოლაპარაკებით, ორეტაპიანი ტენდერის პროცედურების დასრულებამდე სსიპ-სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის "სახელმწიფო დაკვეთით რეზიდენტურაში მომზადების კომპონენტის" უზრუნველყოფა.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტომანქანის შესყიდვის შესახებ გამართულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "კრეს ავტოჰაუზმა" და მასთან ა/წ 12 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", მდებარე ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა, აცხადებს ღია ტენდერს **უნივერსალური სადეზინფექციო საშუალების** შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის საერთო რაოდენობა შეადგენს 1500 ლიტრს.

საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 15 დეკემბრისა. საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს DDP პირობებით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ.N15.

დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ნოემბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

ბ. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).

ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 17 ნოემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.

7. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი: 302003000, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, მე-3 სართული, ტელ: (895) 22 42 42, (995 032) 39 74 98.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო*
*საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის,*
*ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის*
*სატენდერო კომისია*

## რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადდა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს "მობიტელმა" რადიოსარელეო კავშირისათვის და ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ არსებობს თავისუფალი სიხშირული რესურსი და შესაძლებელია გამოცხადდეს აუქციონი როგორც რადიოსარელეო კავშირისათვის, ასევე ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად .

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე და 50-ე მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა" და კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი რადიოსარელეო კავშირებისათვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი:
ა.ა) 6152.75 მჰც ±14.5 მჰც და 6404.79 მჰც ±14.5 მჰც
ა.ბ) 17755 მჰც ±13.75 მჰც და 18765 მჰც ±13.75 მჰც
ა.გ) 17782.5 მჰც ±13.75 მჰც და 18792.5 მჰც ±13.75 მჰც
ა.დ) 17810 მჰც ±13.75 მჰც და 18820 მჰც ±13.75 მჰც
ა.ე) 17837.5 მჰც ±13.75 მჰც და 18847.5 მჰც ±13.75 მჰც
ა.ვ) 17865 მჰც ±13.75 მჰც და 18875 მჰც ±13.75 მჰც
ა.ზ) 24591 მჰც ±14 მჰც და 25599 მჰც ±14 მჰც
ა.თ) 24619 მჰც ±14 მჰც და 25627 მჰც ±14 მჰც
ა.ი) 24647 მჰც ±14 მჰც და 25665 მჰც ±14 მჰც
ა.კ) 24675 მჰც ±14 მჰც და 25683 მჰც ±14 მჰც
ა.ლ) 24703 მჰც ±14 მჰც და 25711 მჰც ±14 მჰც
ა.მ) 24731 მჰც ±14 მჰც და 25739 მჰც ±14 მჰც
ა.ნ) 24759 მჰც ±14 მჰც და 25767 მჰც ±14 მჰც
ა.ო) 24787 მჰც ±14 მჰც და 25795 მჰც ±14 მჰც
ა.პ) 37100 მჰც ±14 მჰც და 38360 მჰც ±14 მჰც
ა.ჟ) 37128 მჰც ±14 მჰც და 38388 მჰც ±14 მჰც
ა.რ) 37156 მჰც ±14 მჰც და 38416 მჰც ±14 მჰც
ა.ს) 37184 მჰც ±14 მჰც და 38444 მჰც ±14 მჰც
ა.ტ) 37212 მჰც ±14 მჰც და 38472 მჰც ±14 მჰც
ა.უ) 37240 მჰც ±14 მჰც და 38500მჰც ±14 მჰც
ა.ფ) 37268 მჰც ±14 მჰც და 38528 მჰც ±14 მჰც
ა.ქ) 37296 მჰც ±14 მჰც და 38556 მჰც ±14 მჰც

ბ) რეგიონები:
ბ.ა) რეგიონი 1: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი;
ბ.ბ) რეგიონი 2: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
ბ.გ) რეგიონი 3: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს,
სიღნაღის, ყვარელის რაიონები;
ბ.დ) რეგიონი 4: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის, რაიონები;
ბ.ე) რეგიონი 5: გორის, კასპის, ქარელის,ხაშურის, ცხინვალის, ჯავის რაიონები;
ბ.ვ)რეგიონი 6: ქ.რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი-წყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები;
ბ.ზ)რეგიონი 7: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები;
ბ.თ)რეგიონი 8: ქ.ქუთაისი, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის რაიონები;
ბ.ი)რეგიონი 9: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები;
ბ.კ)რეგიონი 10: ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის რაიონები;
ბ.ლ)რეგიონი 11: ქ.ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის,ხობის რაიონები;

გ) რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 638,593.8 (ექვსას ოცდათვრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარით;

2. გამოცხადდეს აუქციონი ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად:

ა) სიხშირულ დიაპაზონი: 10224 მჰც ±14.მჰც და 10574±14.მჰც ქ.თბილისში;

ბ) რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 17,262.7 (ჩვიდმეტი ათას ორას სამოცდაორი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარით;

3. აუქციონების ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 24 ნოემბრის 14:00 საათი;

4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 9 ნოემბრის 17:00 საათამდე;

5. აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე.

6. სალიცენზიო პირობა:

ა) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;

7. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

8. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

ბ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბე) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი'';
-ა/ანგარიში: 609326;
-კოდი: 220101830;
-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს აცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10 %, გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ი (ბე) ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

9. აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.

10. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

11. აუქციონი ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;

## საკონკურსო განცხადება

ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს / ემ-სი-ჯი და მისი კონტრაქტორი კომპანია CNFA-საქართველო ახორციელებენ აგრობიზნესის განვითარების პროექტს (ADA), რომლის მიზანია ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება განვითარების გზით. პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ფერმერებისათვის გასაღების ბაზრის ხელმისაწვდომობას.

ამ მიზნების მისაღწევად, ADA გასცემს წილობრივ გრანტებს კონკურსის წესით შერჩეული აგროსექტორში მოქმედი საწარმოებისათვის, რომელიც მიმართული იქნება წარმოების სრული ჯაჭვის შექმნისაკენ.

საკონკურსო განხილვაში მონაწილეობას მიიღებს ის საპროექტო წინადადებები, რომლებიც წარმოაჩენენ დასაქმებას და ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობებს.

**ADA პროექტი აცხადებს წილობრივი გრანტების კონკურსს შემდეგი მიმართულებით:**

**რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება, და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

**მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება, და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

**დააფინანსდება მხოლოდ ის სიცოცხლისუნარიანი საპროექტო წინადადებები, რომლებიც სრულად შეესაბამება ADA-ს კრიტერიუმებს. აღნიშნულ კრიტერიუმებთან საპროექტო წინადადებების შეუსაბამობის შემთხვევაში, ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველო და აგრობიზნესის განვითარების პროექტი უფლებამოსილნი არიან, არ დააფინანსონ არცერთი პროექტი.**

საქართველოში მერძევეობისა და მეფრინველეობის დარგები სრული საწარმოო ჯაჭვის განვითარების ფართო შესაძლებლობას გვთავაზობს. ორივე სექტორის პროდუქტი ხასიათდება შიდა მოთხოვნის ფართო მასშტაბით, რაც ქმნის ადგილობრივი წარმოების მოცულობის, ხარისხის ზრდისა და იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ორივე სექტორი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და პირველადი პროდუქტის შესყიდვას გადამამუშავებელი წარმოების გაძლიერებისა და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის გზით.

ADA ელის ინოვაციურ საპროექტო წინადადებებს, რომელთა მიზანი მდგრადი და კონკურენტული სრული საწარმოო ჯაჭვის (პირველადი მწარმოებელი - გადამამუშავებელი - საბოლოო მომხმარებელი) შექმნაა. საპროექტო წინადადებების წარდგენა მიზანშეწონილია (თუმცა, არ არის შეზღუდული) შემდეგი მიმართულებით:

**რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-გადამუშავების სექტორში საწარმოო ჯაჭვის შექმნის ან არსებულის გაძლიერების მიზნით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:**

- ფერმერულ მეურნეობებში მერძევეობის მიმართულების გაძლიერება (საკვები ბაზით უზრუნველყოფა, ჯიშთა გაუმჯობესება, სანიტარული და ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფა);
- ხარისხიანი ახალი რძის შეგროვების (რძის შემკრები პუნქტების ჩამოყალიბება) და გადამამუშავებელ საწარმოებზე მიწოდების ორგანიზება;
- რძის წარმოების გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება სანაშენე მეცხოველეობის, გენეტიკური გაუმჯობესების, ხელოვნური დათესვლის, საკვებწარმოების უზრუნველყოფის გზით.
- რძის გადამამუშავებელი/შემფუთავი ხაზების გაფართოება/მოდერნიზაცია, პროდუქციის უვნებლობის კონტროლის თანამედროვე სისტემების დანერგვა (ლაბორატორიული აღჭურვილობა, HACCP, ISO, GMP სერტიფიცირების სისტემები)
- ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების მიზნით წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი და მომხმარებლისათვის მიწოდების უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბება.
- მარკეტინგული ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე შეფუთვის, ნიშანდების და მყდველებთან კომერციული კავშირების დამყარებით

**მეფრინველეობაში საწარმოო ჯაჭვის შექმნის ან არსებულის გაძლიერების მიზნით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:**

- საინკუბაციო ინფრასტრუქტურის განვითარება მაღალპროდუქტიული მეხორცული და მეკვერცხული მიმართულებების ჯიშების წარმოების სტაბილური ბაზის შექმნის მიზნით;
- ხარისხის გაუმჯობესებისათვის საკვები ბაზის განვითარება, განაწილება და რეალიზაცია;
- მეხორცული და მეკვერცხული წარმოებისათვის საჭირო გადამამუშავებელი და შესაფუთი ხაზების მოდერნიზაცია (ლაბორატორიული აღჭურვილობა, HACCP, ISO, GMP სერტიფიცირების სისტემები)
- მარკეტინგული ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე შეფუთვის, ნიშანდების და მყდველებთან კომერციული კავშირების დამყარებით

ADA შეაფასებს წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს და შეარჩევს **არაუმეტეს ორი პროექტისა თითოეული სექტორის მიხედვით.**

შერჩევა მოხდება კონსკურსის წესით, ADA პროექტის შეფასების ფორმის საფუძველზე. საპროექტო წინადადებები გაივლის შერჩევის სტანდარტულ პროცედურებს:

თანხმობა დამოუკიდებელი საგრანტო კომიტეტიდან;
თანხმობა MCG-დან
თანხმობა MCC-იდან.

**გრანტის მიმღები**: საქართველოში დარეგისტრირებული 100%-ით კერძო საკუთრებაში არსებული საწარმოები,

**გრანტის მოცულობა:** 50,000 - დან 300,000 ამერიკულ დოლარამდე

**თანადაფინანსების განაკვეთი:** მინიმუმ 1,5 აშშ დოლარი მოთხოვნილი თანხის 1 დოლარზე

**შერჩევის კრიტერიუმები:** საპროექტო წინადადებების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: პროქტის შინაარსი, მდგრადობა, დასაქმების პოტენციალი, ფერმერული პროდუქტის რეალიზაციის შესაძლებლობა, არაპირდაპირ ბენეფიციართა ფართო კონტინგენტი და განმცხადებლის პოტენციალი, ფინანსური შესაძლებლობისა და გამოცდილების ჩათვლით.

**განაცხადის შეტანა:** წარმოდგენილი უნდა იქნეს ADA-ს შევსებული განაცხადის ფორმა და დანართები; სრული ბიზნეს გეგმა წარსული ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით; სასურველია სხვა დამატებით ინფორმაციაც. შევსებული განაცხადი და ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე,

განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრობიზნესის განვითარების პროექტის ოფისში.

განაცხადი ასევე შესაძლებელია გამოგზავნილი იქნას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

**წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 8 დეკემბერის 18.00 საათი.**

*ფონდი ათასწლეული გამოწვევა საქართველოს / ემ-სი-ჯი*
*აგრობიზნესის განვითარების პროექტი (ADA),*
*თბილისი, თავისუფლების მოედანი ?4, მე-2 სართული,*
*ტელ: +995 32 920543/44 ფაქსი: +995 32 997851*
*ელექტრონული ფოსტა*: ada@cnfageorgia.org
www.ada.ge



# აფიშა

**28-29 ოქტომბერი**

## თეატრი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
საბალეტო სპექტაკლის პრემიერა. "ორი მტრედი"
შაბათი - 19.00; კვირა - 15.00

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
**შაბათი.** "თორმეტი განრისხებული მამაკაცი"
**კვირა.** "ვანილის მოტკბო სევდიანი სურნელი"
რეჟისორი რობერტ სტურუა. დასაწყისი: 19.00

**ს. ახმეტელის სახელობის თეატრი**
**შაბათი.** "მეზუნია ჩიტები"
**კვირა.** "მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი"
რეჟსირი დავით ანდღულაძე. დასაწყისი: 18.00

**თეატრალური სარდაფი**
**შაბათი.** "ხანუმა". რეჟისორი გოჩა კაპანაძე
**კვირა.** "CCCR"
რეჟისორი ბადრი გვაზავა. დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
**შაბათი.** "ძმები"
**კვირა.** "კომენდიანტები"
რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. დასაწყისი: 19.00

**სამეფო უბნის თეატრი**
**შაბათი.** ფესტივალი "საჩუქარი"
იტალიური თეატრი წარმოადგენს
სოფოკლე, "ელექტრა". დასაწყისი: 19.00

**მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
ფესტივალი "საჩუქარი"
"მოცარტი და სალიერი" - 14.00
ანატოლ ვასილიევის სპექტაკლის ვიდეოჩვენება
ლიტერატურული საღამო - 17.00

**გრიბოედოვის სახელობის თეატრი**
შაბათი-კვირა. "ემილიას ბედნიერება". დასაწყისი: 18.00

## კინო

**"რუსთაველი"**
"ცოფიანი სახლი". დასაწყისი: 12:15; 14:00; 18:00
"ჩაჭრილები". დასაწყისი: 16:00; 20:00; 22:00

## გალერეა

**TMS**
ზალიკო ქიქოძის მემორიალური ფოტოგამოფენა

**N გალერეა**
"კავკასიის ბიენალეს დეკლარაცია".
თანამედროვე ხელოვნების გამოფენა

# ევროპის კინოაკადემია რომან პოლანსკის დააჯილდოებს



Rambler Title Europe დააჯილდოებს რეჟისორ პოლანსკის. დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც ვარშავაში 2006 წლის დეკემბერში ჩატარდება, პოლანსკის გადაეცემა ჯილდო "მსოფლიო კინოში ფინანსური წვლილის შეტანაში".

73 წლის პოლანსკი მრავალი ჯილდოს მფლობელია; ესენია: "ოქროს დათვი", ბერლინის კინოფესტივალზე ფილმისთვის "ჩიხი" (1966), "სეზარი", "ოსკარი", ფილმისთვის "პიანისტი" (2002). 1999 წელს ევროპის კინოაკადემიამ მისი ფილმი "მეცხრე ცა" სპეციალური პრიზით აღნიშნა. 2006 წელს ევროპულმა კინოაკადემიამ პოლანსკის გარდა შონ პენი, კომპოზიტორი ენიო მორიკონე და ინგლისური შემოქმედებითი ჯგუფი Monthy Python-ი დააჯილდოვა.

# პარფიუმერია იკრძალება



სკანდინავიაში სუფთა ჰაერის მოთხოვნილებაზე ახალი ბრძოლა მიმდინარეობს. წარსულში თუ საქმე საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს აკრძალვას ეხებოდა, ამჟამად საუბარი პარფიუმერიის სუნის აკრძალვაზე მიმდინარეობს. მიმდინარე დღეებში დანია პარფიუმერიის მომხმარებელ ადამიანებს აუკრძალავს სახელმწიფო დაწესებულებებში გამოჩენას, ხოლო შვეცია, პირველ რიგში, "ჰაერის გაწმენდას" შეეცდება ქალაქების და რაიონის დაწესებულებებში, საავადმყოფოებში, ტრანსპორტში. ამასთან ერთად სახელმწიფო უწყებები აკრძალავს სამუშაოზე სიარულს სუნამოებით.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების მცხოვრებები მტკივნეულად რეაგირებენ სხვადასხვა პარფიუმერულ სუნებზე. "სუნი საზოგადოებრივ ადგილებში - დიდი პრობლემაა. ყველაზე ჩვეულებრივი სიმპტომები პარფიუმერიის მომხმარებელ ადამიანებთან ურთიერთობისას არის ასთმა, დაღლილობა, თავის ტკივილები, კონცენტრაციის დაკარგვა და აგრეთვე კანის დაავადებები" - აღნიშნავს შვედეთის გაზეთის ფურცლებზე დოქტორი სტივენ ნორდინი, რომელიც აღიარებულია სპეციალისტად ადამიანის ორგანიზმის რეაქციულ მოვლენებზე ქიმიურ ნივთიერებებთან.

ადამინები, რომლებსაც რეაქცია აქვთ სუნებზე, ჩვეულებრივად სასამართლოს მიმართავენ და ცდილობენ საკუთარი სიმართლის დამტკიცებას. მაგალითად, შვეციაში ცხოვრობდა ქალბატონი, რომელიც ფრანგული სუნამოს მომხმარებელი იყო. ამ სუნზე მეზობლებს საშინელი ალერგია ჰქონდათ, ეწყებოდათ ხველა. ქალბატონი იძულებული გახდა საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა. აღსანიშნავია, რომ სტოკჰოლმში ვერ იყიდით ჩვეულებრივ თაიგულს, რომლებსაც მაღაზიები გვთავაზობენ. ყვავილების თაიგულს ჩვეულებრივად კბილის ჯაგრისის ან გასაბერი ბურთის სუნი აქვთ.

სკანდინავიის ქვეყნებში პირველი ბრძოლა ქარხნების და ფაბრიკების მიმართ გაიმართა, შემდგომში თამბაქოსთან დაკავშირებით. ამჟამად თამბაქოს მოწევა არა მარტო საზოგადოებრივ ადგილებში, არამედ ქუჩაშიც იკრძალება. ამჟამად კი დანია და შვეცია იძულებულნი არიან აკრძალონ პარფიუმერია, რადაგან იგი უკვე ნაციონალურ დაავადებად იქცა.

# კენედის პრემია სპილბერგსა და ლოიდ ვებერს



კინორეჟისორი სტივენ სპილბერგი და კომპოზიტორი ენდრიუ ლოიდ ვებერი დასახელებულნი არიან ამერიკის პრესტიჟული პრიზების ლაურეატების სიაში ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის (Kennedy Center Honors). დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია 2006 წლის 3 დეკემბერს ჩატარდება.

59 წლის სპილბერგმა, ორი "ოსკარის" მფლობელმა (ფილმისთვის "შინდლერის სია" და "რიგირთი რაინის გადარჩენა") პრემიის კომიტეტის თავმჯდომარისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ ის "აღელვებული და აღფრთოვანებულია" მისთვის პრიზის მიკუთვნებისთვის.

უამრავი თეატრალური პრემიის ლაურეატმა, მიუზიკლების - "კატები", "ევიტა", "იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავი" - ავტორმა ენდრიუ ლოიდ ვებერმა განაცხადა, რომ ის ამაყია ვარსკვლავთა სიაში მოხვედრისთვის და 2006 წლის კენედის სახელობის პრემიის მიკუთვნებისთვის. ამა წლის Kennedy Honors-ის ლაურეატის მფლობელები ასევე გახდნენ დირიჟორი ზუბინ მეტა, მომღერლები დოლი და უილიამ "სმოკი" რობინსონი.

# გოგენი აუქციონზე

Christie's აუქციონი გასაყიდად გამოიტანს პოლ გოგენის ნამუშევარს "მამაკაცი ნაჯახით", რომლის ღირებულებაც შესაძლებელია 45 მილიონ დოლარს აღემატებოდეს. სწორედ ამით იგი კიდევ ერთ რეკორდ მოხსნის. აუქციონი დაგეგმილია 2006 წლის 8 ნოემბერს.

"მამაკაცი ნაჯახით" შექმნილია 1891 წელს და ითვლება მხატვრის ერთ-ერთ პირველ ნამუშევრად, რომელიც გოგენმა ტაიტიში შექმნა. მყიდველის სახელი არ ხმაურდება, თუმცა Christie's სახლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საქმე საკამოდ "ტიტულოვან პიროვნებას" ეხება.

2006 წლის 8 ნოემბრის აუქციონზე შესაძლებელია რამდენიმე რეკორდი გამეორდეს. გოგენის ნამუშევრების გარდა ამ დღეს მყიდველებს შესთავაზებენ პიკასოს ნამუშევარს, "ანხელ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტს" კომპოზიტორ ენდრიუ ლოიდ ვებერის კოლექციიდან, რომელიც 60 მილიონ დოლარად არის შეფასებული, აგრეთვე ერნესტ ლუდვიგ კირხნერის ნამუშევარს "ბერლინის ქუჩის ეპიზოდები", რომელიც 25 მილიონ დოლარად შეფასდა.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. ქ. თბილისის მერიის საწარმო შპს "თბილისის მეტროპოლიტენი",** მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, აცხადებს ტენდერს **საკაბელო პროდუქციის** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად.

**2.** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **არაუგვიანეს 2006 წლის 20 დეკემბრისა პირობით DDP-თბილისი**.

**3.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო კომისიის აპარატში **2006 წლის 20 ნოემბრის 18 საათამდე**, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

**სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.**

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში **2006 წლის 21 ნოემბრის 9 საათიდან** 2006 წლის **21 ნოემბრის 16 საათამდე** განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**5.** ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **საბანკო გარანტია** გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

**6.** საკაბელო პროდუქციის შესყიდვაში **გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით**.

**7.** პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

***შენიშვნა:*** *პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.*

**8.** ტენდერში შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს რამდენიმე გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: გიორგი ბულეიშვილი; ლევან პაპაშვილი ტელ: +995 32 356026; +995 32 943315; ფაქსი: +995 32 934186; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" www.metro.ge.

*სატენდერო კომისია*
*28 ოქტომბერი 2006 წელი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შ.ს.ს. სახელმწიფო სასაზღვრო პოლიცია აცხადებს ტენდერს რბილი ინვენტარი უნიფორმის შესასყიდად. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მუქი მწვანე ზამთრის საველე ფორმა (გოროტექსის, სიმპატექსის ან გეპლექსის ტიპის) | კომპ. | 870 | მოთხოვნილების შესაბამისად | ქ. თბილისი |
| 2 | ქურთუკი პოლარტეკის | ც. | 1270 | | ქ. თბილისი |
| 3 | მუქი ლურჯი ზამთრის საველე ფორმა (გოროტექსის, სიმპატექსის ან გეპლექსის ტიპის) | კომპ. | 140 | | ქ. თბილისი |
| 4 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყ. | 1010 | | ქ. თბილისი |

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში N200122900. დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო სასაზღვრო პოლიცია კოდი 1512.

3. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტის ღირებულება აღემატება 200000 ლარს გამოყენებულ იქნება გარანტიის ოდენობა, საერთო თანხის 3% .

4. სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. ტელ: 37-63-84. 37-07-59

5. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ან ნოტარიუსით დამოწმებული, ქართულ ენაზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

იურიდიულ პირთათვის:

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

8. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

9. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 11 ნოემბრიდან 16 ნოემბრის 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიცია. სატენდერო აპარატი.
ტელ: 37-63-84. 37-07-59

10. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 16 ნოემბერს 14 საათზე.

12. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

13. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე ტელ: 37-63-84. 37-07-59

**სატენდერო კომისია**

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №20
28-29 ოქტომბერი, 2006



"სამსახურიდან მიგზავნიდნენ მძღოლს, ის სადარბაზოს კარებთან მოდიოდა და ხელჩაკიდებული მივყავდი. პროდუქტები თანამშრომლებს მოჰქონდათ... დაახლოებით ვიგრძენი, რა შეგრძნებით ელოდნენ ადამიანები კარზე დაბრახუნებას 37 წელს..."

2-3

## თვალსაზრისი 6-7




რუსეთის ხვალინდელი დღე და აფხაზეთი

## ფოტოგრაფია 8-9



რობერტ კაპა: ომის და მშვიდობის ზღვარზე

## დროთა კავშირი 10



ინტერდისციპლინარობის სათავეები

ვაშლი და აბაზანა

# “დამიჯერეთ, ძალიან ბევრი ხალხი სირცხვილით თავდახრილი უყურებს იმას, რაც ხდება...“

მაია ჭალაგანიძე

*ლილი შენგელია: დაამთავრა ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი; თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტი; ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მცირე ბიზნესის ფაკულტეტი; მუშაობდა ბანკ “როსისკი კრედიტის” სამმართველოს უფროსად; “ავსტრია ბანკი” - სამმართველოს უფროსად; “ინტერნეიშენალ მოსკოუ ბენკ” - სამმართველოს უფროსის მოადგილედ.*



*ლილი შენგელია სტუმრად "24 საათში".*

## ისტორია საბანკო...

- ძალიან კარგი სპეციალობა მქონდა - გეოფიზიკა. მაშინ საინტერესო თემები უნდა გახსნილიყო - გეოფიზიკური მეთოდებით ისტორიული ძეგლების შესწავლა და აღდგენა. ისტორიასთან, არქეოლოგიასთან მექნებოდა შეხება, მაგრამ ამ გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ისე, სულაც არ ამბობენ ტყუილად, или физик, или женщина... - მე ეს უკანასკნელი აღმოვჩნდი. უნივერსიტეტი 1990 წელს დავამთავრე, არეულობა დაიწყო და ჩემთვის საინტერესო ყველა თემა დაიხურა. სხვა გამოსავალი უნდა მეძებნა და თბილისის საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე. აქედან გაცვლითი პროგრამით ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მცირე ბიზნესის ფაკულტეტზე მოვხვდი. სწავლა ორ ეტაპად იყო - სამი კვირა მოსკოვში და შემდეგ ვაშინგტონში. მოსკოვთან მაშინაც დაძაბული ურთიერთობა გვქონდა, მაშინდელმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ საქართველოს საზღვარი შეიძლება დაკეტილიყო. აი, ასე დავრჩი მოსკოვში... ყოველგვარი ლობისა და ნაცნობობის გარეშე დავიწყე მუშაობა ბანკში РОСИИСКИЙ КРЕДИТ. თავიდან კლიენტებთან ურთიერთობა მევალებოდა. ყველა ქართველი ერთსა და იმავეს მეკითხებოდა - ივანიშვილმა მოგიყვანაო?! ბოლოს და ბოლოს მეც ვიკითხე, ვინ არის ივანიშვილი-მეთქი და გავარკვიე, რომ ის ამ ბანკის დამფუძნებელი და მაშინდელი პრეზიდენტი იყო. ორი წლის შემდეგ განყოფილების უფროსი გავხდი, კიდევ ორი წლის შემდეგ საერთაშორისო ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსის მოადგილე და შემდეგ ორი წლის განმავლობაში - უფროსი. ამ ბანკში ჩამოვყალიბდი სპეციალისტად, გამიმართლა კიდეც, რადგან საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მოვხვდი. მაშინ ბანკები სწრაფად ვითარდებოდნენ, ჩვენს ბანკსაც დიდი ამბიციები ჰქონდა. ყველა სტადიის გავლა მომიხდა და ეს შემდგომ პროფესიულ ზრდაში ძალიან დამეხმარა.

1998 წელს რუსეთში დიდი ფინანსური კრიზისი დაიწყო. არავის ეგონა, რომ ეს კრიზისი ასე გაჭიანურდებოდა. ცენტრალური ბანკი, რომელიც რუსეთის ყველა კომერციულ ბანკს კურირებს, დილემის წინაშე აღმოჩნდა - ან უნდა გადაერჩინა “ზბერბანკი” (რომელიც მისი სტრუქტურა იყო და რომელსაც რუსეთის საბანკო სისტემაში ლომის წილი აქვს), ან ყველა სხვა კომერციული ბანკი. კომერციულ ბანკებში შემცირებები დაიწყო. მორალურად ურთულესი იყო ჩემთვის იმ ადამიანების შემცირება, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ერთ გუნდად ვმუშაობდი. მერე, როგორც კი საშუალება მომეცა, ჩემი ყოფილი თანამშრომლები ან ჩემს ახალ სამსახურში წავიყვანე, ან სხვა ბანკებში გავუწიე რეკომნდაცია. "როსისკი კრედიტში" ძლიერი პროფესიონალები მუშაობდნენ.

ამ პერიოდში მივიღე მოწვევა ბანკ “ავსტრიაანშტალტიდან”. ეს არის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ცნობილი ავსტრიული ბანკი, რომელსაც შვილობილი ბანკი მოსკოვშიც ჰქონდა. ისევე, როგორც ყველა უცხოური ბანკის ფილიალი, უფრო საბანკო ოპერაციებზე იყო ორიენტირებული. კრიზისის მერე ყველაფრის შეცვლა იყო საჭირო და პრაქტიკულად ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

განსაკუთრებით კრიზისის მერე ძალიან მნიშვნელოვანი იყო უცხოური ბანკების ნდობის ფაქტორი. ხალხი ენდობოდა უცხოურ ბანკებს, თუმცა, კრიზისმა ისინიც დააზარალა, მაგრამ უცხოელი აქციონერების დახმარებით ბანკმა ყველა ვალდებულება გაისტუმრა და ნორმალური ფუნქციონირება დაიწყო.

ავსტრიულ ბანკში იმ ამერიკელი პარტნიორების რეკომენდაციით მოვხვდი, ვისთანაც უშუალო კონტაქტი “როსისკი კრედიტში” მუშაობის დროს მქონდა.

“როსისკი კრედიტი” უზარმაზარი ბანკი იყო, ხლმძღვანელოვბას პირადად ვიცნობდი და ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შემეძლო ამ ურთიერთობებით, რადგან ჩვენ ყველა ერთად მოვედით ბანკში. რთული იყო ასეთი ადგილიდან წამოსვლა. შეგრძნება მქონდა, რომ მშობლიურ სახლს ვტოვებდი. მმართველის ათივე მოადგილეს შევხვდი პირადად და ათივე დარჩენას მთავაზობდა...

1999 წლის პირველი იანვრიდან 2001 წლის 1 ოქტომბრამდე “ბანკ ავსტრიაში” ვმუშაობდი. ის სწორედ იმ პერიოდში იწყებდა განვითარებას. ბევრი რამ ისე შევცვალეთ, რომ ყოველდღიური რუტინა საინტერესო გახდა. როდესაც არ არის საშუალება ადამიანი ვერტიკალში გაიზარდოს, მაშინ უნდა შექმნა სტრუქტურა, სადაც ის ჰორიზანტალში გაიზრდება და სამუშაო მისთვის საინტერესო და მრვალფეროვანი გახდება. ამან დიდი როლი ითამაშა იმ ხალხისთვისაც და ჩემთვისაც მაშინ, როდესაც “ავსტრია ბანკი” მეორე მოსკოვურ ბანკთან, “ინტერნეიშენალ მოსკოუ ბენკ” გაერთიანდა და სადაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი.

ეს იყო რუსეთში უცხოელების მიერ 1989 წელს დაფუძნებული პირველი კომერციული ბანკი. 2001 წლიდან ამ ბანკის ძირითადი აქციონერები იყვნენ Hypo-Vereinsbank და Nordea Group. იმ პერიოდისთვის Hypo-Vereinsbank-მა “ავსტრია ბანკი” იყიდა და ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ჯგუფი გახდა, რომელმაც ყველა ქვეყანაში დაიწყო თავისი სტრუქტურების შერწყმა. ეს პროცესი არ იყო ადვილი. ამ ბანკში შემომთავაზეს სამმართველოს უფროსის მოადგილეობა, რაც ჩემს კარიერაში წინსვლა არ იყო, მაგრამ ეს ტრაგიკულად არ აღმიქვია - ეს არის ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ბანკი რუსეთში, რომლის მმართველობის წევრი ბოლო პერიოდამდე იყო ვიქტორ გერაშჩენკო. სწორედ აქედან წაიყვანეს ის ცენტრალური ბანკის მმართველად. ეს ბანკი ყოველთვის იდეალად ითვლებოდა, აქ მოხვედრა ძალზე რთული და პრესტიჟული იყო, აქვს ბევრი სახსრები და განვითარებისთვის ეს მნიშვნელოვანია.

აქ რამდენიმე პროგრამის მენეჯერი ვიყავი. ეს იყო საბანკო მნიშვნელობის პროექტები, რომელთაც საბოლოოდ ძალიან დიდი ეკონომია მოიტანეს. ეს სამუშაო საინტერესო იყო და თანაც ჩემთვის კარიერა არასდროს არ იყო მთავარი, თუმცა, ცხადია, წინსვლაზე უარს არ ვამბობდი. 14 წელი ვცხოვრობდი მოსკოვში და ჩემთვის ყოველთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, სად ვმუშაობდი, რა კატეგორიისა და რეპუტაციის ბანკში. რაღაც ფასეულობები არსებობდა - გადასახადები, გამჭვირვალობა. აქციონერები უცხოელები იყვნენ და გამჭვირვალობა მათთვისაც მთავარი მოთხოვნა და პრინციპი იყო და ჩემთვისაც.

ჩვენი სამმართველო ოთხი განყოფილებისა და ასი თანამშრომლისგან შედგებოდა. შევდიოდი ბანკის keyperson-თა რიგში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მოქალაქედ ვრჩებოდი. მოქალაქეობის შეცვლა არც მინდოდა და გარდა ამისა, რუსული კანონმდებლობით, ორმაგი მოქალაქეობისთვის ან უნდა გათხოვდე, ან უძრავი ქონება უნდა გქონდეს. სამუდამოდ რუსეთში დარჩენას არ ვაპირებდი და უძრავ ქონებაზე ამიტომაც არ მიფიქრია. რადგანაც მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები ზიგზაგურად ვითარდებოდა, კრედიტის აღებისგანაც თავს ვიკავებდი...

**- ის, რაც ახლა ხდება - საქართველოს მიმართულებით საბანკო გადარიცხვების აკრძალვა - რუსეთის ბანკებზე როგორ აისახება?**

- ცხადია, უარყოფითად, რადგან ეს ბანკები საკომისიოს კარგავენ. გარდა ამისა, აკრძალვისა და კონტროლის დაწესებისას ყოველთვის ჩნდება დამატებითი საქმე - ვიღაცამ უნდა აკონტროლოს, ვიღაცამ ანგარიშები უნდა შეადგინოს, ეს ყველაფერი კი ზედმეტი ხარჯია.

**- უცხოელი პარტნიორები ამ ვითარებას როგორ უყურებენ? არ დაფრთხნენ?**

- ძალიან შიშობენ, რადგან კრიზისის მერე სახელმწიფომ ბანკების წინაშეც არ შეასრულა თავისი ვალდებულებები. ძალიან ბევრი ბანკი იმის გამოც ჩავარდა, რომ სახელმწიფომ უარი თქვა ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფაზე.

საბანკო სისტემა ყოველთვის თვალყურს ადევნებს, რა ხდება პოლიტიკაში. მაგალითად, ელცინი რომ ავად გახდებოდა, ან საავადმყოფოში დაწვებოდა - აქციების (ე.წ. голубые фишки) ფასი მაშინვე ეცემოდა. ეს სექტორი და საერთოდ ეკონომიკა, ძალიან მგრძნობიარეა.

## ...და ადამიანური

მოსკოვში ცხოვრებას ფორმალობები მაინცდამაინც არ ჭირდებოდა. ასე იყო ცოტა ხანს... მერე დაიწყო რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელსაც არათუ უცხოელები, რუსეთის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მოქალაქეებიც გადიოდნენ. მერე შემოიღეს ქაღალდი სახელწოდებით “მუშაობის უფლება”, რომლის გარეშეც არც ერთ ორგანიზაციას არ ჰქონდა უცხოელის სამუშაოდ აყვანის უფლება. ამას მოჰყვა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი... საინტერესოა, ალბათ, რუსეთის არამოქალაქის გზა ბიუროკრატიულ ლაბირინთებში: ჯერ ყველა ორგანიზაცია ამცნობს შესაბამის სამსახურს, რამდენი უცხოელი ჰყავს აყვანილი სამუშაოდ. ეს "შესაბამისი სამსახური" მთელი რუსეთის მასშტაბით ითვლის ამ ციფრს. მერე ორგანიზაციამ უცხოელი თანამშრომლების აყვანის საერთო უფლება უნდა აიღოს, როდესაც ორგანიზაცია ამას მიიღებს, მერე სათითაოდ ყველა უცხოელ თანამშრომელზე კეთდება “სამუშაო უფლება”. ამას აკეთებს მიგრაციული სამსახური. ის სამსახური, რომელსაც პუტინმა მიგრაციის პრობლემების შესასწავლად 15 ნოემბრამდე მისცა ვადა. უკვე ვიცით, რომ ეს “შემოწმება” ქართველებით დაიწყო...





- 8 სექტემბერს დამახვედრეს ეს უფლება, ვიზას კი 30 სექტემბერს გადიოდა ვადა. 1 ოქტომბრიდან უკვე მიღებული მქონდა ახალი ერთწლიანი სამუშაო ვიზა. სწორედ ეს არის ძირითდი საბუთი, რომლის მიღებიდან ერთ კვირაში გაძლევდნენ ვიზას.... ოღონდ, ეს პუტინის განკარგულებამდე იყო.

შვებულებიდან 25 სექტემბერს დავბრუნდი მოსკოვში. 27 სექტემბერს ჩემი საბუთები ვიზის გასაგრძელებლად წაიღეს... და არ მიიღეს. 10 ოქტომბრამდე საერთოდ არ იღებდნენ საბუთებს - არც ჰო-ს ამბობდნენ და არც არა-ს. გამოვიდა, რომ სამუშაო უფლების გარდა არავითარი საბუთი არ გამაჩნდა, ეს კი რუსეთში ყოფნის უფლებას არ იძლეოდა. 10 დღის განმავლობაში ვიყავი ჰაერში და ვიყავი სახლში... ქუჩაში გასვლა საშიში იყო. ბოლო პერიოდში საბუთებს ქუჩაშიც გთხოვდნენ და მეტროშიც. თუ წესრიგში არ გქონდა - მილიციის განყოფილება და აქ არსებული "სიამოვნებები" გელოდა - ზოგი მშვიდობიანად აღწევდა თავს ამას, ზოგი ქრთამით და ა.შ. ბოლო ხანებში ეს კამპანია განსაკუთებით გააქტიურდა - ხალხს აჩერებდნენ კაფეებში, თეატრში, გამოჰყავდათ სპექტაკლებიდან და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ხარ. ვისაც ვიზა ჰქონდა, ყალბიაო, ედავებოდნენ, თუ ვიზა არ გქონდა, მაშინვე - დეპორტი... ასეთ ვითარებაში კი, რა თქმა უნდა, სახლიდან გასვლა მეშინოდა.

ბანკი ეძებდა კონტაქტებს საიმიგრაციო სამსახურთან. სურდა, გასულიყო ვინმე მაღალჩინოსანზე, რომელიც რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა. ბოლოს ვილაცასთან მოახერხეს შეხვედრა და... მომცეს ვიზა 10-დან 25 ოქტომბრამდე.

**- ეს პირდაპირ ნიშნავს, "ჩაალაგე და წადი!"**

- ალბათ... სამსახურიდან მიგზავნიდნენ მძღოლს, ის სადარბაზოს კარებთან მოდიოდა და ხელჩაკიდებული მივყავდი პოლიკლინიკაში (თბილისიდან, შვებულებიდან ისედაც გაციებული ჩავედი. ეს გაციება ნერვიულობის ნიადაგზე გამირთულდა და ფილტვების ანთებაში გადაიზარდა). 12 დღე ტყვესავით გამოკეტილი ვიყავი. პროდუქტები თანამშრომლებს მოჰქონდათ... ჩემი სახლის პირველ სართულზე მილიციის განყოფილება იყო. ადრე ეს მიხაროდა, თავს დაცულად ვგრძნობდი. ახლა კი ეს იყო უძილო ღამეები, პანიკა, ნერვიულობა.

თანამშრომლებისთვის ეს იყო შოკი. ბანკში ყველას ჰქონდა იმედი, რომ პრობლემები მოგვარდებოდა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი სამუშაო უფლება მოპოვებულს ეს კამპანია მე არ უნდა შემხებოდა. ბანკი თანადგომას მიცხადებდა. მე კი დაახლოებით მივხვდი, რას გრძნობდა ხალხი 37 წელს - როცა ზიხარ და ელი, როდის მოგიკაკუკნებენ კარებზე...

**- მეზობლები?**

- თბილისიდან დაბრუნებული არც ვეგონეთ. მე გარეთ არ გავდიოდი. წამოსვლისას კარის მეზობელს რომ ვემშვიდობებოდი, პირი დააღო, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შენ ეს შეგეხებოდაო.

სამსახურიდან მოჰქონდათ ყუთები, "სკოჩები", თანამშრომლები ბარგის შეკვრაში მეხმარებოდნენ. კარგი ხალხი ხომ ყველგან არის?! თბილისიდან ყოველ დღე რომ მირეკავდნენ, ეს ცხადია, უდიდეს ძალას მაძლევდა, მაგრამ მოსკოველი მეგობრები თუ უბრალო ნაცნობების ზარები მაინც სხვაგვარ მხნეობას მმატებდა. ყველა მირეკავდა და მეუბნებოდა - გამაგრდით, თქვენთან ვართ და ოდესმე ეს დამთავრდებაო.

ახლადაღებულ სამუშაო უფლებას ანულირება გაუკეთეს, ყველას ასე მოუწევდა, მილიციის ძალით იღებდნენ ამ უფლებებს.

ბანკში ასეთი წესი იყო. ის, ვინც სამსახურს ტოვებდა, იმეილით ატყობინებდა მთელ სამსახურს ამის შესახებ. ამ წერილის დაწერიდან სამი საათის განმავლობაში არც ჩემი ტელეფონი გაჩერებულა და ფოსტაზეც ორასამდე წერილი მოვიდა. ძალიან წუხდნენ მომხდარის გამო, რამდენიმემ დამიწერა, რომ ჩვენ, რუსეთის მოქალაქეებს გვრცხვენია, ქურდებს და წესიერ ხალხს რომ არ ანსხვავებენო. ზოგი წერდა, ეს ყველაფერი სტალინის დროინდელ რეპრესიებს ჰგავსო. ზოგი მთხოვდა, მოუყევით თქვენს ახლობლებს და მეგობრებს, რომ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ და ამას არ ვიზიარებთო. ერთმა მომწერა, "დამიჯერეთ, ძალიან ბევრი ხალხია, ვინც სირცხვილით თავდახრილი უყურებს იმას, რაც ხდებაო..."

17 ოქტომბერს ბანკის დირექტორთა საბჭოს კრება იყო დანიშნული. ჩამოსული იყვნენ ავსტრიელები, გერმანელები, ფინელები და სხვა აქციონერები. კრება იმით დაიწყო, რომ პრეზიდენტმა იკითხა, როგორ არის ქართველი გოგოს საქმეო... ეს ჩემთვის ერთგვარი რეზიუმე იყო - 14 წელი მოსკოვში ტყუილად არ ვყოფილვარ. ჩემს წერილში დავწერე, "იმედი მაქვს, როდესაც ქართველებზე იქნება საუბარი, პირველი მე გაგახსენდებით და არა ის ბანდიტები და ქურდები, ვიზეც ასე სიამოვნებით ყვებიან ტელევიზიით..." თითქოს სულში ჩაგვაფურთხეს, როდესაც საიმიგრაციო სამსახურის ერთ-ერთი წამომადგენელი ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, რომ არ გვჭირდება ქართული სამუშაო ძალაო... როცა გადასახადებს ვიხდიდით, მაშინ ჭირდებოდათ?!



**- საქართველოს საელჩოს ძალიან დაძაბული დღეები აქვს, მათთვის არ მიგიმართავს?**

- არა, მაგრამ იქ ჩემი მეგობრები მუშაობენ და მათგან ვიგებდი ახალ ამბებს. შაბათ-კვირასაც მიმღებიდან მიმღებში დადიან, რომ ჩვენს მოქალაქეებს უშველონ. ისინიც კი, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა აქვს, გულაყრილები არიან და წამოსვლას ფიქრობენ.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ქართველი ხალხი გვიყვარს, მათი მთავრობა არ მოგვწონსო, მაგრამ საქმით სულ სხვა რამეს აამტკიცებდნენ - ხალხი გაიჭყლიტა.

ერთი სათხოვარი მაქვს - ამ ხალხს დახმარება ესაჭიროება. ბაქომდე ბილეთი 250 დოლარამდე ღირს, ცალკეა ბარგი, საბაჟო - ყველას არ აქვს ამის საშუალება. მათ დახმარება ჭირდებათ, რადგან დეპორტირებულთა დიდი უმრავლესობა რუსეთში დალხენილი ცხოვრებისგან არ იყო წასული. ისინი ოჯახისთვის სარჩოს შოულობდა. ჩვენ იქ მეგობრებისა და ოჯახის იმედი ვიყავით...

**- ამ რამდენიმე დღის წინ პუტინი პირდაპირ ეთერში პასუხობდა მოსახლეობის შეკითხვებს. საშუალება რომ გქონოდა, რას ჰკითხავდი?**

- როდის დაგვანებებს თავს რუსეთი?

**- ეს ანტიქართული კამპანია რომ არა, წამოხვიდოდი?**

- ძალიან რთულია ჩვეული წესის, სტაბილური მდგომარეობის შეცვლა. არამხოლოდ ჩემს ბანკში, მთელს საბანკო სისტემაში მიცნობენ და სახელი მაქვს. ამის ერთბაშად შეცვლა ძალზე რთულია. გერმანელი, ავსტრიელი აქციონერები მთავაზობდნენ სამუშაოს, მაგრამ მინდა აქ მოვეწყო, მინდა ეს გამოცდილება აქ გამოვიყენო. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ცხოვრება თავისით მიდიოდა და მე მანქანასავით ვმუშაობდი. რთულია ორ ქვეყანაში ცხოვრება - აქ მყავს ოჯახი, მეგობრები. ვფიქრობდი, მაისამდე დავკვალიანდები, აქაც რაიმე სამსახურს შევიგულებდი... ჯერ გონს მოსვლა მინდა, ის ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, ახლა უნდა გავიაზრო... და კიდევ, ყოველ ღამე თბილისი მენატრებოდა. თან ამ ბოლო დროს ისე ლამაზდება...

# რუსეთის ხვალინდელი დღე და აფხაზეთი

## (პოლიტიკური პროგნოზები)

ზაურ კვარაცხელია
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განყოფილების უფროსი, პროფესორი

*თავიდანვე ვიტყვით: რუსეთის ხვალინდელი დღე გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით ამჟამად უფრო მეტადაა ბურუსით მოცული, მაგრამ მაინც შეიძლება გაკეთდეს ბევრად უფრო სწორი პროგნოზი, ვიდრე ეს დღემდე კეთდებოდა. ამის საფუძველს რუსეთის იმპერიის თითქმის 300-წლოვანი ისტორია იძლევა, განსაკუთრებით კი - მისი ბოლოდროინდელი, 90 წლიანი მონაკვეთი.*

*რუსეთის იმპერიის კრახი არაერთგზის დამდგარა. ერთ-ერთი ასეთი გამანადგურებელი კრახისაგან იგი "დიდი ოქტომბრის რევოლუციად" წოდებულმა გადატრიალებამ (1917წ.) იხსნა, რომელმაც ხალხს დაპირებული თავისუფლების ნაცვლად უუფლებობა, მონური მდგომარეობა, მილიონობით მსხვერპლი და ასევე მილიონობით დამსხვრეული იმედები მოუტანა. მეფის დროინდელ უსუსურ, თუმცა ევროპის ჟანდარმად ქცეულ რუსეთს ახალი, კბილებამდე შეიარაღებული კომუნისტური იმპერია ჩაენაცვლა, რომელიც მისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ იგი პრეტენზიას მსოფლიო ბატონობაზე აცხადებდა.*

*დღეს საქმე გვაქვს ამ იმპერიის სამართალმემკვიდრე რუსეთთან, რომელიც იმავე ამბიციებითაა შეპყრობილი, რითაც საბჭოთა კავშირი მისი აღზევების პიკურ პერიოდებში.*

*კითხვაზე - რას უნდა ვუმადლოდეთ რუსეთს? - პასუხი არ არსებობს.*

*ის, რაც მის წიაღში შეიქმნა - კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება და ტექნიკა - შეიქმნა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლისა და სისხლის ფასად და რომ არა ამ ღირებულებებისადმი იმპერიული მიდგომა, რუსეთი 50 წლით კი არ გაუსწრებდა სხვა დანარჩენ მსოფლიოს რაკეტმშენებლობაში, არამედ ღირსეულ ადგილს დაიკავებდა მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, რუსეთში პროგრესის მაჩვენებლებად მიღებულია არა ეს ღირებულებები, არამედ სამხედრო არსენალის ზრდის მასშტაბები, რომელსაც იგი კატასტროფისაკენ მიჰყავს.*

*რუსეთი, როგორც სახელმწიფო, იმპერიად დაიბადა და, როგორც ჩანს, "სიკვდილიც" ამ სტატუსში მოუწევს. ეს იქნება რუსეთისა და რუსეთის ხალხთა განთავისუფლების დღეები. ამით პლანეტის ერთ მერვედ ნაწილზე არსებობას შეწყვეტს ყველაზე სისხლიანი და ბოროტი იმპერია, რომელიც კი ახსოვს მსოფლიოს ხალხთა ისტორიას.*



### მესამე რომი მონომახის გაცვეთილი ქუდით

"მესამე რომი" კონცეპტუალურად რუსეთის სახელმწიფოს შექმნის ერთგვარ იდეოლოგიას წარმოადგენდა და როგორ უსუსურადაც არ უნდა გვეჩვენოს მოსკოვის სამთავროს კავშირი რომის იმპერიის გამონაყოფ ბიზანტიასთან, ისტორიულად რუსეთს "ერგო" პატივი, თავი ბიზანტიის მემკვიდრედ, თვით მოსკოვი - კონსტანტინეპოლის მემკვიდრედ გამოეცხადებინა.

საერთოდ, რუსეთს საკუთარი ფესვები არ გააჩნია. ის მუდმივად თავისი მემკვიდრეობის ძიებაშია. ეს "ძიება" მიზნად ისახავდა არა საკუთარი ფესვების მოძიებას, არამედ საკუთარი პოზიციების განმტკიცებას ისტორიის გაყალბებისა და იაფფასიანი ლეგენდების შეთხზვის გზით - ხალხის უსიტყვო მორჩილების უზრუნველსაყოფად.

"მესამე რომის" კონცეფცია ამ მხრივ ყველაზე მისაღები და სტრატეგიულად ყველაზე ეფექტური უნდა ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ ცალკეული სამთავროების გაერთიანების გზით შექმნილიყო ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, შემდგომ კი განეხორციელებინათ მოსაზღვრე ტერიტორიების ანექსია. ეს პროცესები სრულიად ბანალური ამბებით დაიწყო. ჯერ იყო და ბიზანტიის დაცემიდან (1453 წ.) 19 წლის შემდეგ, 1472 წ. მოსკოვის დიდი მთავარი ივანე III ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის ძმისშვილზე - სოფიაზე ქორწინდება, შემდგომ ივანე III-ის ბეჭედზე ბიზანტიის გერბის ორთავიანი არწივი გამოისახა წმინდა გიორგის გამოსახულებასთან ერთად, რაც ცოტა მოგვიანებით რუსეთის ოფიციალურ გერბად იქნა მიღებული. ეს და ამდაგვარი სიტუაციები ხელში აიტაცა სამღვდელოებამ. მოსკოველი ბერი ფილოფეი (XVIს.) ამტკიცებდა, რომ ქრისტიანობის იდეის მატარებელი სამი მსოფლიო სამეფოდან მესამე რუსეთია. თუ პირველი ორი (რომისა და ბიზანტიის იმპერიები) დაეცა, მათი ისტორიული მემკვიდრე მოსკოვის რუსეთია, რომელსაც დაღუპვა არ უწერია და იგი რიგით მესამე და უკანასკნელი რომიაო.

რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში "მესამე რომის" კონცეპტი ახალ-ახალი "აღმოჩენებით" იკვლევდა გზას. "მესამე რომი" სულ ცოტა ხანში "პირველ რომს" იმპერატორ ავგუსტის მეშვეობით "უკავშირდება", რომლის ძმის თითქოს და პრუსიის შთამომავალი რიურიკი რუსი მთავრების მამამთავარი იყო. ასეთივე ხერხით "ჩამოიტანეს" ბიზანტიიდან "მონომახის ქუდი", რომელიც პირველად (X ს.) თითქოს კიევის მთავარს ვლადიმირს თვით ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა გამოუგზავნა. ამ ლეგენდებს ის გაგრძელება აქვს, რომ ქალაქი ვლადიმირი "არის" კიევის პოლიტიკური მემკვიდრე, ხოლო ვლადიმირისა - მოსკოვი (დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. რ. ლომინაძის "მესამე რომი", გაზ. "24 საათი", 2005 წ, 12 ოქტომბერი, N226).

ბოლო ხანებში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გამწვავების ფონზე რუსი პოლიტიკოსები რატომღაც მესამე რომზე ალაპარაკდნენ, თუმცა აშკარად მიანიშნებენ მეოთხე რომის არსებობაზეც. ასეთად მათ აშშ მიაჩნიათ. ისტორიული გამოცდილება კი გვეუბნება: ჯერ დაეცა "პირველი" რომის იმპერია, შემდეგ მეორე (ბიზანტია), და თუ იქმნება "მეოთხე რომი", უნდა დაეცეს რიგით მესამე. ვფიქრობთ, ისტორიული კანონზომიერება არ დაირღვევა.

რუსეთს არასდროს აუღია ხელი თავის იმპერიულ ზრახვებზე. ორთავიანი არწივიდან ნამგალი და უროს ეტაპის გავლით ისევ ორთავიან არწივთან მიბრუნება მეტყველებს იმაზე, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, კვლავაც ატაროს მონომახის გაცვეთილი ქუდი, რომელიც არც ბიზანტიის და არც საბჭოთა კავშირის სიმბოლოა და მხოლოდ საფრთხობელად თუ გამოადგება დაპყრობილი პატარა ხალხებისათვის.

### იმპერატორები

რუსეთის პირველი იმპერატორი პეტრე დიდი გახლდათ. კომუნისტური იმპერიის პირველი მესაჭე ვლადიმირ ლენინი იყო, თუმცა ოფიციალურად იგი რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ იწოდებოდა. ასე დაიწყო რუსეთის განახლებული და გაფართოებული იმპერიის ბოლო 90-წლიანი ეპოპეა, რომლის არსებობა სამოქალაქო ომით დაიწყო და დღესაც გრძელდება. თუ ამ პერიოდის რუსეთის იმპერატორებზე ვისაუბრებთ, აღმოჩნდება, რომ სტალინი მათ შორის ყველა დროის დიქტატორთა შორის დიქტატორია, როგორც ამას ჩერჩილი წერდა. სტალინის დროშის ქვეშ ზიუგანოვის მეთაურობით (ფარულად - პუტინი) დღესაც ათიათასობით ხალხი გამოდის ქუჩებში საპირველმაისო თუ საშვიდნოემბრო დემონსტრაციებზე და პრაქტიკულად, კომუნისტური რეჟიმის აღდგენას ითხოვს. დიქტატორთა შორის დიქტატორი ვოლუნტარისტმა დიქტატორმა ხრუშჩოვმა შეცვალა, ხრუშჩოვი - "დობრი" ალკოჰოლიკმა დიქტატორმა ბრეჟნევმა, ბრეჟნევი - დემაგოგმა დიქტატორმა გორბაჩოვმა, გორბაჩოვი - ხისტმა ალკოჰოლიკმა დიქტატორმა ელცინმა; ელცინმა კი, როგორც ეს სჩვეოდათ რომის იმპერატორ-დიქტატორებს, თავის მემკვიდრედ პუტინი დანიშნა. არაფერს ვამბობთ "იმპერატორის" ტახტზე მცირე დროით მოსულ მალენკოვზე, ჩერნენკოსა და ანდროპოვზე, რომელთაგან პირველმა ვერ შეძლო დიქტატორობა და მოისროლეს, ხოლო ჩერნენკოსა და ანდროპოვს განგებამ იმდენად მცირე "საიმპერატორო" დრო დაუწესა, რომ ერთმა ვერ მოასწრო თავისი სისულელეების ბოლომდე ჩვენება, მეორემ - თავისი მრისხანებისა.

რაც შეეხება პუტინს, იგი ჩამოყალიბებული პოსტსაბჭოური დიქტატორია, რომელიც ადგილს იკავებს სტალინსა და ჰიტლერს შორის. რუსეთმა პუტინის სახით მიიღო ის მმართველი, რომელიც მას კომუნისტური იმპერიიდან ჩვეულებრივ იმპერიაზე გადასვლისათვის სჭირდებოდა. ამდენად, როგორი რეფორმებიც არ უნდა გაატაროს მმართველმა ელიტამ, რუსეთი ყოველთვის დარჩება დიქტატურის ბასტიონად. ნურავის ეგონება, რომ რუსეთის იმპერიის პრეზიდენტის სავარძელში ოდესმე დემოკრატი მმართველი ჩაჯდება. ასე ეგონა თვით ელცინს, რომელიც ავანსად არიგებდა თავისუფლებასა და სუვერენიტეტს, მაგრამ პირველმა დაარტყა ჩეჩნეთს, ხოლო მისმა მეკვიდრემ მის მიერ დაწყებული საქმე "ბრწყინვალედ" დააგვირგვინა.

ისმის კითხვა, ვინ შეცვლის პუტინს და შერბილდება თუ არა რუსეთის დიქტატორული რეჟიმი? ყველაზე დიდი დემოკრატია ხალხმა სსრ კავშირის დაშლის მომენტში იგრძნო. შედეგად, რუსეთის "გოსდუმაში" მოვიდნენ დემოკრატიულად განწყობილი ძალები, ცალკეული მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც, როგორც ყოფილი დისიდენტები, დემოკრატიულ იდეებს ქადაგებდნენ, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა რუსეთში "დემოკრატიის პარადი" - დღეს "გოსდუმაში" თქვენ ვერ ნახავთ ვერც დემოკრატებს, და ვერც, ყოფილ დისიდენტებს. დემოკრატიამ ისევ ქუჩაში გადაინაცვლა, ხოლო მის ცნობად სახეებს სადარბაზოებში ქილერის ტყვია თუ ელოდება.

დიქტატურის არავითარი დასუსტება, პირიქით, დიდი ალბათობა არსებობს იმისათვის, რომ ნეოიმპერიალიზმისაკენ მიმავალ გზაზე რუსეთში ფაშისტური დიქტატურა დამყარდეს. მისი ნიშნები სახეზეა და არა გვგონია, "თავგადაპარსულთა" (სკინჰედები) მოძრაობა რაიმე სიკეთეს უქადდეს მის მოსახლეობას, - სულ დიდი, 15-20 წელიწადში რუსეთის მართვის სათავეებთან ერთ-ერთ ასეთ "თავგადაპარსულს" ვიხილავთ მიხაკისფერ კოსტუმსა და ჰიტლერისათვის დამახასიათებელი ულვაშით.

ზოგადად რომ ვთქვათ, აღმავლობას განიცდის რუსული ნაციონალ-შოვინიზმი, ნახევრად გასამხედროებული ნეობოლშევიზმი, დემოკრატიისათვის "გოსდუმა" პრაქტიკულად დახურულია და როგორი საგანგაშოც არ უნდა იყოს, ჩამოყალიბდა იდეოლოგიზირებული ველიკოდერჟავული ისტებლიშმენტი, რომელსაც ღრმად აქვს გაშვებული ფესვები ჩრდილოვან თუ ლეგალურ ბიზნესში. ბოლო 10-15 წლის მანძილზე რუსეთის მმართველ წრეებში მოვიდა ის ძალა, რომლის ხელშია პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები და ძალისმიერი პოზიციიდან ესაუბრება (უფრო სწორად - აშანტაჟებს) მსოფლიოს ხალხებს.

ჩვენს მიერ დასმულ პირველ კითხვაზე თუ არა, მეორე კითხვაზე - ვის უნდა უმადლოდეს რუსეთი? - ვრცელი და შთამბეჭდავი პასუხი არსებობს. რუსეთის ისტორია გვერდს ვერ აუვლის პეტრე დიდის, ეკატერინე II-სა და სტალინის სახეებს, რომელთაგან არც ერთი არ იყო გენეტიკურად რუსული წარმოშობის. ისტორია ვერც იმ თორმეტ ქართველ გენერალს დაივიწყებს, რომლებიც რუსების მხარდამხარ იბრძოდნენ 1812 წლის სამამულო ომში. მარტო პეტრე ბაგრატიონი რად ღირს. ვერც არჩილ ბატონიშვილს, რუსული არტილერიის შემქმნელსა და მის პირველ ფელდცოიხმაისტერს დაუკარგავენ ღვაწლს, რომელსაც პეტრე დიდი რატომღაც ღვიძლი ძმასავით ექცეოდა (მიაჩნდა კიდევაც).

რუსეთის ოფიციალურ წრეებს ავიწყდებათ (ივიწყებენ!) ისიც, თუ როგორ მოურა საქართველომ 1918-1921 წლებში დამშეული რუსეთიდან 200-250 ათასამდე გადმოხვეწილ ეთნიკურ რუსებს, რომლებიც თავიანთი სურვილის მიხედვით განასახლა სოფლად თუ ქალაქად. ან რად ივიწყებენ მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მხრიდან გაღებულ სისხლს ან იმ ფაქტებს, თუ როგორ ხვდებოდა მთელი საქართველო და მისი დედაქალაქი რუსეთიდან ევაკუირებულ მოსახლეობას 1941-1945 წლებში. დიდია ეთნიკური ქართველების ღვაწლი რუსული კულტურის, ხელოვნების, ისტორიის, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების საქმეში. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ რუს ბავშვებს "რადნაია რეჩ" პირველად იაკობ გოგებაშვილმა შეუქმნა, რომელიც 20-ჯერ გამოიცა რუსეთში. ასევე, რუსული ენის გრამატიკა პირველად სოლომონ დოდაშვილმა დაწერა. და ბოლოს რუს და ქართველ ხალხებს შორის კულტურული, ყოფითი, ნათესაური (შერეული ოჯახები) ურთიერთობები განსაკუთრებით გამორჩეულია თავისი უშუალობითა და უბრალოებით, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ჩვენ - ქართველები და რუსები - მართლაც რომ ერთი ღვთის შვილები ვართ. ეს და სხვა მრავალი მსგავსი მაგალითი იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ რუსეთი რუს ხალხთან ერთად არარუსმა ხალხებმაც ააშენეს და ის, რაც დღეს ამ ქვეყანაში ხდება, სხვანაირად ვერ შეფასდება, თუ არა, როგორც ნეოფაშიზმი და ეთნიკური წმენდა.

## რუსეთი საშიში მეზობელია

ისტორიულად რუსეთი მეზობელი ქვეყნების ანექსიაზე იყო ორიენტირებული. ამიტომაა, რომ მისი ტერიტორიის გეოგრაფიულ გაწფენილობას წყვეტა არ გააჩნია, ანუ მას არა აქვს ე.წ. "заморские территорий", როგორც ეს დამახასიათებელი იყო საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვ. იმპერიებისათვის. ის ნელ-ნელა მიიწევდა წინ აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით. ჩრდილოეთიდან მას საფრთხე არ ემუქრებოდა და არც დიდი "სამუშაო" ჰქონდა მცირერიცხოვანი აბორიგენი ხალხებით დასახლებული ტერიტორიების "ასათვისებლად".

ანექსირებულ ტერიტორიებზე რუსეთი დაუყონებლივ იწყებდა მათი კოლონიზაციის პროცესებს, რომელიც დაპყრობილი ხალხების გარუსებისა და ასიმილაციის იდეოლოგიაზე იყო გაწერილი. ეს სქემა საკმაოდ წარმატებულად "მუშაობდა", რამაც საბჭოთა პერიოდში რუსეთს "უფროსი ძმის" სახელიც კი "დაუმკვიდრა" დაპყრობილ ხალხებს შორის. "უფროსი ძმა" კი მუდამჟამ "უმცროსი ძმის" ძიებაში იყო, რამაც ის აღმოსავლეთით ფსკოვინოვგოროდიდან წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე მიიყვანა, ხოლო სამხრეთით ინდოეთის ოკეანეზეც იწყო ფიქრი.

რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაც სწორედ ის არის, რომ იგი "ფართოვდებოდა" სიგრძე-სიგანეში მეტწილად ხანგრძლივი დაპყრობითი ომების, ზოგიერთ შემთხვევაში - მცირერიცხოვან რეკრუტთა "ექსპედიციების" მოწყობის გზით. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას რუსეთი სამხრეთის მიმართულებით წააწყდა, რომელიც პრაქტიკულად არასოდეს ჩამქრალა და თუ გარკვეულ პერიოდში სიმშვიდე იგრძნობოდა, ეს იყო მხოლოდ "წუთშესვენება" ახალ-ახალი შეტევების წინ.

საერთოდ, რუსეთი სამხრეთის, კერძოდ კი კავკასიის მიმართულებით იმათავითვე დაადგა უგუნურ პოლიტიკას, რამაც ადრექრისტიანული ეპოქის ქრისტიანი ხალხები (ჩეჩნები, ინგუშები და სხვ.) არაბულ სამყაროსკენ მიაბრუნა. ამით მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროს მთელი ჩრდილოეთი კავკასია გამოეთიშა, ხოლო საქართველო და სომხეთი მუსულმანურ გარემოცვაში აღმოჩნდა.

რუსეთის უხეში, ძალისმიერი საგარეო პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს მის მოსაზღვრე 16 ქვეყნიდან უკლებლივ ყველას მის მიმართ ჰქონდა (და ესეც პირობითია) ან აქვს ტერიტორიული პრეტენზიები. საკუთრივ, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი - მდ. ფსოუდან ტუაფსემდე, ასევე ვლადიკავკაზის მოსაზღვრე კავკასიის ქედს გადმოღმა ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის საზღვრებშია მოქცეული. რუსეთი არ ჩერდება - ის აშკარად და თავხედურად მოიწევს საქართველოს სიღრმეში - საქართველოს ჩრდილო დასავლეთით მდ. ენგურამდე, ჩრდილოეთით ქალაქ გორამდე. და არა მარტო საქართველოა აღებული მის სამიზნეში. პრაქტიკულად, იგივე მეთოდებით ცდილობს კბილი გამოჰკრას მოლდოვასა და უკრაინას ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს ამ ქვეყნებთან შეინარჩუნოს საზღვრისპირა მუდმივი დაძაბულობის ზონები მათზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების მიზნით.

რუსული კოლონიზაცია როდი ნიშნავდა ანექსირებული ტერიტორიების სამეურნეო ათვისებას, ის პირველ რიგში ნიშნავდა დაპყრობილი მკვიდრი მოსახლეობის გარუსებას, მათ ასიმილაციასა და ეროვნული თვითშეგნების წაშლას მათ ცნობიერებაში. მკვიდრ მოსახლეობას უნდა დაევიწყებინა თავისი ენა, კულტურა, ტრადიცია, მშობლიურ ენაზე შეეწყვიტა ღვთიმსახურება, უნდა დამდგარიყო რუსეთის ჯარის სამსახურში და ა.შ.

განსაკუთრებული სისასტიკითა და უხეში ფორმებით ეპყრობოდა რუსეთი ქართველებსა და აფხაზებს. თუ შაჰაბასმა ქართველები მშობლიური მიწაწყლიდან აჰყარა და ირანში გადაასახლა, რუსეთმა კავკასიის ხალხები (მათ შორის აფხაზები) თურქეთისაკენ მიმავალ გზას გაუყენა, რომელთა ნაწილი გზაში დაიღუპა, ნაწილი - ადგილზე ჩასვლის შემდეგ და მწარედ მოტყუებულ მუჰაჯირებს შინ დაბრუნების საშუალებას არ აძლევდა. ამ ფაქტს დღეს არც რუსები იხსენებენ და არც აფხაზები და, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთ იმ რუსული პოლიტიკის სჯერათ, რომელსაც არც ერთი ხალხისთვის




(თვით რუსებისათვის) ბედნიერება არ მოუტანია. საქართველოს ცალკეული კუთხის მოსახლეობის რუსიფიკაციაში, ბუნებრივია ხელისშემშლელ ფაქტორად ქართული ინტელიგენცია გამოდიოდა. ამაზე მიუთითებდა არაერთი რუსი მოხელე თავის მოხსენებაში და ცენტრიდან შველას ითხოვდა. 1896 წ. 15 სექტემბრით დათარიღებულ მოხსენებაში ქ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე გენერალი სამოილოვი იტყობინებოდა "для полного слияния абхазцев с населением им-перии" ყველა კულტურულ და რელიგიურ დაწესებულებებში უნდა განხორციელდეს ქართველების რუსებით ჩანაცვლება. სულ ცოტა ხანში სპეციალური გადაწყვეტილებით კიდევაც აიკრძალა "препо-дование грузинского языка в школах Абхазии и самур-закани". "Русская колонизация округа (იგულისხმება აფხაზეთი-სამურზაყანო) имеет для него большое государственное зна-чение, - ირწმუნებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თ. გერშელმანი, რამეთუ "Абхазцы... представляют себя народность крайне малокультурную как в умственном, так и нравствен-ном отношении... и не раз уже проявившую свою политичес-кую неблагонадежност".

რუსული კოლონიზაცია მკვიდრი მოსახლეობის გარუსების შემდეგ მიზნად ისახავდა აფხაზეთის "нетолько в отношении духовного управлениеяб но и по поли-тическим соображениям, со-вершенно изолировать от кра-йне нежелательного грузинско-го влияния... ეს კეთდებოდა არა აფხაზებისადმი სიყვარულით, მათი აზრით ხომ აფხაზი - "дикарь, заг-наное и болезненное создание" - არამედ იმისათვის, რომ "... очень легко создать в непро-должительном времени чисто русскую провинцию." - პირდაპირ წერდა ვინმე ე. პრუდკოვი გაზეთ "კავკასიაში" 1870 წ. 17 ივლისის ნომერში. ისტორიულ მოვლენებს თუ წინ გავუსწრებთ, ვიტყვით, რომ აფხაზური სეპარატიზმი სწორედ რუსული კოლონიზაციის პოლიტიკით არის ნასაზრდოები და ის, რაც დღეს კეთდება აფხაზეთში, ამ პოლიტიკის უშუალო გაგრძელებაა და რუსეთის ნეოიმპერიალისტური გეგმების პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს.

უკანასკნელი 200 წლის მანძილზე თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ დევნიდა რუსეთი ყოველგვარ ქართულს აფხაზეთში, როგორ ეწეოდა "დიკარი" აფხაზების მოთვინიერებასა და ქართველებისადმი მათ დაპირისპირებას, სრულად და დამაჯერებლად არის გადმოცემული ბ-ნ ჯ. გამახარიას ახლახან გამოცემულ 1100 გვერდიან წიგნში "აფხაზეთი და მართლმადიდებლობა", რომლის გაცნობას პირველ რიგში ვურჩევდი თვით აფხაზ სეპარატისტებს, რომლებსაც, თუ ასე გაგრძელდა, უცილობელი გადაშენება უწერიათ.

რუსეთი ქართველ ერს და ყოველგვარ ქართულს არამარტო აფხაზეთში ებრძოდა. ის ამას აკეთებდა, როგორც საქართველოს შიდა, ასევე მის სხვა საზღვრისპირა რაიონებში. ამ მხრივ, საგულისხმოა 1829 წელს მთავარმართებელ პასკევიჩის ინიციატივით თურქეთიდან სომხების ჩასახლება სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე და აქედან მკვიდრი ქართველების "ნებაყოფლობითი" გასახლება თურქეთის სიღრმეში. მსგავს "მიგრაციულ" პროცესებს ის ხელს უწყობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რითაც სამომავლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის საზიანოდ დაძაბულობის კერებს ქმნიდა. ყველაზე უცნაური კი ის გახლდათ, რომ ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენაზე დაწყებით კლასებშიც კი ეკრძალებოდათ განათლების მიღება. ეს მაშინ, როცა სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვებისათვის საქართველოში აკრძალული არ იყო თავიანთ მშობლიურ ენაზე სწავლა. იაკობ გოგებაშვილს დიდი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ ქართველ ბავშვებს ბოლოს და ბოლოს პირველ სამ კლასში მაინც ესწავლათ ქართულ ენაზე. აი, სადამდე მიდიოდა რუსული კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში, რომლისთვისაც დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი რუსეთის ხელისუფალთ.

ვერავინ იტყვის, რომ ძმობას მტრობა ჯობია, მაგრამ ისიც საკითხავია, რა მოგვცა ასეთმა "ძმობამ" ან ჩვენ, ან რუსეთის სხვა მოსაზღვრე ქვეყნებს. ეს ჩანს იქიდანაც, რომ მან სათითაოდ ყველას ააგლიჯა საზღვრისპირა ტერიტორიები, ხალხები დაუპირისპირა ერთმანეთს, შეიარაღებითა და ცოცხალი ძალით ეხმარება ერთს მეორის წინააღმდეგ, ეკონომიკურ ბლოკადას უწყობს მათ, არღვევს ადრე შეთანხმებულ კონტრაქტებს, დეზინფორმაციას ეწევა მათ წინააღმდეგ და, რაც არანაკლებ საგანგაშოა, ვეტოს უფლებით ვაჭრობს გაერო-ს უშიშროების საბჭოში მეზობელ სახელმწიფოებში სტაბილიზაციისა და მდგომარეობის ნორმალიზაციის საზიანოდ.

ასეთი რუსეთი მართლაც საშიშია, განსაკუთრებით, როგორც მეზობელი და როგორც პარტნიორი. ამიტომაც სჯობს მისგან დისტანცირება, ვიდრე მასთან მოჩვენებითი სტრატეგიული პარტნიორობა და ახლო ყოფნა. მასთან ისე უნდა მოიქცე, როგორც ცუდ მეზობელთან იქცევიან ხოლმე - გამარჯობა, გაგიმარჯოს.

არა მარტო რუსეთის მეზობელმა ქვეყნებმა, რომლებისთვისაც იგი გარკვეულ საფრთხეს ქმნის, არამედ განურჩევლად ყველამ უნდა იფიქროს იმ შედეგებზე, რომელიც კი შეიძლება მოჰყვეს მის ნეოიმპერიალისტურ პოლიტიკას, იმ პრევენციულ დარტყმებს, რასაც ის ჰპირდება პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებს და არა მარტო მათ.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, უსაფრთხოების თვალსაზრისით დღევანდელ რუსეთზე მეტად ხვალინდელი რუსეთი ხომ არ იქნება უფრო საშიში და აგრესიული? სახვალიოდ რუსეთს ბევრი სიურპრიზი აქვს გათვლილი. სამწუხაროდ, ეს არ იქნება სასიამოვნო სიურპრიზები. საქმე ის არის, რომ რუსეთს სურს, მართლაც ორთავიანი არწივი გახდეს - თავის ენერგომაგისტრალებს დაუქვემდებაროს როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნები და ერთდროულად გააკონტროლოს დასავლეთიცა და აღმოსავლეთიც.

### აღდგომა და ხვალეო

ეჭვს არ იწვევს ის, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის დღეც დადგება. მაგრამ ეს არ იქნება ხავერდოვანი პროცესი. მოსკოვში კარგად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ერმაკოვისა და ერმოლოვის დრო წავიდა - პირდაპირი აგრესიით დღეს ახალ ტერიტორიებს ვერ დაიპყრობ და ვერც დაპყრობილს შეინარჩუნებ დიდხანს. საჭიროა, ციხე შიგნიდან გატყდეს - ამოქმედდეს სეპარატისტული და ანტიეროვნული ძალები, გაღრმავდეს ხალხთა შორის დაპირისპირება, რუსეთმა კი მედიატორობა იკისროს და ისიც თავისი ინტერესების შესაბამისად. ასეთი პოლიტტექნოლოგიით წაახალისა მოსკოვმა სეპარატიზმი სოხუმსა და ცხინვალში, დნეპრისპირეთსა და ყარაბაღში. იგი ცდილობს ამასვე მიაღწიოს უკრაინასა და შესაძლოა, ბელორუსში (ლუკაშენკოს რეჟიმის კრახის შემდეგ).

ნავთობდოლარებით გამოცოცხლებული რუსეთი უკან დამხევი არ არის. ის დიდი ხანია თითს უქნევს პატარა სახელმწიფოებს და არც მსოფლიო ლიდერის პრეტენზიის მქონე ქვეყნებს ებოდიშება თავისი იმპერიული ზრახვებისათვის. რუსეთი აშკარად და ღიად სპეკულირებს მსოფლიოს ენერგეტიკულ პრობლემაზე, მაგრამ ვერ ხედავს და ვერც აგვარებს თავის შიდა პრობლემებს. სწორედ ეს არის მისი ტრაგედია და მისი აგრესიულობა აქედან იღებს სათავეს.

რუსეთის გენერალიტეტს, საერთოდ ძალოვან სტრუქტურებს, ნეოფაშისტურად და ნეობოლშევიკურად განწყობილ ძალებს არსებითად ერთი მიზანი ამოძრავებთ - დსთ-ს ჩარჩოებში სსრ კავშირის რეამინაცია და რეგიონული ლიდერიდან მსოფლიო ლიდერის ხარისხში გადასვლა.

რუსეთი ამჩნევს იმასაც, რომ მსოფლიო პოლიტიკის ცენტრმა დასავლეთიდან ახლო აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აკვატორიაში გადაინაცვლა და რომ სამხრეთ კორეის დიპლომატის გაერო-ს თავმჯდომარედ არჩევა შემთხვევითობას როდი წარმოადგენს. გრძნობს იმასაც, რომ თუ მსოფლიოს ერთი პრობლემა (ენერგეტიკული) მის სასარგებლოდ მუშაობს, მეორე - დემოგრაფიული მას დიდ საფრთხეს უქმნის. მოკლედ რომ ვთქვათ, ის ხედავს ტალღებს, მაგრამ ვერ ხედავს ზღვას, რომელშიც მისი გემი იძირება. და ასეთ დროს მას ჰგონია, რომ ეთნოწმენდა (ვთქვათ ქართველების დეპორტაცია), აფხაზეთისა და ცხინვალის, ასევე დნეპრისპირეთის და სხვ. აღიარება-მიერთება იხსნის გარდაუვალი კრახისაგან. არა, ბატონებო, სწორედ ამით დააჩქარებს იგი თავისივე იმპერიის დაშლის პროცესს, რომელიც კარზეა მომდგარი.

იმპერიები აღმავლობისა და დაშლის პროცესებში არიან ყველაზე აგრესიულნი და საშიშნი. დღეს ორმაგად საშიშია რუსეთი, რამეთუ იგი ერთდროულად აღმავლობასაც განიცდის და დაშლის პროცესსაც. მიუხედავად ამისა, რუსეთი დაძაბულობის ახალ-ახალ კერებს ქმნის, რომელთა აფეთქებით იგი ეცდება კავკასიის შენარჩუნებას, დატოვების შემთხვევაში მის მიწასთან გასწორებას.

რა უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ბ-ნი პუტინი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იგივე მეთოდებით იხელმძღვანელოს, როგორც ეს მან ჩეჩნეთში გააკეთა - ჯერ მიწასთან გაასწორა და პრაქტიკულად მისი გენოფონდი ამოჟლიტა, შემდეგ "რეფერენდუმი" ჩაატარა... - ჩაატარეთ თქვენც რეფერენდუმი და ამით დამთავრდება საქმეო. გამოდის, რომ ჩვენც უნდა დავანგრიოთ აფხაზეთი და შიდა ქართლი! საქართველო ამ გზას ვერ დაადგება და არც ომით აპირებს კონფლიქტების ამოწურვას. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტებისა და, შესაბამისად, დაძაბულობის მოხსნა რუსეთზე გადის. სწორედ რუსეთი შემოვიდა ამ ზონებში ცეცხლითა და მახვილით და ვიდრე ის არ გავა აქედან, არამც თუ საქმიან შედეგებზე, სეპარატისტებთან კონსტრუქციულ საუბრებზეც კი ზედმეტია ლაპარაკი.

სოხუმსა და ცხინვალში ვერ აცნობიერებენ იმ ისტორიულ პროცესებს, რომლებიც კავკასიაში დაიწყო და რითაც ერთ მშვენიერ დღეს იგი თავისუფალი აღმოჩნდება. ამ რეალიებიდან გამომდინარე, აფხაზებისა და ოსების ხსნა ერთისა -გადაგვარებისაგან, მეორისა - ფიზიკური განადგურებისაგან, ისევ და ისევ საქართველოს ისტორიულ მისიად უნდა იქნეს მიჩნეული.

რუსეთის იმპერიის დაშლა კავკასიიდან იწყება.



ორჰან ფამუქი

# წერის თავისუფლება

*ვიდრე დეკემბერი დადგებოდეს და ორჰან ფამუქის სანობელე ლექციას გავეცნობოდეთ, დაინტერესებულ მკითხველს თურქი ნობელიანტის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლის ქართული თარგმანი გვინდა შევთავაზოთ. ორჰან ფამუქმა ეს სიტყვა 2006 წლის 25 აპრილს წარმოთქვა საერთაშორისო პენ-კლუბის სხდომაზე, არტურ მილერის ფონდის ინაუგურაციაზე.*



ჰეროლდ პიტნერი.



მილერი.

1985 წლის მარტში, არტურ მილერმა და ჰაროლდ პინტერმა ერთად იმოგზაურეს სტამბულში. მაშინ ისინი, ალბათ, ყველაზე ცნობილი ადამიანები იყვნენ მსოფლიო თეატრალურ ცხოვრებაში, თუმცა ჩვენს ქალაქში პიესის ან ლიტერატურული მოვლენის გამო კი არ ჩამოვიდნენ, არამედ იმ დრაკონული კანონების საპასუხოდ, რის მეშვეობითაც ხელისუფლება სიტყვის თავისუფლებას ახშობდა თურქეთში და რის გამოც მრავალი მწერალი ციხეში დაატყვევეს. 1980 წელს თურქეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ასიათასობით მოქალაქე გისოსებს მიღმა აღმოჩნდა; და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, სწორედ მწერლები მოყვნენ ყველაზე მძიმე რეპრესიებში. როცა არქივებში გაზეთებისა და ალმანახების შეკვრებს ვათვალიერებდი, - რათა იმ წლების მოვლენები აღმედგინა, - ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მის გამოსახატავად მხოლოდ შემდეგი სიმბოლური ხატი გამოდგებოდა: ნოლზე გადაპარსული მამაკაცები პირქუში უიმედობით ელიან პროცესის მსვლელობას. მათ შორის ბევრი მწერალი იყო. მილერი და პინტერი სტამბულში იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ ამ ადამიანებს და მათი ოჯახის წევრებს შეხვედროდნენ, დახმარებოდნენ მათ და მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიექციათ. მწერლების მოგზაურობა საერთაშორისო პენ-კლუბმა უზრუნველყო ადამიანის უფლებების ჰელსინკის კომიტეტთან ერთად. მილერსა და პიტნერს მე დავხვდი აეროპორტში, რადგანაც სწორედ მე და ჩემს მეგობარს გვერგო ეს საპატიო მისია, მათი გიდები ვყოფილიყავით.

ეს სამუშაო იმიტომ კი არ შემომთავაზეს, რომ მე პოლიტიკაში ვიყავი გარეული, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვიყავი რომანისტი, რომელსაც ცოტა ინგლისურიც გაეგებოდა; სიამოვნებით დავთანხმდი - არა იმიტომ, რომ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილ ჩემს კოლეგა-ლიტერატორებს დავხმარებოდი, არამედ იმის გამო, რომ არ შემეძლო ხელიდან გამეშვა შანსი, რათა რამდენიმე დღე ორი დიდი მწერლის გვერდით გამეტარებინა. ჩვენ ერთად მოვინახულეთ რამდენიმე ოპოზიციური გამომცემლობა, ვიყავით გაზეთების ხმაურიან და ვიწრო რედაქციებში, ჟურნალების ჭუჭყიან და ბნელ ოფისებში, ფინანსური კრახის ზღვარზე რომ იმყოფებოდნენ; სახლიდან სახლში გადავდიოდით, რესტორნიდან - რესტორანში, ერთი კაფედან მეორეში ვინაცვლებდით და ყველგან შევიწროებულ მწერლებსა და მათ ახლობლებს ვხვდებოდით. მანამდე მე ვერიდებოდი პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ იმ დღეს, როდესაც სულისშემძვრელი ისტორიები მოვისმინე რეპრესიების, სისასტიკისა და ბოროტების ზეიმის შესახებ, თავი დამნაშავედ ვიგრძენი და ამ დანაშაულმა მე პოლიტიკაში მომიყვანა; რა თქმა უნდა, თავისი როლი ითამაშა სოლიდარობამაც, მაგრამ ამავე დროს არანაკლებ ძლიერი საწინააღმდეგო მისწრაფებებიც გამიჩნდა - თავის დაცვისა და ყველანაირი საშიშროებისგან გარიდებისა. რადგან არაფერი მინდოდა, გარდა იმისა, რომ კარგი რომანები მეწერა. მახსოვს, როცა მილერი და პინტერი სტამბულის გადაჭედილ ქუჩებში ტაქსით მიგვყავდა, ისინი სულ ქუჩის მოვაჭრეებზე, ცხენოსან ეკიპაჟებზე, კინოაფიშებსა და ჩადრიან ქალებზე გვესაუბრებოდნენ (ეს თემა ყოველთვის ძლიერად ზემოქმედებს დასავლელების წარმოსახვაზე). მე რაც შემეხება, განსაკუთრებით ცხადად ერთი სახე დამამახსოვრდა: მე და ჩემი მეგობარი გაცხარებით რაღაცაზე ვლაპარაკობთ სტამბულის ჰილტონის ძალზე გრძელი დერეფნის ბოლოს, მაშინ, როცა დერეფნის საპირისპირო, შედარებით ჩაბნელებულ მხარეს ასეთივე პირქუში სახეებით ჩურჩულებდნენ მილერი და პინტერი. ეს სანახაობა თავიდან არ ამომდის, რადგანაც იგი ნათელი ილუსტრაცია იყო იმ უზარმაზარი მანძილისა, რომელიც ჩვენსა და მათ ისტორიას შორის იყო გაჭიმული, მაგრამ ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ყველაფრის მიუხედავად, მწერალთა სოლიდარობა შესაძლებელია.

სიამაყისა და სირცხვილის ასეთი ნაზავი იყო ჩვენი ყოველი შეხვედრა - ახლაც თვალწინ მიდგას ოთახების ანფილადები და აღელვებულ მამაკაცთა ჯგუფები, განუწყვეტლივ სიგარეტს რომ ეწეოდნენ. მე ეჭვიც არ მეპარებოდა ჩვენს განცდებში: ზოგჯერ ამას ღიად გამოვხატავდით, ზოგჯერ კი ეს განცდები მოსაუბრეთა ჟესტებსა და ქცევის მანერაში იგრძნობოდა. თითქმის ყველა მწერალი, მოაზროვნე და ჟურნალისტი, ვისაც ჩვენ მაშინ ვხვდებოდით, მემარცხენე იყო, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მათ წუხილს ბევრი ჰქონდა საერთო დასავლური ლიბერალური დემოკრატიის წარმომადგენელთა პრობლემებთან, რომლებიც თავისუფლებას აღმერთებდნენ. ახლა, ოცი წლის შემდეგ, როცა ვხედავ, რომ ამ ხალხის ნახევარი თავს ნაციონალისტურ ბანაკს მიათვლის, რომლებიც პროდასავლურ და დემოკრატიულ ღირებულებებს ეწინააღმდეგებიან, მე ღრმა სევდა მიპყრობს.

ჩემმა გიდობის დროინდელმა და შემდგომი წლების გამოცდილებამ ის მასწავლა, რაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუმცა ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: მნიშვნელობა არა აქვს რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ, აზრისა და სიტყვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულებებია; ეს ის უფლებებია, რომელშიც ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. ეს თავისუფლება, რომლითაც თანამედროვე ადამიანები სარგებლობენ, არასდროს უნდა შეიზღუდოს ნაციონალისტური მოსაზრებებით, მორალითა და - რაც ყველაზე უარესია - კომერციული ან სამხედრო ინტერესებით. თუკი მრავალი ქვეყანა, რომელიც დასავლეთს არ მიეკუთვნება, გაჭირვებასა და სირცხვილს განიცდის, ეს ზედმეტი სიტყვის თავისუფლების კი არა, მისი არარსებობის გამო ხდება. ხოლო რაც შეეხება მათ, ვინც ღარიბი ქვეყნებიდან დასავლეთის ან ჩრდილოეთის ქვეყნებში მიდიან ემიგრაციაში (რათა ეკონომიკურ სიძნელეებსა და მძიმე რეპრესიებს გაარიდონ თავი), ისინიც, როგორც ცნობილია, თავად აწყდებიან რასიზმის პრობლემას, რომელიც მდიდარ ქვეყნებში ნამდვილად არსებობს მათ მიმართ. რა თქმა უნდა, ჩვენ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ მათ მიმართ, ვინც ვერ იტანს ემიგრანტებსა და ეროვნულ უმცირე-



ორჰან ფამუქი.

სობებს, მათი რელიგიური მრწამსის ან ეთნიკური წარმოშობის გამო; არ უნდა დაგვავიწყდეს რეპრესიები, რომლებსაც ხალხი იმ ქვეყნის მთავრობებისაგან განიცდიან, საიდანაც მოედინება სწორედ ეს იმიგარციული ნაკადი.

მაგრამ არც ადამიანთა უფლებებისა და უმცირესობათა რელიგიური მრწამსის პატივისცემის გამო უნდა შევზღუდოთ სიტყვის თავისუფლება. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ქომაგობა არასდროს არ უნდა ემსახურებოდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. ჩვენ, მწერლებს, არ გვეკადრება მერყეობა ამ საკითხში - მიუხედავად იმისა, თუ რამდენად "პროვოკატიულია" მიზეზი შესაძლო ყოყმანისთვის. ზოგიერთ ჩვენგანს უკეთ ესმის დასავლეთის, ზოგი მეტად თანაუგრძნობს მათ, ვინც აღმოსავლეთში ცხოვრობს, არიან ისეთებიც - ანუ ჩემნაირები - ვისაც ორივე მხარისთვისა აქვს გული ღია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაყოფა პირობითია და ხელოვნური; თუმცა ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებები და უცხო ადამიანების გაგების სწრაფვა არასდროს არ უნდა აღუდგეს წინ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისადმი პატივისცემას.

ყოველთვის მიჭირს ხოლმე, როცა ჩემი პოლიტიკური კრედოს ჩამოყალიბებას ვცდილობ ნათელი, დამაჯერებელი და "საბოლოო" ფორმით: ასეთ შემთხვევებში თავი თვითმარქვია კუდაბზიკა მგონია, რომელიც იმას არ ამბობს, რაც უნდა თქვას. ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ წინასწარ ვიცი, ცხოვრების შესახებ ჩემი აზრები ერთ ხმაზე, ერთ თავლსაზრისზე არ დაიყვანება. ბოლოს და ბოლოს, მე რომანისტი ვარ, ანუ ადამიანი, ვისთვისაც თავის ყველა პერსონაჟთან (განსაკუთრებით კი "უარყოფით" გმირებთან) იდენტიფიცირების უნარი, პროფესიის ნაწილია. გარდა ამისა, ცხოვრებამ იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანს, ვინც ტირანიისა და ჩაგვრის მსხვერპლი იყო, შეუძლია უმცირესი დროის მანძილზე გახდეს ერთ-ერთი მჩაგვრელი, შემაგნებინა თუ რამდენად რთულია მყარი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული აზრებით ცხოვრება, აზრებით, რომლებიც საგანთა არსსა და ადამიანთა ბუნებას ეხება. მგონია, რომ ბევრი ჩვენთაგანის აზრები წინააღმდეგობრიობით გამოირჩევა: ჩვენ შეგვიძლია კეთილგანწყობილებიც ვიყოთ, მაგრამ ამავე დროს არამხოლოდ განსხვავებული, არამედ ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულებაც გვქონდეს ამათუიმ მოვლენისადმი. რომანების წერისგან მიღებული სიამოვნება ამ სპეციფიურად თანამედროვე სულიერი წყობის "ექსპლუატაციაზეა" დამოკიდებული, რის მიხედვითაც ადამიანები ყოველთვის ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს. სიტყვის თავისუფლება სწორედ იმიტომ ხდება აუცილებელი, რომ თანამედროვე აზროვნება ძალზე მერყევია: იგი იმისთვის გვჭირდება, რომ ჩავწვდეთ საკუთარ თავს, გავაცნობიეროთ ჩვენი არსების ჩრდილოვანი მხარე, დასკვნები გამოვიტანოთ წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენი ფიქრებიდან და რაც მთავარია, დავძლიოთ ჩვენი სიამაყე და სირცხვილი, რაზეც ზემოთაც მოგახსენეთ.

ამიტომ ნება მიბოძეთ კიდევ ერთი ისტორია მოგიყვეთ, რომელმაც შესაძლოა შუქი მოჰფინოს სირცხვილსა და სიამაყეს, იმ გრძნობებს, რომელსაც მე ოცი წლის წინ განვიცდიდი, როცა არტურ მილერსა და ჰაროლდ პინტერს დავყვებოდი სტამბულის ქუჩებში. იმ ათწლეულში, მათი ვიზიტის შემდეგ რომ გავიდა, ბევრი რამ მოხდა, ჩემს ოცნებებს, რისხვას, გაღიზიანებასა და დანაშაულის გრძნობას სხვა ბევრი რამ დაერთო და რამდენიმე საკმაოდ ხმამაღალი საჯარო განცხადება გავაკეთე სიტყვის თავისუფლების შესახებ, რომელთაც არაფერი ჰქონდა საერთო ჩემს რომანებთან; ერთი სიტყვით, მე "პოლიტიკურ პერსონად" ვიქეცი, გაცილებით გავლენიან ფიგურად, ვიდრე სურვილი მქონდა. სწორედ ამ დროს, ერთი ხნიერი ინდოელი ჯენტლმენი, რომელიც გაეროსთვის ანგარიშს წერდა სიტყვის თავისუფლების შესახებ, სტამბულში ჩამოვიდა და შეხვედრაზე შემითანხმდა. ისე მოხდა, რომ ჩვენი შეხვედრა იმავე ჰილტონის სასტუმროში შედგა. მაგიდასთან დაჯდომაც ვერ მოვასწარით, რომ ინდოელმა ჯენტლმენმა შეკითხვა დასვა, რომელიც დღემდე უსასრულო ექოდ გაისმის ჩემს გონებაში: "მისტერ ფამუქ, თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან რომელია ისეთი, ძალიან რომ გინდათ გამოიყენოთ რომანებში, მაგრამ ვერ ბედავთ იურიდიული აკრძალვების გამო?"

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. შეკითხვით გაოგნებული ღრმად ჩავფიქრდი, მტანჯველი თვითანალიზის უსკრულში ჩავიძირე დოსტოევსკის პერსონაჟივით. ცხადია ამ ჯენტლმენს სხვაგვარად უნდოდა კითხვის დასმა: "თუკი თქვენს ქვეყანაში გამოფებულ ტაბუს, იურიდიულ აკრძალვებს და შესაძლო პოლიციურ რეპრესიებს გავითვალისწინებთ, რა დარჩა გამოუთქმელი თქვენს წიგნებში?" მაგრამ რადგანაც მან, - შესაძლოა ზრდილობის გამო - ახალგაზრდა მწერალს შეკითხვა დამისვა ჩემი რომანების მხატვრული თავისებურებების შესახებ, მისი სიტყვები აბსოლუტურად ბუკვალურად გავიგე. ათი წლის წინ, როცა ქვეყანაში ცენზურა მეფობდა და პოლიცია თავის ნებაზე მოქმედებდა, თურქეთში გაცილებით მეტი აკრძალული თემა იყო, ვიდრე დღეს; თუმცა, როცა გადავხედე, ვერ აღმოვაჩინე ვერც ერთი, რომელსაც "ჩემს რომანებში გამოვიყენებდი". ამასთანავე, ჩემთვის ნათელი იყო, რომ თუკი მას ვუპასუხებდი: "ჩემი რომანისთვის არც ერთ აკრძალულ თემას არ გამოვიყენებდი", აუცილებლად არასწორად გამიგებდნენ: მე ხომ ღიად და ამავე დროს საკმაოდ ხშირადაც გამოვთქვამდი ჩემს აზრს ამ სახიფათო თემებზე, ოღონდ ჩემი შემოქმედებისგან დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, მე ხომ არაერთხელ (განრისხებულს ან გაღიზიანებულს) მიოცნებია, რომ ეს თემები ჩემს რომანებში გამომეყენებინა - სწორედ იმიტომ, რომ ისინი აკრძალული იყო. გარდა ამისა, ბევრს ვფიქრობდი ამაზე და ჩემი დუმილის გამო უცბად შემრცხვა კიდეც. და ამ მომენტში საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სიტყვის თავისუფლება სირცხვილის გრძნობაზეა დაფუძნებული და თავისი შინაგანი არსით ადამიანური ღირსების გამოვლინებაა.

მე პირადად ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც მიზანმიმართულად ეხებოდნენ აკრძალულ თემებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აკრძალული იყო. ვფიქრობ ბევრით არ განვსხვავდები მათგან, რადგან, როცა რომელიმე მწერალი პატიმრობაშია, პატიმრობაშია ყველა სხვა მწერალიც, მნიშვნელობა არა აქვს რომელ ქვეყანაში ცხოვრობს იგი. სწორედ ამის შეგნება ასაზრდოებს სოლიდარობის სულს, რომელიც მთელი მსოფლიოს მწერლებს აერთიანებს საერთაშორისო პენ-კლუბის გარშემო.

არაერთხელ გამიგია მეგობრებისგან და კეთილისმსურველებისგან ერთი შეხედვით სამართლიანი საყვედური: "ასე არ უნდა დაგეწერა; ცოტა სხვაგვარად რომ ჩამოგეყალიბებინა აზრი, ისე, რომ გული არავის მოსვლოდა, ახლა ამდენი პრობლემა არ გექნებოდა". მაგრამ მე რომ ყველასთვის მისაღებ აზრებს გამოვთქვამდე, ისე, რომ არავის, არც ერთ ქვეყანაში არ მოუვიდეს გული (მათ შორის რეპრესირებულების სამშობლოში), მოხერხებულ კონტრაბანდისტს დავემსგავსებოდი, რომელიც საბაჟოზე აკრძალულ საქონელს აპარებს; ვისაც როგორ უნდა ისე იფიქროს, მაგრამ ეს ძალზე დამამცირებელი და სამარცხვინო ტვირთია.

ამ პენ-ფესტივალის თემა "რწმენა და კეთილგონიერებაა". ყველა ეს ისტორია იმისთვის მოვყევი, რათა ერთი მარტივი ჭეშმარიტებისთვის გამესვა ხაზი: სიტყვის თავისუფლებით მოგვრილი სიხარული პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანურ ღირსებასთან. ამიტომაც მოდით ვკითხოთ საკუთარ თავს: რამდენად "კეთილგონივრულია" სხვა კულტურებისა და რელიგიების დამცირება ანდა სასტიკი დაბომბვები დემოკრატიისა და აზრის თავისუფლების სახელით? სამყაროს იმ ნაწილში, რომელშიც მე ვცხოვრობ, მთელი ამ მკვლელობების შემდეგ დემოკრატიას არაფერი შემატებია. ხოლო რაც შეეხება ერაყის ომს, ასი ათასი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ვერასდროს მოიტანს მშვიდობასა და დემოკრატიას, პირიქით, ეს ომი ეროვნული ზიზღისა და ანტიდასავლური განწყობილების წყაროდ იქცა. იმ "ინტელექტუალური უმცირესობის" მდგომარეობა, რომლებიც დემოკრატიისთვისა და სეკულარიზაციისთვის იბრძოდნენ ახლო აღმოსავლეთში, კატასტროფულად გაუარესდა. ეს ბარბაროსული, სასტიკი ომი ამერიკისა და მთელი დასავლეთის სირცხვილია. სამაგიეროდ საერთაშორისო პენ-კლუბისნაირი ორგანიზაციებისა და ჰაროლდ პინტერისა და არტურ მილერისნაირი მწერლების გამო დასავლეთს ნამდვილად შეუძლია იამაყოს.

*ინგლისურიდან თარგმნა მალხაზ ხარბედია*

*The New York Review of Books, Volume 53, Number 9, M*

# რობერტ კაპა: ომის და მშვიდობის ზღვარზე

ნესტან ნიჟარაძე



*ესპანეთის სამოქალაქო ომი. ჯარისკაცის სიკვდილი ფრონტის წინა ხაზზე. 1937 წლის 12 ივლისი.*

1938 წელს ბრიტანულმა ჟურნალმა “Picture Post” დეკემბრის ნომრის თერთმეტი გვერდი დაუთმო რობერტ კაპას 26 ფოტოს ესპანეთის ფრონტიდან. ფოტოები ერთი პატარა კომენტარით გამოქვეყნდა: “მსოფლიოს უდიდესი ომის ფოტოგრაფი-რობერტ კაპა”. კაპა მაშინ 25 წლის იყო და ესპანეთისა და ჩინეთის ომებში უკვე ორი წელი ჰქონდა გატარებული. ესპანეთს და ჩინეთს, მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა. შემდეგ კი, არაბ-ისრაელთა პირველი ომი და ფრანგების ომი ინდოჩინეთში.

კაპა იყო ყველგან და ყოველთვის. ვიდრე 1954 წელს ჟურნალ Life-ის მიერ რეპორტაჟზე წარგზავნილი, დიენ ბიენ ფუში (ინდოჩინეთი), ნაღმზე არ აფეთქდა. უკანასკნელი ფოტო კაპამ სიკვდილამდე 5 წუთით ადრე გადიღო. მისი ფოტოები, ერთის მხრივ, მეოცე საუკუნის ოცდაორწლიანი პერიოდის (1932-1954) შემზარავ მოვლენათა დოკუმენტად იქცა, მეორე მხრივ კი, საფუძველი დაუდო თანამედროვე ფოტოჟურნალისტიკის განვითარებას; რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დღემდე რჩება ომის ფოტოგრაფია.

## ანდრე ფრიდმანიდან რობერტ კაპამდე

რობერტ კაპას ნამდვილი სახელი ანდრე ფრიდმანია. იგი 1913 წლის 22 ოქტომბერს ბუდაპეშტში, უნგრელი ებრაელების ოჯახში დაიბადა. 1931 წელს ჟურნალისტიკის შესასწავლად ბუდაპეშტიდან ბერლინში მიემგზავრება. ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ანუ ევროპაში აღმავალი ანტისემიტიზმის პერიოდში, მეუღლის, ასევე ფოტოგრაფის, გერდა ტაროს რჩევით იწყებს, ფოტოებს გამოქვეყნებას ფსევდონიმით “ანდრე"; ვიდრე 1936 წელს საბოლოოდ არ შეიცვლის სახელს და “კაპას" არ დაირქმევს, რაც უნგრულად “ზვიგენს" ნიშნავს. ბერლინის შემდეგ კაპა საცხოვრებლად პარიზში გადადის და რამდენიმე წელიწადს გერდა ტაროსთან ერთად ატარებს. ამავე პერიოდში, ანუ 30-იანი წლების დასაწყისში, კაპა ცნობილ უნგრელ ფოტოგრაფს ანდრე კერტეშს ხვდება. ეს შეხვედრა მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და საბოლოოდ აკავშირებს ფოტოგრაფიასთან.

რობერტ კაპას პირველი სერიოზული ფოტორეპორტაჟი 1932 წლით თარიღდება - იგი კოპენჰაგენში ტროცკისტების მიტინგს იღებს. ტროცკისტებთან კავშირს კაპას მომავალშიც არაერთხელ გაუხსენებენ. სწორედ ეს სავარაუდო კავშირი გახდება საბჭოთა კავშირის ვიზის მოთხოვნაზე სამჯერ მიღებული უარის საბაბიც.

1936 წელს ესპანეთის ომის დასაწყისთან ერთად კაპა დაუყოვნებლივ ხდება “რესპუბლიკელთა” გულშემატკივარი. ერთი წლის განმავლობაში იგი თავის მეუღლესთან, გერდა ტაროსთან ერთად მუშაობს ომის თემაზე. მოგვიანებით, 1938 წელს იგი წიგნსაც კი გამოსცემს სახელწოდებით Death in the Making, რომლის გამოქვეყნებას გერდა ტარო ვერ მოესწრო: იგი 1937 წელს ფრონტის ხაზზე დაიღუპა.

ესპანეთის ომი, რომლის შესახებ ვიზუალურ ინფორმაციას მსოფლიო პრესაში სწორედ კაპას ფოტოების მეშვეობით ვრცელდებოდა, ფოტოჟურნალისტიკის განვითარებას მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს. პირველად ისტორიაში ფოტო მხოლოდ როგორც ამ თუ იმ მოვლენის მშრალ გამოსახულებად ან დოკუმენტად აღარ მოიაზრება. ფოტოგრაფია თავის მხრივ იწყებს ისტორიული მოვლენების შესაძლო განვითარებაში და ამ მოვლენებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებას. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობამ განსაზღვრა თავად კაპას ფოტოების სპეციფიკაც და შემდგომში, ომის ფოტოჟურნალისტიკის განვითარების ძირითადი ტენდეციებიც. მისი ბიოგრაფი, ნიუ-იორკის ფოტოგრაფიის საერთაშორისო ცენტრის ექსპერტი რიჩარდ ველანი ასეთ რეზუმეს აკეთებს: “კაპას ადამიანური თვისებები, მისი სიმამაცე, ომის მსხვერპლთა მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულება და ფოტოგრაფიული გამოსახულების გრაფიკული და ემოციური ძალა დღემდე რჩება მისაბაძ მაგალითადად ფოტოჟურნალისტიკაში".

## “ეს ომია!”

მსოფლიოში მიმდინარე ომები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ანუ ფოტოგრაფიის გამოგონების შემდეგ ხდება ფოტოგრაფიული რეპორტაჟების სიუჟეტი. მეოცე საუკუნის დასაწყისში პრესის განვითარების პარალელურად, ვიზუალური ინფორმაციის, ანუ ფოტოგრაფიის როლი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენათა გაშუქებაში მნიშვნელოვნად იზრდება. ეს პროცესი განვითარების პიკს პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აღწევს. ფოტოგრაფია ამ მომენტისთვის პრესაში გაცხადებული პოლიტიკური იდეების პროპაგანდირების განუყოფელი ნაწილი ხდება.

20-იანი წლებიდან მოყოლებული ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში, ისევე როგორც, აშშ-ში მნიშვნელოვნად იზრდება პერიოდული გამოცემების რაოდენობა. ამ პროცესის მეორე პიკი 30-იანი წლების ბოლოს, ესპანეთის ომის პერიოდს ემთხვევა, რომლის ერთერთ ყველაზე ქარიზმატული გმირი სწორედ რობერტ კაპაა. ომი, თავისი დესტრუქციული და შემზარავი ეფექტის გამო და “წყალობით" “ფოტოგენიური” სიუჟეტი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოგრაფიის გამოგონებიდან ესპანეთის ომამდე, მსოფლიოში მრავალი კონფლიქტი აფეთქდა, მხოლოდ ესპანეთის ომის პერიოდის ორმა მნიშვნელოვანმა ტექნიკურმა სიახლემ - “ლეიკის” და “ერმანოქსის” ტიპის პატარა ფოტოაპარატებმა და მგრძნობიარე ემულსიამ მისცა ფოტოგრაფებს იმის შესაძლებლობა, რომ მოვლენები ფოტოზე მათი განვითარების შესაბამისად აღებეჭდათ. “სამფეხა შტატივზე დამაგრებული ხის ფოტოაპარატებისგან გათავისუფლებულმა და პატარა შეუმჩნეველი აპარატებით შეიარაღებულმა ფოტორეპორტიორებმა, ჯარისკაცებთან ერთად შესძლეს სანგრებიდან საომარი მოქმედებების თვალის დევნება და გადაღებაც”, - ამბობდა რობერტ კაპა.

რობერტ კაპა ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფთაგანია, რომელმაც მაქსიმალურად შეამცირა მანძილი თავის ობიექტივსა და გადასაღებ ობიექტს შორის. “თუ თქვენი ფოტოები არ არის კარგი, ეს ნიშნავს, რომ თქვენ არ ხართ საკმარისად ახლოს”, კაპას ეს განცხადება ფოტოგრაფიული და უბრალოდ ჰუმანური პრინციპების მიქსია: ფოტოგრაფი საკუთარი სიცოცხლეს რისკის ფასად, გარკვეულწილად, სოლიდარობას უცხადებს მათ, ვინც მისი ობიექტივის წინ - ფრონტის პირველ ხაზზე იმყოფება. იგი თავად ხდება იმ მოვლენების უშუალო მონაწილე, რომელსაც ფირზე აღბეჭდავს. ფოტოგრაფია ვიზუალური დოკუმენტიდან, თანაგრძნობის აღმძვრელი გამოსახულების შექმნისკენ არის მიმართული.

რისკიანი თავგადასავლისა და ჰუმანურობის ეს ბუნებრივი ალიანსი, ისევე როგორც, ერთის მხრივ, დოკუმენტურობა და მეორე მხრივ კი, გამოსახულების ემოციური მუხტი, რომელიც კაპას ფოტოების უმთავრესი მახასიათებელია, მძაფრ რეაქციას იწვევს იმდროინდელ მკითხველში.

“კაპამ იცოდა, რომ ომის გადაღება შეუძლებელია, რადგან იგი შეიცავს უსაზღვრო ემოციას. კაპა იღებდა ამ ემოციას შორიახლოდან. მას ჰქონდა უნარი ერთი ბავშვის სახეზე ეჩვენებინა მთელი ხალხის უბედურება”- წერდა ამერიკელი მწერალი ჯონ სტეინბეკი.

30-იან წლებში ინტერესი კაპას და მისი თაობის სხვა ფოტოგრაფთა ფოტოებით ილუსტრირებული პერიოდული გამოცემებისადმი მნიშვნელოვნად იზრდება. კაპას ფოტოები ევროპის და აშშ-ს წამყვან ჟურნალებში იბეჭდება. მათ შორის

არის: Vu, Regars, Paris Match საფრანგეთში, Life აშშ-ში, Picture Post ინგლისში და მრავალ სხვა.

ამ პერიოდის პრესაში ტექსტის როლი მეორეხარისხოვანი ხდება. კაპა წერდა: "ორიოდე ფოტოსურათით მე უფრო მეტს გამოვხატავ, ვიდრე ჟურნალისტი, რომელიც ათასამდე სიტყვას წერს."

იცვლება მკითხველის დამოკიდებულება ფოტოგრაფის პერსონისადმი, რომელიც მანამდე არასდროს ინტერესდებოდა მისი ვინაობით. კაპას მაგალითზე ფოტოგრაფები (პირველ რიგში კი, თავად კაპა) ომის უშუალო გმირებად იქცნენ. ომის კატაკლიზმები კი, მათი ფოტოების მეშვეობით, დაუყოვნებლივ აღწევენ შედარებით კონფორტში მყოფი ადამიანების ოჯახებში.

ფოტოგრაფიის ძირითად ფუნქციად ომის შესახებ მართალი და ემოციურად დატვირთული ინფორმაციის მიწოდება გახდა. შედეგმაც არ დააყოვნა: მსოფლიო საზოგადოებამ თითქოს პირველად გაუსწორა თვალი ომის სისატიკეს. 1938 წელს ჟურნალი "პიქჩერ პოსტი" კაპას ფოტოების შესახებ წერა, რომ ფოტოებზე აფეთქების მტვრის სუნიც კი იგრძნობოდა. თავად კაპამ კი რეპორტაჟს ესპანეთის ფრონტიდან უბრალოდ და შემზარავად უწოდა: "ეს ომია!".

## "მაგნუმი"

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, კაპა ალფრედ ჰიჩკოკის ფილმის გადასაღებ მოედანზე ინგრიდ ბერგმანს ხვდება. გერდა ტაროს შემდეგ, რომელიც 1937 წელს ფრონტის ხაზზე დაიღუპა, ბერგმანი კაპას მეორე დიდი სიყვარული ხდება. იგი მასთან ერთად რეჟისორისა და პროდიუსერის კარიერის დაწყების სურვილით ჰოლივუდში მიემგზავრება. თუმცა, მალე ხვდება, რომ ფოტოგრაფიაზე მეტად მას უკვე აღარაფერი გაიატაცებს. ინგრიდ ბერგმანთან ურთიერთობაც ოჯახური ბედნიერების ნაცვლად, კაპას ინიციატივით, განშორებით სრულდება - კაპა დარწმუნებულია, რომ ოჯახური კერის მყუდროება და ომის ფოტოგრაფობა შეუთავსებელია.

ომისშემდგომ პერიოდში, ვისკის თაყვანისმცემელი და პოკერის უბადლო მოთამაშე, ლაღი და ლამაზი ცხოვრების მოყვარული და ომებით გადაღლილი პაცეფისტი რობერტ კაპა დროს მოგზაურობაში ატარებს. იგი თავისი სახელოვანი მეგობრების - პაბლო პიკასოს, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ ჰიუსტონის და სხვათა სასურველი სტუმარია. კაპა რეგულარულად სტუმრობს მათ დოვილში, ბიარიცში თუ სენ-მორიცში.

ამავე, ომისშემდგომ პერიოდს უკავშირდება კაპას ინიციატივით ფოტოსააგენტო "მაგნუმის" დაარსება. 1947 წლის აპრილში MOMA- ს (ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი) რესტორანში მეგობრების - რობერტ კაპას, ანრი კარტიე-ბრესონის, "შიმ" სეიმურის, ჯორჯ როჯერის და უილიამ ვანდივერტის შეკრება ფოტოგრაფთა კოოპერატივის შექმნით სრულდება. სადილის განმავლობაში შესმული შამპანურის, "მაგნუმის" საპატივცემულოდ ფოტოგრაფებმა სააგენტოსაც "მაგნუმი" უწოდეს. სიცოცხლის ბოლომდე, სააგენტოს საქმიანობის წარმართვა, ახალგაზრდა ფოტოგრაფების მოზიდვა და მათთვის ოპტიმალური სამუშაო პირობების შექმნა კაპას ძირითად საზრუნავად იქცა. სააგენტო "მაგნუმი" დღესაც ინარჩუნებს მსოფლიოს წამყვან ფოტოჟურნალისტთა ერთ-ერთი ყველაზე ელიტარული და პრესტიჟული გაერთიანების რეპუტაციას; ისევე როგორც მისმა ერთ-ერთმა დამაარსებელმა რობერტ კაპამ შეინარჩუნა მსოფლიოს საუკეთესო ფოტორეპორტიორის და თანამედროვე ფოტოჟურნალისტიკის დამაარსებლის სახელი. თუმცა, თავად ხშირად იმეორებდა, რომ ფოტოგრაფი სრულიად შემთხვევით გახდა.



ნეაპოლელი დედები. 1943 წ.

## მოგზაურობა საქართველოში

მაგნუმის დაარსებიდან რამდენიმე თვის შემდეგ რობერტ კაპა ამერიკელ მწერალ ჯონ სტაინბეკთან ერთად საბჭოთა კავშირში მოგზაურობს. "ჩვენ გადავწყვიტეთ - წერდა კაპა - ფათერაკების მაძიებელ ძველმოდურ დონ კიხოტად და სანჩო პანსად გადაქცევა; რათა "რკინის ფარდის" მიღმა ჩვენი კალმებით, შუბებით და ობიექტივებით შევბრძოლებოდით იმდროინდელ ქარის წისქვილებს".

მოსკოვის, უკრაინის და სტალინგრადის შემდეგ სტეინბეკთან ერთად კაპა საქართველოში მიემგზავრება. "საქართველო ზღაპრული ქვეყანაა და იმ წუთიდანვე, როდესაც ჩვენ დავტოვეთ იქაურობა, იგი სიზმარს დაემსგავსა..." წერდა ჯონ სტაინბეკი. "ჩვენ მშვენივრად მივხვდით თუ რატომ ჩაგვჩიჩინებდნენ რუსები: "ვიდრე საქართველო არ გინახავთ, ჩათვალეთ, რომ ჯერ არაფერი გინახავთ".

თბილისზე და ქართველებზე შეყვარებულები, სადღეგრძელოებით და ქართული ცეკვით მოხიბლულები, კაპა და სტეინბეკი საქართველოს "აურაცხელი შთაბეჭდილებებითა და უზომო ჭამასმით" დაქანცულები ტოვებენ. წიგნი, რომელმაც სტაინბეკის ტექსტი და კაპას ფოტოები გააერთიანა 1948 წელს გამოიცა სახელწოდებით "რუსული დღიური". წიგნში საქართველოს ორი თავი დაეთმო. გამოქვეყნებისთანავე "რუსული დღიური" ამერიკაში პროსაბჭოურ, სსრკ-ში კი ანტისაბჭოურ ნაწარმოებად მოანთლეს. სწორედ ამიტომ, წიგნის რუსული თარგმანი 40 წლის დაგვიანებით, მხოლოდ "პერესტროიკის" პერიოდში გამოიცა.



მეორე მსოფლიო ომი. ომაჰას სანაპირო. 1944 წლის 6 ივნისი.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

# ვაშლი და აბაზანა

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

ორივე მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენებს ეხება და ყველასათვის ცნობილია: პირველი არქიმედეს აბანოს ეხება, მეორე — ნიუტონის ვაშლს.

არქიმედე ჩვენ წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ცხოვრობდა სიცილიის ქალაქ სირაკუზაში (დღეს იტალიის იურისდიქციაში შემავალი ეს კუნძული იმ შორეულ დროს ანტიკური საბერძნეთის კულტურულ სამყაროს ეკუთვნოდა). მეცნიერს იქაურმა მეფემ, ჰიერონმა, ამოცანა დაუსახა: არქიმედეს უნდა გაერკვია სამეფო ოქროს გვირგვინში ვერცხლის შესაძლო წილი. თანაც გვირგვინის გადადნობა ან სხვანაირად დაზიანება დაუშვებელი იყო. აღარ დავიწყებთ იმის მოყოლას, როგორ გამოვარდა არქიმედე აბანოდან "ევრიკას" ძახილით...

რაც შეეხება ვაშლს, რომლის ჩამოვარდნამ სერ ისააკ ნიუტონს თითქოს მსოფლიო მიზიდულობის კანონის იდეა უკარნახა, ეს ცნობა პირველად მეცნიერის მეგობრის, ვინმე სტაკლის მოგონებებში ჩნდება. უნდა ითქვას, რომ ნიუტონის ცხოვრება ბურუსითაა მოცული, რადგან დიდი ფიზიკოსი ერთობ გულჩათხრობილი ადამიანი იყო, ახლოს არავის იკარებდა და იშვიათად ავლენდა პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალებს. სტაკლი ირწმუნება, რომ ნიუტონმა თვითონ უამბო, თითქოს მსოფლიო მიზიდულობის კანონი მაშინ მოუვიდა აზრად, როცა ხიდან ვაშლის ჩამოვარდნა იხილა. როგორც არ უნდა იყოს, სანამ იმ ვაშლის ხეს მეხი არ დაეცა, ის კემბრიჯის მახლობლად მდებარე ნიუტონთა საგვარეულო მამულის, ვულსტორპის ლამის მთავარი ღირშესანიშნაობა იყო.

მაგრამ იდუმალებით აღსავსე ნიუტონს მარტო სტაკლი როდი მეგობრობდა. მაგალითად, პემბერტონი, რომელიც ასევე დაიკვეხნიდა მასთან მეგობრობას, ამტკიცებს, რომ ვაშლის ამბავი უნიჭო გამოგონებაა. იმავე აზრს იზიარებს ვოლტერიც, თუმცა ლეგენდის შესახებ მან თვით ნიუტონის ძმისწულისაგან გაიგო. ცოტა მოგვიანებით, დიდი გერმანელი მათემატიკოსი, კარლ გაუსი წერდა: "ნამდვილად არ მესმის, როგორ შეეძლო ამ შემთხვევას აღმოჩენის დაჩქარება ან დაბრკოლება". გაუსი მიიჩნევდა, რომ ნიუტონმა განგებ მოიგონა ეს სასაცილო ისტორია აბეზარი მეგობრის თავიდან მოსაცილებლად. იქნებ სწორედ სტაკლი იყო ეს აბეზარი?

რა თქმა უნდა, სინამდვილეს უკვე ვერავინ აღადგენს, მაგრამ ვარაუდი შეიძლება. მას შემდეგ, რაც 1665 წელს ისააკ ნიუტონმა კოლეჯი დაასრულა და ბაკალავრის წოდება მიიღო, მოულოდნელად დაბრუნდა ვულსტორპში. ამის მიზეზი შავი ჭირის ეპიდემია იყო: ქალაქში უფრო ადვილად შეგეყრებოდა დაავადება, ვიდრე სოფლად. იქნებ ასეთი სიფრთხილისა და, როგორც იტყვიან, თავშენახულობის გამოა, რომ ღრმა სიბერეშიც კი სერ ისააკს ხშირი თმა შერჩა, არასოდეს დასჭირვებია სათვალე და ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთი კბილი ჰქონდა დაკარგული.

ერთი სიტყვით, ნიუტონი მშობლიურ სოფელში ჩავიდა. შემოდგომა იყო და ამ დროს, როგორც ცნობილია, ვაშლები ხანდახან ტოტებიდან ცვივა ხოლმე. ისიც ცნობილია, რომ მეცნიერს ბაღში სეირნობა უყვარდა. ამას არც მალავდა და ერთ პირად წერილში ასე წერდა: "მუდამ აზრით ვუტრიალებ კვლევის საგანს და მოთმინებით ველი, სანამ პირველი ათინათი თანდათანობით არ იქცევა სრულ და ბრწყინვალე სინათლ-



*ნიუტონის ვაშლის ხე კემბრიჯის მახლობლად (მეხის დახემის შემდეგ).*



*გალილეო გალილეი.*

# ინტერდისციპლინარობის სათავეები

სამეცნიერო გრანტების აპლიკანტებსა და კონკურსების მონაწილეებს ძალიან უყვართ ტერმინი "ინტერდისციპლინარობა" — მასში სამართლიანად გრძნობენ პერსპექტიულობას. თვით ტერმინი კი იმას აღნიშნავს, რომ მოცემული კვლევა ორი ან რამდენიმე სამეცნიერო დარგის საზღვარზე იწარმოება ან რამდენიმე დარგის სპეცილისტთა მონაწილეობით. მაგრამ თვით ინტერდისციპლინარობა სულაც არაა ახალი გამოგონება — შეიძლება ითქვას, რომ დღეს მეცნიერება თავის სათავეებს, ცოდნის სინთეზურობას უბრუნდება...

XVII საუკუნის დასაწყისში ქალაქ რომში გაიმართა კამათი თემაზე, რომელიც თანამედროვე სპეციალისტის ღიმილს თუ გამოიწვევს: რომელი ჯობია, ქანდაკება თუ ფერწერა. ქანდაკების მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ სამგანზომილებიანი ქმნილება უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ამიტომ უფრო მნიშვნელოვანიაო. საკითხი ვერაფრით გადაჭრეს და მიმართეს სახელგანთქმულ ფლორენციელ ფერმწერს, ლოდოვიკო ჩიგოლის. თუმც კი გვარიანი მხატვარი იყო, ჩიგოლი არ ყოფილა გაწაფული სქოლასტურ კამათში, ამიტომაც მისწერა თავის მეგობარს, გალილეო გალილეის და რჩევა ჰკითხა. სხვათა შორის, ლოდოვიკო ჩიგოლიმ მოხატა რომში სანტა-მარია მაჯორეს ბაზილიკა და იქ ერთ-ერთ ფრესკაზე მთვარე ზუსტად ისე გამოსახა, როგორც გალილეის დამზადებულ ტელესკოპში ჩანდა. ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო, რადგან ხელსაწყოც და მისი საშუალებით მიღებული შედეგები კათოლიკურმა სასამართლომ 1633 წელს დაგმო.

გალილეიმ ხალისით მიიღო ხელოვნების მცოდნეთა გამოწვევა და 1612 წლის 28 ივნისს რომში ვრცელი წერილი გააგზავნა. მოძრაობის კანონთა დამდგენი და ვენერის ფაზათა აღმომჩენი იტალიის განათლებულ საზოგადოებას ფაქიზ ესთეტად მოევლინა. წერილში ერთმანეთს ეხამება ნატიფი შეგრძნებები და მეცნიერული ლოგიკა. მაგალითად, გალილეო ამბობს, რომ ქანდაკებას რელიეფი მხოლოდ განათების წყალობით აქვს, ხოლო თუ განათებულ ადგილებს მუქად შევღებავთ, ისიც ბრტყლად მოგვეჩვენება. არგუმენტი გულუბრყვილოა, მაგრამ ღირებული, რადგან ხელოვნების კრიტიკოსის მეთოდოლოგიურ არსენალში ექსპერიმენტი შეჰყავს: სცადე და ნახე, რა გამოვა. ასეთი მიდგომა სრულიად უცხო იყო იმ დროისათვის.

მეორე არგუმენტი უფრო მნიშვნელოვანია: გალილეო ამტკიცებს, რომ უფრო მნიშვნელოვანია ორ განზომილებაზე მოცულობითი ეფექტის შექმნა, რადგან ასეთი რამ აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეს მოითხოვს და ასევე მის გასაგებად მეტი ინტელექტუალური ენერგიის დახარჯვაა საჭირო. მეცნიერს მოჰყავდა მუსიკალური ანალოგია: სიტყვებიანი სიმღერის გაგება ბევრს შეუძლია, მაშინ როცა უსიტყვო მუსიკის გამგები და დამფასებელი შედარებით ცოტაა. აქედან გამომდინარე, ქანდაკების მოცულობითობა კი არ ამაღლებს მისი როგორც ხელოვნების დარგის ღირსებებს, არამედ ამცირებს.

არა მარტო ნაწარმოების წაკითხვისა და გაგების სიძნელე მიიჩნევა ფერწერის სასარგებლო არგუმენტად, არამედ მისი შექმნის სპეციფიკაც: მით უფრო დასაფასებელია ფერმწერის ოსტატობა, რადგან ის მესამე განზომილების შთაბეჭდილებას ქმნის იქ, სადაც რეალურად ის არ არსებობს.

როგორც ვხედავთ, ხელოვნების კვლევაში გალილეო გალილეიმ რამდენიმე ახალი კრიტერიუმი შეიტანა: სინამდვილისაგან აბსტრაჰირების დონე, მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, ტექნიკური პრობლემების გადაჭრა როგორც შემოქმედებითი მიღწევა. ერთგვარად გულუბრყვილო დისკუსია მნიშვნელოვანი შედეგების საბაბად იქცა სწორედ იმის წყალობით, რომ მასში ჩაერია ექსპერიმენტული მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

# ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

ედ". ასევე ამბობს, რომ სწორედ იმ შემოდგომას დაფიქრდა პირველად ბუნების ახალ კანონზე. თუმცა "სრული და ბრწყინვალე სინათლის" დადგომამდე ოცდაორი წელი უნდა ეცადა კაცობრიობას, რადგან ნაშრომი მსოფლიო მიზიდულობის შესახებ მხოლოდ 1687 წელს გამოქვეყნდა. საინტერესოა, რომ თვით ავტორს არ სურდა ამ თხზულების გამოქვეყნება — მას სხვამ აიძულა. ეს სხვა გამოჩენილი ასტრონომი ედმუნდ ჰალეი იყო — ყველაზე ცნობილი კომეტის აღმომჩენი (ეს ციური სხეული მის სახელს ატარებს და დედამიწას სამოცდათორმეტ წელიწადში ერთხელ უახლოვდება) და ნიუტონის კოლეგა ბრიტანეთის სამეფო სამეცნიერო საზოგადოებაში. მეცნიერთათვის უჩვეულო სოლიდარობითა და ალტრუიზმით აღსავსე ახდენდა ჰალეი ზეწოლას ნიუტონზე, რათა დიდ ფიზიკოსს არა მხოლოდ თავისი შრომების გამოქვეყნებაზე, არამედ მათ დაწერაზე ეზრუნა. ჰალეის გაუთავებელი ჩიჩინის ზემოქმედებით დაიწყო ნიუტონმა უმთავრესი თხზულების, "ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკურ საწყისთა" წერა.

ნიუტონმა მეგობარს ჯერ მცირე ზომის ტრაქტატი გაუგზავნა — მისი სათაური იყო "მოძრაობისთვის". ჰალეის ინტუიცია საკმარისი აღმოჩნდა აქ გამოთქმული იდეების შესაფასებლად. ასტრონომი მაშინვე გაემგზავრა ნიუტონთან და დაარწმუნა უფრო ვრცელი ტექსტის აუცილებლობაში, თანაც ყველა ხარჯი და საგამომცემლო საზრუნავი თავის თავზე აიღო. ბოლოს და ბოლოს დადგა ის იშვიათი მომენტი, როცა მეცნიერი თავისი ნააზრევის საჯაროდ გამოთქმას ესწრაფვის: წელიწადნახევრის განმავლობაში დაწერა ნიუტონმა "საწყისების" სამივე წიგნი და 1687 წელს ვრცელმა ტრაქტატმა დღის სინათლე იხილა. ახლა უკვე მხოლოდ სამეფო სამეცნიერო საზოგადოების წევრებმა კი არა, მთელმა სოფლიომ გაიგო, რომ ორი სხეული ერთმანეთს იზიდავს, ხოლო ამ მიზიდულობის ძალა პირდაპირპროპორციულია მათი მასების ნამრავლისა და უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის კვადრატისა.

ასეთია აღმოჩენის ისტორია, ყოველ შემთხვევაში, ამ ისტორიის ზუსტად ცნობილი დეტალები. როგორც ვხედავთ, შემთხვევითობისთვის მცირე ადგილი რჩება. მხოლოდ შავი ჭირის ეპიდემია მოჩანს უცნაურ ელემენტად: ის რომ არა, ნიუტონი ვულსტორპში არ გაემგზავრებოდა, იმ დროსაც უკვე საკმაოდ ურბანისტულ კებმრიჯში კი, აბა, ვაშლის ვარდნას სად შეასწრებდა თვალს?!

ვთქვათ, მართლაც არსებობს სულის ისეთი მდგომარეობები, როცა გონება თითქმის მომზადებულია ნახტომისთვის და სინამდვილის მხრიდან სულ მცირე ბიძგს ელის. ხომ შეიძლება სწორედ ასეთ მომენტში ჩამოვარდა ხიდან საბედისწერო ვაშლი? მაგრამ რატომ არ ჩქარობდა ნიუტონი? — მხოლოდ 1873 წელს ვხვდებით მის ერთ-ერთ პირად წერილში რაღაც ბუნდოვან მინიშნებას მიზიდულობის კანონის თაობაზე. წერილი ნიუტონმა ქრისტიან ჰიუიგენსს გაუგზავნა, ჰოლანდიელ მეცნიერს, რომელსაც უზიარებდა ერთ თავის მიგნებას იმის შესახებ, როგორ შეიძლება გამოითვალოს მზის, დედამიწისა და მთვარის ურთიერთმიზიდულობის სიდიდე. მინიშნება იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ ჰიუიგენსისთვის გაუგებარი დარჩა. მრავალი წლის შემდეგ ნიუტონი თვითონ ირწმუნებოდა, რომ ხსენებულ წერილში უკვე ყველაფერი ახსნა, მაგრამ მეცნიერება არასოდეს განვითარებულა ქარაგმებისა და მინიშნებების წყალობით.

მართლაც უცნაური კაცი იყო სერ ისააკ ნიუტონი: ლამის ძალით დააწერინეს ტრაქტატი. ნეტა რითი უნდა აიხსნას მეცნიერის ასეთი ხასიათი?

1686 წლის 20 ივნისს, ჰალეისადმი წერილში ნიუტონი კვლავ გაკვრით აღნიშნავს, რომ შარშან, ანუ 1685 წელს მან პირველად მიიღო იმის მტკიცებულება, რომ შებრუნებული კვადრატების


*სერ ისააკ ნიუტონი.*

კანონი მოქმედებს არა მარტო კოსმოსურ სივრცეში, არამედ დედამიწის ზედაპირთანაც. ვულსტორპის შემოდგომის შემდეგ ოცი წელი გავიდა, სანამ ნიუტონი პირველად იტყოდა იმის შესახებ, რომ ჩვეული და ნაცნობი საგნების დედამიწის ზედაპირზე ვარდნა და ციური სხეულების მარადიულად უცვლელი მოძრაობა ერთი და იმავე ბუნების ძალით ხორციელდება. გასაგებია, რომ ამგვარი აზრის გამოთქმას შესაბამისი მათემატიკური გამოთვლებით სჭირდება დასაბუთება. აღმოჩენის სპონტანურობის დასამტკიცებლად სხვა ლეგენდაც გამოიგონეს: თითქოს გამოთვლებს დედამიწის რადიუსის შესახებ მცდარი ცნობები აბრკოლებდა; ზუსტად ჩვენი პლანეტის რადიუსი მხოლოდ რამდენიმე წლის დაგვიანებით დაადგინეს, ამიტომაც აგვიანდებოდა ნიუტონს შედეგების გამოქვეყნება. მაგრამ არც ისე მარტივადაა საქმე: ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში გამოთქვეს პირველად აზრი, რომ ზღვის მოქცევების მიზეზი მზისა და მთვარის ზეგავლენაა, ხოლო ნიუტონამდე თითქმის ასი წლით ადრე, 1596 წელს იოჰან კეპლერი გაბედულად ამტკიცებდა, რომ მთვარის მოძრაობა დედამიწის მიზიდულობითაა გამოწვეული. ნიუტონი საკმაოდ კარგად იცნობდა წინამორბედთა ნააზრევს, აკი თქვა, გიგანტთა მხრებზე აცოცებული ჯუჯა ვარო — ასე რომ, ვაშლის ტოტიდან ჩამოვარდნა ამ საქმეში დიდ დახმარებას ვერ გაუწევდა.

გაცილებით უფრო დიდი სტიმული შეიძლებოდა ყოფილიყო რობერტ ჰუკის მიერ 1666 წელს სამეფო საზოგადოებაში გაკეთებული მოხსენება, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ მის მიერ ჩატარებული ცდების საფუძველზე დგინდება სხეულის წონის დამოკიდებულება დედამიწის ზედაპირიდან სიმაღლეზე. იმავე ჰუკმა 1674 წელს გამოაქვეყნა სტატია "დედამიწის მოძრაობისთვის", სადაც პირდაპირ ამბობდა, რომ ზეციური სხეულების მოძრაობა განსაზღვრულია მათი ურთიერთგავლენით. XVII საუკუნის ბოლოს მეცნიერება ზოგადად უკვე მიუახლოვდა ამოცანის ამოხსნას, ადამიანები სრულიად მზად იყვნენ აღმოჩენისთვის და შეგნებულად ელოდნენ კიდეც მას. ნიუტონმა, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივი შეკვეთა შეასრულა — თვით მის მიერ მოპოვებული ლამის მყისიერი აღიარება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ კანონის ზუსტი ფორმა არ ყოფილა გენიოსის მიერ მოულოდნელად წაკითხული ცხოვრებისეული შემთხვევითობის შედეგი. ნიუტონმა მცირე ხნით დაასწრო რობერტ ჰუკს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა, თითქოს გრავიტაციის, ანუ მსოფლიო მიზიდულობის ძალა მანძილის უკუპროპორციულია და მხოლოდ 1680 წელს გადაწყვიტა მანძილის კვადრატის შეყვანა ფორმულაში. გვიანი იყო: ნიუტონმა უკვე დაისაკუთრა პირველობა.

აი, არქიმედეს საკითხი კი ოდნავ განსხვავებულია. ჯერ ერთი, სავარაუდოა, რომ აღმოჩენა ნამდვილად აბანოში მოხდა: გაუგებარია მოტივი, რომლისთვისაც შეიძლებოდა შექმნილიყო ეს ლეგენდა. არქიმედეს პიროვნება ჰეროიკული შარავანდედით იყო მოსილი, — საკმარისია გავიხსენოთ სხვა ლეგენდა, სადაც ის მტრის ფლოტის გამანადგურებლად გვევლინება. ჩვენს შემთხვევაში კი ვხედავთ, რომ აბანოში შესული მეცნიერი აკვირდება აბაზანაში წყლის დონის ცვლილებას იმისდა მიხედვით, რამდენადაა წყალში ჩაძირული მისი სხეული. ამის შედეგად მის თვალწინ იელვებს არა მარტო დასახული კონკრეტული ამოცანის ამოხსნა, არამედ მცურავ სხეულთა მოძრაობისა და მდგომარეობის ზოგადი კანონიც. აღტაცებით მოცული არქიმედე შიშველი გამორბის სირაკუზის ქუჩებში და ყვირის: "ვიპოვე! ვიპოვე!". ამბავი საკმაოდ რეალისტურია. მაგრამ საკითხი აქ სხვანაირად დგას: იყო თუ არა არქიმედეს მიერ გაკეთებული აღმოჩენა შემთხვევითი?

იგივე შეკითხვა შეიძლება დავსვათ ნიუტონის შემთხვევაშიც. ზოგადი პასუხი ალბათ ასეთია:

ორივე მოვლენა — ხიდან ვაშლის ჩამოვარდნაც და აბაზანაში ბანაობაც — საკმაოდ სადაგია: XVII საუკუნის ინგლისელი სკვაირი ალბათ ისევე იყო მიჩვეული ვაშლის ბაღში სეირნობას, როგორც ანტიკური ხანის ელინი — სიარულს აბანოში, სადაც იმ დროს არა მარტო სხეულს ისუფთავებდნენ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მრავალ მნიშვნელოვან საქმეს ასრულებდნენ. სწორედ ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვეულ საგანსა თუ მოვლენაში რაღაც ახლის შემჩნევა შეუძლებელია წინასწარი ინტელექტუალური შრომის, ხანგრძლივი და დაძაბული ფიქრის გარეშე.

ორივე აღმოჩენას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი სოციალური დაკვეთა: ნიუტონის დროს აუცილებელი იყო გრძედის განსაზღვრის ზუსტი მეთოდის მიკვლევა და ზღვის მოქცევათა წინასწარმეტყველება, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა ნაოსნობას, ხოლო არქიმედემ უშუალოდ მეფისაგან მიიღო დავალება, რომლის შინაარსი არა მარტო მის პირად მეცნიერულ რეპუტაციას ეხებოდა, არამედ სამეფო ძალაუფლების სიმბოლოს. ვინ იცის, რამდენი მცდარი შედეგი უარყო ორივე მეცნიერმა, სანამ ერთადერთ სწორ გზას მიაგნებდა. ამგვარ პირობებში კი ნამდვილად აღარა აქვს მნიშვნელობა საკითხს, მართლაც ირბინა თუ არა სირაკუზის ქუჩებში შიშველმა არქიმედემ და მიიყვანა თუ არა ნიუტონი მიზიდულობის აღმოჩენამდე ვაშლის ვარდნამ.

**ხარუკი მურაკამი**

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

გაგრძელება. დასაწყისი იხილე № 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".






# ნადირობა ცხვრებზე

## 4

### ის ყვება ტალღების ხმაურზე, თან "სოლტი დოგს" წრუპავს

- წერილი მოგიტანეთ! - ვთქვი.

- მე? - გაკვირვებულმა იკითხა.

ყურმილში სადღაც ძალიან შორიდან ისმოდა ხმა, ხმას თან ფხაკუნი მოჰყვებოდა, ასე რომ, უფრო ხმამაღლა მიწევდა ლაპარაკი, ვიდრე ნორმალურ საუბარს სჭირდება. ბუნებრივია, ინტონაციის ნიუანსებიც მთლიანად იკარგებოდა. გინდ გორაკზე ასულხარ, ქარის საპირისპიროდ დამდგარხარ და პალტოს აწეული საყელოდან ყვირილით გისაუბრია.

- ისე, ადრესატი მე ვარ... მაგრამ ვფიქრობ, სწორედ თქვენ გწერდნენ!

- ა, თქვენ ფიქრობთ ასე?

- რა თქმა უნდა, - ვთქვი და თვითონვე ვიგრძენი, რა იდიოტურ სიტუაციაში გავყავი თავი.

ხმას არ იღებდა. ფხაკუნი ყურმილში ნელ-ნელა მიწყდა.

- არ ვიცი, რა ურთიერთობა გქონდათ ვირთხასთან. იმიტომ გირეკავთ, რომ თქვენთან შეხვედრა მთხოვა. და რადგან ასეა, ამიტომაც ვფიქრობ, რომ უკეთესია, თუ წერილს თვითონვე წაიკითხავთ.

- თქვენ რა, ტოკიოდან საგანგებოდ ამისთვის ჩამოხვედით?

- სწორედ ამისთვის.

ჩაახველა. მერე მოიბოდიშა.

- თქვენ მეგობრები იყავით?

- რაღაც ამის მაგვარი.

- პირდაპირ მე რატომ არ მომწერა?

ღირს კი იმის თქმა, რომ მის სიტყვებში აშკარად იგრძნობოდა გაცილებით მეტი საღი აზრი?

- მართალი გითხრათ, არ მესმის, - ვუპასუხე გულახდილად.

- ჰოდა, მეც რაღაც ვერ მივმხვდარვარ. ის, რაც ადრე იყო, კარგა ხანია უკვე დასრულდა. თუ ვცდები?

ეს მე არ ვიცოდი. ასეც ვუთხარი - არ ვიცი-მეთქი. სასტუმროს ნომერში საწოლზე ვიწექი, ყურზე ტელეფონის ყურმილი მქონდა მიკრული და ჭერს ვათვალიერებდი. მეჩვენებოდა, რომ მოკუნტული ვიწექი ზღვის ფსკერზე და ერთიმეორის მიყოლებით ვითვლიდი თავზემოთ მცურავ თევზების ჩრდილებს. თან ისიც არ ვიცი, სანამდე უნდა ვითვალო, რომ ბოლოს და ბოლოს შევჩერდე.

- ხუთი წლის წინათ, როცა სადღაც გაქრა, ოცდაშვიდის ვიყავი, - რბილი ხმის მიუხედავად, მისი ეს სიტყვები ისე ყრუდ გაისმა, თითქოს ჭიდან მელაპარაკებოდნენ, - ძალიან ბევრი რამ იცვლება ხუთი წლის მანძილზე...

- ეგრეა, - დავეთანხმე.

- სინამდვილეში არაფერიც რომ არ შეიცვალოს, სულ ერთია, თავს ასე ფიქრის უფლებას ვერ მივცემ. ერთი გაიფიქრება და უკვე ველარასოდეს დაიძვრები ადგილიდან... აი, თუნდაც ამიტომ ვცდილობ სრულიად სხვა ადამიანად ჩავთვალო თავი.

- მგონი გაგიგეთ, - ვთქვი.

გავჩუმდით. ამჯერად პირველმა თვითონ დაიწყო:

- უკანასკნელად როდის შეხვდით?

- ხუთი წლის წინათ. სანამ გაქრებოდა, ცოტა ხნით ადრე.

- რამე შეგატყობინათ? რატომ მიემგზავრება, საერთოდ რას აპირებდა?

- არაფერი, - ვთქვი.

- ესე იგი, მაშინ სწორად გავიგე - ისე გაქრა, არავისთვის არაფერი უთქვამს.

- აბსოლუტურად მართალი ხართ.

- თქვენ თვითონ რა იფიქრეთ?

- როდის, როცა გაქრა?

- ჰო, მაშინ.

საწოლიდან წამოვიწიე და ზურგით კედელს მივეყრდენი.

- რა ვიფიქრე... ნახევარი წელიწადი იწანწალებს და უკან დაბრუნდება-მეთქი. ის ხომ იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვისთვისაც დიდხანს არაფერი გრძელდება.

- მაგრამ ის არ დაბრუნდა...

- ჰო, არ დაბრუნდა.

მავთულის მეორე ბოლოში აშკარად საკუთარ თავს ებრძოდნენ: მორიგ ხანგრძლივ პაუზაში ყური მოვკარი ჩუმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქვას.

- სად გაჩერდით? - მკითხა ბოლოს.

- ოტელ...

- ხვალ ხუთ საათზე ოტელის კაფეში ვიქნები. მერვე სართულზე. გაწყობთ?

- მშვენიერია, - ვთქვი, - თეთრი მაისურით და მწვანე შალის შარვლით... თმა მოკლედ მაქვს შეკრეჭილი...

- არა უშავს, როგორმე მივხვდები, - ხმადაბლა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მოურიდებლად შემაწყვეტინა და ყურმილი დაკიდა.

მეც დავდე ყურმილი და შევეცადე როგორმე მივმხვდარიყავი, ეშმაკმა დასწყევლოს, რას ნიშნავს ეს "როგორმე მივხვდები". მაგრამ მაინც ვერ მივხვდი. ამ ბოლო დროს რაღაც ხშირად ვერ ვიგებ ბევრ რამეს. ტყუილად ამბობენ, წლები აბრძენებს კაცსო. როგორც ერთმა რუსმა მწერალმა თქვა, წლები მხოლოდ ხასიათს ცვლის. ადამიანის სიბრიყვე კი სიკვდილამდე უცვლელია... ხანდახან ეს რუსები საქმიან რაღაცას იტყვიან ხოლმე. იმიტომ ხომ არა, რომ ზამთარში უკეთ ფიქრობს ადამიანი? შხაპი მივიღე, აბაზანიდან გამოვედი, პირსახოცი შემოვიხვიე, საწოლზე დავჯექი და ტელევიზორი ჩავრთე. რაღაც ამერიკული ფილმი გადიოდა ომზე და რომელიღაც ძველ წყალქვეშა ნავზე. კაპიტანი და პირველი თანაშემწე ძაღლი და კატასავით უღრენდნენ ერთმანეთს. თვითონ ნავი ჟანგიან ქვაბს წააგავდა, საბოლოოდ კი ეს საცოდავი სიუჟეტი საყოველთაო პანიკური კლაუსტროფობიით დასრულდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, პრობლემები გასაოცარი თანამიმდევრობით გვარდებოდა და ფინალში ყველაფერი რიგზე იყო. აი, ასეთი ფილმების შემდეგ სულ იოლად შეიძლება მოგეჩვენოს, რომ რადგან ყველას ყველაფერი წესრიგში აქვს, თვითონ ომიც არც ისე საშინელი რამაა. არ გამიკვირდება, თუ მალე ისეთი ფილმების გადაღებას დაიწყებენ, რომლებშიც ატომური ომი ანადგურებს კაცობრიობას, მაგრამ ფინალში "ყველას ყველაფერი რიგზე აქვს".

ტელევიზორი გამოვრთე და ლოგინში შევძვერი. ათიოდე წამის შემდეგ ღრმა ძილით მეძინა.

მეორე დღეს ხუთი საათისთვის წვრილი, თვალით უხილავი წვიმა ისევ ისე ეკიდა ჰაერში. სწორედ ის წვიმა, რომელიც მაშინ მოდის, როცა ზაფხულის პირველი დარიანი დღეების შემდეგ გგონია, რომ წვიმების სეზონმა უკვე ჩაიარა. მერვე სართულიდან შავსა და ნესტისგან გალუმპულ მიწას ვათვალიერებდი. მიწისზედა მაგისტრალზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრზე საცობში გაჭედილი მანქანების გრძელი რიგი იდგა. უფრო დაკვირვებით დავაცქერდი და მომეჩვენა, რომ ეს ავტომობილები ნელ-ნელა დნებოდა წვიმაში. და მართლაც მთელმა ქალაქმა დნობა დაიწყო. დნებოდა ბეტონის ტალღსაჭრელი პორტში, დნებოდა ამწეები წაგრძელებული ნისკარტებით, დნებოდა ცათამბჯენების მესერი, დნებოდნენ შავ ქოლგებს შეფარებული ადამიანები. დნებოდა მთების ამწვანებული ფერდობები, ჩუმად მოედინებოდა... რამდენიმე წამით მოვხუჭე თვალი და ისევ გავახილე - ქალაქი თავის ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა. ისევ აიჭრნენ ცაში პორტის ამწეების ღეროები. ავტოსტრადაზე წელანდელივით აღმოსავლეთისკენ მიხოხავდნენ მანქანები, ქოლგებს შეფარებული ფეხით მოსიარულეთა ჯგუფი ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადაიღვარა. მთების ხასხასა სიმწვანე ისევ ხარბად ისრუტავდა ივნისის წვიმების სისველეს.

ვეებერთელა დარბაზის სცენაზე, იატაკის დონეზე ოდნავ დაბლა, ლაჟვარდისფერი დიდებული როიალი იდგა. ჭყეტელა ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი ქალი "ა'ლა ფინჯანი ყავა დიდი ოტელის დარბაზისთვის" შესაფერი მელოდიების სტანდარტულ ნაკრებს უკრავდა და პოპულარულ მელოდიებს ბრძნულ სონკოპებსა და კბილის მოსამტვრევ არპეჯოებში მარხავდა. ურიგოდ არ უკრავდა, მაგრამ თავდებოდა მელოდია, უკანასკნელი ბგერა გალღვებოდა ჰაერში და აბსოლუტურად არაფერი აღარ რჩებოდა.

უკვე ექვსი დაიწყო, მაგრამ ის, ვისაც ველოდებოდი, არა და არ ჩანდა. უკვე მეორე ყავას ვსვამდი და უსაქმურობისგან პიანისტ ქალს ვათვალიერებდი. ოცი წლისა იქნებოდა. ფუმფულა თმის ბულული - შოკოლადის ვეებერთელა წვეთივით ნამცხვარზე. თმა მუსიკის ტაქტზე მარცხნივ და მარჯვნივ ილვრებოდა და როგორც კი მელოდია შეწყდებოდა, ისევ ბულულად ლაგდებოდა. და იწყებოდა ახლი მელოდია. ვუყურებდი და ერთი ნაცნობი გოგონა მახსენდებოდა. სკოლის ბოლო წელს პიანინოზე დაკვრას ვსწავლობდი. ჩვენ ერთდროულად დავიწყეთ მეცადინეობა, სპეციალობაც ერთი გვქონდა და ამიტომ გვსვამდნენ ერთად ოთხი ხელის დასაკრავად. არც სახე, არც სახელი ამ გოგონასი არ მახსოვდა. მხოლოდ თლილი თეთრი თითები, ლამაზი თმა და დაკვრის დროს ოდნავ ათრთოლებული მსუბუქი კაბა დამრჩა მეხსიერებაში. ამაზე მეტი, რამდენიც არ ვცადე, ვერ მოვიგონე.

როგორც კი საკუთარ თავს ამაში გამოვუტყდი, უცნაური რამ ვიგრძენი. თითქოს მე თვითონ გამოვჭერი ცხოვრებიდან საკუთარი მოგონებებისთვის მისი თითები, თმა, კაბა - ყველაფერი დანარჩენი კი ხელუხლებელი დარჩა და დღეს კაცმა არ იცის სად ცხოვრობს... არა, რა თქმა უნდა, ეს ბოდვაა. ეს სამყარო ჩემ გარეშეც ყოველთვის ბრუნავდა. ადამიანები ისე დადიან ქუჩაში, რომ ჩემთან არაფერი აქვთ საერთო, ფანქრებს წვერს უთლიან, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიდიან წუთში ორმოცდაათი მეტრის სიჩქარით და უსახურ-რაფინირებული მუსიკით ავსებენ დიდი ოტელების კაფეებს.

"სამყარო"... მაშინვე სპილოებისა და კუების ჯოგი წარმოგიდგება, გაჭინთულები რომ აწვებიან ზურგით დედამიწის ვეებერთელა სფეროს. ამასთან, სპილოებმა არ იციან, რა საჭირონი არიან კუები, კუები კი ვერაფრით მიმხვდარან, რას აკეთებენ აქ სპილოები და არც სპილოებს და არც კუებს წარმოდგენა არა აქვთ, რა საჭიროა სამყარო.

- მაპატიეთ დაგვიანებისთვის! - მომესმა უკანიდან, - სამუშაოზე გამაჩერეს, ვერაფრით ვერ გავთავისუფლდი.

- არა უშავს, მთელი დღე აბ-

სოლუტურად თავისუფალი ვარ.

მაგიდაზე ქოლგის დასადგმელის გასაღები დააგდო და მენიუსთვის არც კი დაუხედავს, ისე შეუკვეთა ფორთოხლის წვენი.

ასაკის გარკვევა შეუძლებელი იყო. რომ არ ეთქვა ტელეფონით, ალბათ ვერც ვერასოდეს მივხვდებოდი რამდენი წლის იყო. მაგრამ რადგან მაშინვე მითხრა, ოცდაცამეტის ვარო, ალბათ ოცდაცამეტისაც იყო და ახლა ასეც გამოიყურებოდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეთქვა, ოცდაშვიდის ვარო, მაშინ ზუსტად ოცდაშვიდი წლის შესახედაობა ექნებოდა, არც მეტი, არც ნაკლები.

მისი არც ისე თვალშისაცემი, მაგრამ გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი სასიამოვნო საყურებელი იყო. ხალვათად შეკერილი ბამბის შარვალი, ნარინჯისფერ-ყვითელი კუბოკრული პერანგი იდაყვებამდე აწეული სახელოებით, მხარზე გადაგდებული ტყავის ჩანთა. არც ერთი ნივთი არ იყო ახალი, მაგრამ ყველაფერი ფაქიზად გამოიყურებოდა. არც ბეჭდები, არც მძივები, არც სამაჯური, არც საყურეები. მოკლე ჩოლკა გულუბრყვილო სიკეკლუცით გადაევარცხნა გვერდზე.

ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები თვალებთან ვერ იძლეოდნენ წარმოდეგნას ასაკზე, უფრო იმას ამბობდნენ, რომ ამ სახეზე დაბადებიდანვე იყვნენ. მხოლოდ ლავიწის ძვლები, რომლებიც თეთრად მოჩანდა ორ ღილზე შეხსნილი საყელოდან და მაგიდის პირზე უმოძრაოდ დაწყობილი ხელები ამხელდნენ ამ ქალის ასაკს. წვრილმანი, მართლა მიკროსკოპული ცვლილებებით იწყება ადამიანის დაბერება. და რაც დრო გადის, მით მეტი აი ასეთი ძლივს შესამჩნევი, მაგრამ უკვე წაუშლელი წვრილმანები ჩნდება, სანამ ბოლოს ქსელივით არ შემოეხვევა მთელ სხეულს.

- რას საქმიანობთ? მუშაობთ? - ისე, სხვათა შორის ვკითხე.

- საკონსტრუქტორო ბიუროში. უკვე დიდი ხანია.

საუბარი ვერა და ვერ აეწყო. აუჩქარებლად ამოვიღე სიგარეტი. აუჩქარებლადვე მოვუკიდე. პიანისტმა ქალმა დახურა როიალი, ადგა და სადღაც, ეტყობა, შესვენებაზე წავიდა. მსუბუქი შური - მართლა ძალზე მსუბუქი - გაკრთა ჩემი თანამოსაუბრის თვალებში.

- დიდი ხანია იცნობთ ერთმანეთს? - შემეკითხა.

- თერთმეტი წელიწადია. თქვენ?

- ორი თვე და ათი დღე, - დაუფიქრებლად მიპასუხა, - ჩვენი გაცნობიდან და იქამდე, სანამ გაქრებოდა. ორი თვე და ათი დღე. დღიურს ვწერ. ამიტომაც ვიცი ზუსტად.

ჩემს თანამოსაუბრეს ფორთოხლის წვენი მოუტანეს, ჩემი ცარიელი ყავის ფინჯანი კი წაიღეს.

- მას შემდეგ, რაც გაქრა, სამი თვე ველოდი. დეკემბერი, იანვარი, თებერვალი... ყველაზე ცივი დრო. მაშინ საოცრად ცივი ზამთარი იყო, გახსოვთ?

- ა-არ მახსოვს, - დავიბენი.



როგორც გუშინდელ წვიმაზე, ისე ლაპარაკობდა ხუთი წლის წინანდელ სიცივეზე.

- აი თქვენ, ოდესმე ასე დალოდებიხართ ქალს?

- არა, - ვუპასუხე.

- თუ ძალიან ელოდები და დროზე არ გამოჩნდა, მერე სულ ერთი ხდება. მნიშვნელობა არა აქვს, რა დროა ეს - ათი წელიწადი, ხუთი თუ სულაც ერთი თვე.

თავი დავუქნიე.

მისი ჭიქა უკვე სანახევროდ ცარიელი იყო.

- მაშინაც, როცა პირველად გავთხოვდი, ზუსტად ასე მოხდა. ველოდი, ველოდი, როგორც წესი და რიგია, მერე კი დავიღალე ლოდინით და უკვე სულ ერთი იყო. ოცდაერთისა გავთხოვდი, ოცდაორისა გავეყარე. მერე კი ამ ქალაქში გადმოვედი...

- ჩემი ცოლიც ეგრეა, - ვთქვი.

- რა?

- ოცდაერთისა გათხოვდა, ოცდაორის გაეყარა ქმარს.

დიდხანს, დაჟინებით მათვალიერებდა. მერე ნერვულად ააწკრიალა გრძელი ჩხირი ჭიქაში, ფორთოხლის წვენს ურევდა. მგონი ზედმეტი წამოვაყრანტალე.

- ძალიან ძნელია, როცა ახალგაზრდა გამოცდი გათხოვებასა და განქორწინებას, - განაგრძო, - თუ მოკლედ ვიტყვი, მერე უკვე რაღაც ერთგანზომილებიანი, რაღაც სრულიად ირეალური გინდება. გესმით ჩემი? მაგრამ ირეალური ცხოვრებით ხომ მაინცდამაინც დიდხანს ვერ იცხოვრებ. ასე არ არის?

- ჰო... ალბათ.

- განქორწინების შემდეგ, სანამ მას არ შევხვდი, ხუთი წელი ამ ქალაქში ვცხოვრობდი. აი, ასეთი ირეალური ცხოვრებით. არც ნაცნობები, არც სადმე წასვლის სურვილი, არც საყვარელი. დილით გაიღვიძებ, სამსახურში მიდიხარ, ხაზავ, უკან, შინისკენ მობრუნებული სუპერმარკეტში რაღაცას ყიდულობ, თვითონ ამზადებ, თვითონვე ჭამ. რადიო გამუდმებით ჩართულია... რაღაც წიგნი... დღიურს წერ საკუთარ თავზე... სააბაზანოში კი სველი წინდები გელოდება... ჰო, კიდევ ბინა ზღვის პირას გაქვს, ასე რომ, ყურებში ერთთავად ტალღების შხუილი გიდგას... ცხოვრება კი არა, ჭაობია! - წვენი დალია, - ალბათ სისულელეს ვლაპარაკობ, არა?

უხმოდ გადავაქნიე თავი.

შვიდი დაიწყო - “ყავის დრო" დამთავრდა, “კოქტეილის დრო" დადგა. ჭერში დაკიდებულ ლამპებს ჩაუწიეს. დარბაზი ბინდში ჩაიძირა. ფანჯარაში ქალაქმა სინათლეები დაანთო. პორტის ამწეებზე ალისფრად აკიაფდა ფარნები. საღამოს ბინდბუნდში წვრილი ნემსებივით აბრჭყვილადა წვიმა.

- რამე მაგარს ხომ არ დალევთ?

- აი, იმას რა ჰქვია, არაყს გრეიფრუტის წვენს რომ შეურევ?

- “სოლტი დოგი"...

ოფიციანტს მოვუხმე და მისთვის “სოლტი დოგი" შევუკვეთე, ჩემთვის - “კატი სარკი" ყინულით.

- რაზე შევჩერდი?

- თქვენ თქვით, “ცხოვრება ჭაობიაო".

- არა, რა თქმა უნდა. თუ გულახდილად ვიტყვი, თვითონ ცხოვრება არც ისეთი ჭაობია, - შეასწორა, - მხოლოდ მაშინ, როცა ტალღები ხმაურობს. ამ ბინაში რომ შევსახლდი, სახლის მმართველი მეუბნება, “არაფერია, ხელად შეეჩვევით"... მაგრამ აი, ვერ შევეჩვიე.

- ახლა ხომ ზღვაც აღარ არის.

ჩუმად ჩაიცინა. ნაოჭები თვალის ირგვლივ ოდნავ შეუტოკდა.

- რა თქმა უნდა, რა სალაპარაკოა. “ზღვა აღარ არის" - რა დაკვირვებული ყოფილხართ! მე კი ახლაც დროდადრო მესმის, თითქოს ტალღები ხმაურობს. აი, როგორ შეიძლება გადაწვა ყურები დიდხანს მოსმენით.

- და მერე ვირთხა გაიცანით?

- ჰო. ოღონდ ასე არ ვეძახდი.

- როგორ ეძახდით?

- სახელით. აბა, სხვანაირად როგორ, როგორც ყველანი ჩვენ გარშემო. რა, ასე არ არის?

და მართლაც. გავიფიქრე უცებ. სიტყვა “ვირთხა", როგორც მეტსახელიც კი, რაღაც ბავშვურად ჟღერდა.

- რა თქმა უნდა, - ვთქვი.

სასმელი მოგვიტანეს. ჩემმა თანამოსაუბრემ მოსვა თავისი "სოლტი დოგი" და ხელსახოცით მოიწმინდა ტუჩის კუთხეებზე მიკრული მარილის კრისტალები. პომადის მკრთალანაბეჭდიანი ხელსახოცი ორი თითით შუაზე გადაკეცა და იქვე, მაგიდაზე დადო.

- ჩემთვის ის... როგორ ვთქვა... საკმაოდ ირეალური იყო. გესმით ჩემი?

- მგონი მესმის.

- ვიფიქრე, რომ სწორედ მისი ირეალურობა მჭირდებოდა იმისთვის, რომ საკუთარი დამემსხვრია. მასთან პირველივე შეხვედრისას ვიფიქრე ასე. შეიძლება იმიტომაც მომეწონა... ან იქნებ პირიქითაც იყო - ჯერ მომეწონა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტე. ასეა თუ ისე, შედეგი ერთია, - პიანისტი ქალი შესვენებიდან დაბრუნდა. როიალს მიუჯდა და ძველი ფილმებიდან მელოდიების დაკვრა დაიწყო. რაღაც უცნაურად ჟღერდა, თითქოს ფილმის რომელიღაც სცენას შეცდომით სულ სხვა მუსიკალური ფონი შეურჩიეს, - ჰოდა, ხანდახან მეჩვენება... შეიძლება აი ასე, უბრალოდ გამოვიყენე. შეიძლება თავიდანვე გრძნობდა ამას და იმიტომაც... თქვენ ასე არ ფიქრობთ?

- საიდან უნდა ვიცოდე, - ავიჩეჩე მხრები, - ეს უკვე თქვენი ურთიერთობის დეტალებია.

არაფერი უთქვამს.

დუმილი ოციოდე წამს გაგრძელდა, მანამდე, სანამ მივხვდებოდი, რომ მისი მონოლოგი დასრულდა. ჭიქაში ჩარჩენილი ვისკი დავლიე, ჯიბიდან “ვირთხას" წერილები ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. კონვერტები მაგიდაზე იდო, ის კი რატომღაც არ ჩქარობდა ხელის გაწვდენას.

- მაინცდამაინც აქ უნდა წავიკითხო?

- შინ წაიღეთ და იქ წაიკითხეთ. თუ არადა, შეგიძლიათ გადააგდოთ კიდეც.

თავი დამიქნია. წერილები აიღო და ჩანთაში შეინახა. ლითონის მსუბუქი ტკაცანით დაიკეტა ჩანთა. მეორე სიგარეტს მოვუკიდე, მეორე ვისკიც შევუკვეთე. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ სწორედ ვისკის მეორე ულუფას ვცემ პატივს. თუ პირველი ნერვებს მიმშვიდებს, მეორით ყველაფერი წესრიგდება თავში. მესამისა და იმის შემდეგ აღარც გემო აქვს, აღარც აზრი. სითხის უბრალო გადასხმაა. ჭიქიდან კუჭში.

- და მხოლოდ ამისთვის ჩამოხვედით ტოკიოდან? - მკითხა.

- ჰო, თითქმის...

- ერთობ თავაზიანი საქციელია თქვენი მხრიდან.

- აი, ამაზე კი ნამდვილად არ ვფიქრობდი. უბრალოდ, ასეთი ურთიერთობა გვქონდა. ადგილები რომ შეგვეცვალა ცხოვრებაში, დარწმუნებული ვარ, ისიც ზუსტად ასე მოიქცეოდა.

- რა, უკვე გაგიწიათ ამგვარი სამსახური?

თავი გავაქნიე.

- არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, კარგა ხანია გულს ვუწყალებთ ერთმანეთს აი, ამგვარი "ირეალური" თხოვნებით და შევეჩვიეთ ზედმეტი კითხვების გარეშე მათ შესრულებას. ხოლო რაც შეეხება რეალურ ცხოვრებაში ირეალური თხოვნის შესრულებას - ეს უკვე სხვა პრობლემაა.

- ქვეყნად ალბათ აღარც არიან ასეთი უცნაური ადამიანები!

- სავსებით შესაძლებელია...

სიცილით წამოდგა სკამიდან და ქვითარი აიღო მაგიდიდან.

- ნება მომეცით, მე გადავიხადო. მით უფრო, რომ მთელი ორმოცი წუთი დავაგვიანე...

- თუ თქვენთვის ასე უკეთესი იქნება, კი ბატონო, - ავიჩეჩე მხრები, - მაგრამ მე ერთი კითხვა მაქვს თქვენთან. შეიძლება?

- რა თქმა უნდა.

- თქვენ ტელეფონით მითხარით, რომ ისედაც მიცნობდით...

- ჰო, ისე ვთქვი, ეგეთ გუნებაზე ვიყავი.

- და რა, აი ეგრე, შემოხვედით თუ არა, მიცანით?

- მაშინვე, - თქვა მან.

* * *

წვიმა ისევ ასხამდა. ოტელის ფანჯარაში მეზობელი ცათამბჯენიდან გიგანტური ნეონის რეკლამა იყურებოდა. ხელოვნურ შუქზე მიწისკენ არეულ-დარეულად გარბოდნენ წვიმის ძაფები. ფანჯარასთან დავდექი და ქვევით ჩავიხედე - მომეჩვენა, რომ წვიმა მიწის ზედაპირის ერთსა და იმავე წერტილში მოხვედრას ცდილობდა.

საწოლზე დავეგდე და ზედიზედ ორი სიგარეტი მოვწიე. მერე ოტელის ადმინისტრატორს დავურეკე და ვთხოვე, სახვალიოდ ბილეთი დაეჯავშნა მატარებელზე. ამ ქალაქში მეტი არაფერი მესაქმებოდა... და მხოლოდ წვიმა ასხამდა და ასხამდა გვიან ღამემდე.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# პარიზის ავტოშოუს სიახლეები

მერაბ ლორთქიფანიძე





ტოიოტა აურისი


სუძუკი სპლაში

## ტოიოტა აურისი და იარის TS

ზუსტად ოთხი დეკადა გავიდა მას შემდეგ, რაც იმ დროს აღმავლობის გზაზე შემდგარმა იაპონურმა კომპანია "ტოიოტამ" ბაზარზე გამოუშვა კომპაქტური ავტომობილი სახელად "კოროლა". მაშინ მწარმოებელი ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს ავტომობილი ოდესმე ყველა დროის ყველაზე გაყიდვადი გახდებოდა.

ახლა სწორედ ასეა - ამ დროის განმავლობაში, იაპონურმა კომპანიამ, რომელიც მალე მსოფლიოს ლიდერობას ჩაიგდებს ხელთ, 35 მილიონზე მეტი "კოროლა" გამოუშვა. და, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალა, რომ მსოფლიოს ავტოინდუსტრიის ბესტსელერს ბაზრიდან წასვლის დრო დაუდგა. შესაძლოა, ეს ამბავი დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ პარიზის ავტოშოუზე "ტოიოტამ" საზოგადოებას წარუდგინა "კოროლას" შემცვლელი სახელად "აურისი".

სხვათაშორის, იმ დროს, როდესაც პარიზის ავტოშოუს დამთვალიერებელი "აურისს" ათვალიერებდა, "ტოიოტამ" ტოკიოში ჩაატარა ახალი, მეათე და ალბათ ბოლო თაობის "კოროლას" პრეზენტაცია. ეს, მეტად ულიმღამო დიზაინის მქონე ავტომობილი იაპონიის ბაზრისთვისაა განკუთვნილი, თუმცა არაა გამორიცხული, რომ მერმის ევროპაშიც გამოჩნდეს.

"ტოიოტას" მარკეტოლოგებს "კოროლას" შესაცვლელად (ევროპაში მაინც) სერიოზული არგუმენტები აქვთ. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ძველ კონტინენტზე ეს მოდელი მისთვის შესაფერისი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს. კერძოდ, წლის პირველ ნახევარში კომპანიამ მხოლოდ 90 453 ცალი "კოროლას" გაყიდვა შეძლო. ეს მაშინ, როცა ევროპის ბაზრის ლიდერმა "ფოლკსვაგენმა" 219 902 ცალ "გოლფს" მოუძებნა პატრონი. იაპონურ გიგანტს კი ამგვარი სიტუაცია არ აწყობს. რეზერვი აშკარად ჩანს და "ტოიოტამაც" მისი გამოყენება მოინდომა.

წარმოებისთვის მომზადებულ ჰეჩბეკ "აურისის" პრეზენტაციას იაპონური კომპანია დეკემბერში, ბოლონიის ავტოსალონზე შემოგვთავაზებს. ამ ავტომობილის გაყიდვები მერმის უნდა დაიწყოს, მას კი ევროპისთვის ცენტრალური ინგლისის ქალაქ ბარნესტონის ქარხანა გამოუშვებს. მოგვიანებით კი კომპანიის თურქული ქარხანა "აურისის" სედანისძარიანი ვარიანტის გამოშვებას დაიწყებს. საინტერესო ისაა, რომ სედანს ალბათ ისევ "კოროლა" დაერქმევა.

"აურისი" გარეგნობით ძლიერ ჰგავს "ტოიოტას" მოდელებიდან ევროპაში ყველაზე პოპულარულ მოდელ "იარისს". კომპანიას თავისი სიახლის ტექნიკური მახასიათებლები არ გამოუქვეყნებია. არადა, პარიზში ნაჩვენები მოდელი პრაქტიკულად წინასერიული კონცეპცია იყო. ასეა თუ ისე, "აურისს" უფრო ახლოს ბოლონიაში გაგვაცნობენ.

"აურისის" გარდა, "ტოიოტამ" პარიზში ჩაიტანა მეორე თაობის "იარისის" სპორტული მოდიფიკაცია ინდექსით TS. ამ ავტომობილს აგრესიულ გარეგნობაზევე ეტყობა, რომ მას სპორტული ნირი აქვს. ინტერიერიც სპორტულ სტილშია გაწყობილი - მეტი ასკეტიზმი, ალუმინით გაწყობილი პანელები და სპორტული სავარძლები. კაპოტქვეშ კი 1.8 ლიტრი მუშა მოცულობის, 130-ცხენისძალიანი ძრავია მოთავსებული. ამ აგრეგატის მთავარი თავისებურება ისაა, რომ მასში კომპიუტერი ავტომატურად, მუშაობის რეჟიმის შესაბამისად ცვლის გაზგამანაწილებლის ფაზებს (შეშვებისა და გამოშვების). სხვათაშორის, აღნიშნული სისტემის შექმნისას, "ტოიოტას" კონსტრუქტორებმა გამოიყენეს ფორმულა ერთის ძრავების შექმნისას დაგროვილი გამოცდილება.

ამ ძრავის მეშვეობით, "იარის TS" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 9.3 წამში ახერხებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 195 კმ/სთ-ია. გარდა ამისა, შერეული ციკლით მოძრაობისას, ავტომობილს 100 კილომეტრის გასავლელად სულ 5 ლიტრი ბენზინი ჰყოფნის, ყოველი კილომეტრის გავლისას კი გარემოში მხოლოდ 178 გრამ ნახშირორჟანგს (CO2) გამოყოფს.

## სუძუკი სპლაში

"სუძუკიმ" პარიზში საზოგადოებას წარუდგინა კონცეპტუალური ავტომობილი, რომელმაც მალე უნდა შეავსოს მისი სამოდელო გამა. ეს არის კომპაქტვენი "სპლაში" (შხეფი), რომელიც იმავე პლატფორმაზეა ბაზირებული, რომელსაც იყენებენ "სვიფტისა" და SX4-ის წარმოებისას.

იაპონური კომპანია აცხადებს, რომ "სპლაშის" კონცეპცია სხვადასხვა ქვეყნის მყიდველთა შენიშვნების და სურვილების შესაბამისად შემუშავდა. მცირე გაბარიტების მიუხედავად, ავტომობილი დიდი ოჯახებისთვისაა განკუთვნილი და იმავდროულად, სპორტული გარეგნობაც აქვს.

პარიზში ნაჩვენები "სპლაში" გამოირჩეოდა დიდი ზომის ერთგვარი ჟალუზებით დახურული რადიატორით, დიდი ზომის სამუხრუჭე ჰაერამღებებით (ლაყუჩებით), შუქდიოდოვანი წინა და უკანა მაშუქებით, 18-დუიმიანი ბორბლებით და ვიდეოკამერებით, რომლებიც ავტომობილზე უკანა ხედვის სარკეებს ცვლის.

პარიზული "სპლაში" აღჭურვილი იყო ბევრი ისეთი სისტემით, რომლებიც სერიულ ვარიანტზე მხოლოდ შეკვეთით თუ მოხვდება. მაგალითად, უსაფრთხოების მრავალგვარი ბალიში, უსაფრთხოების ღვედების წინასწარ დამჭიმავები, კრუიზ-კონტროლი და სხვა.

"სპლაში" აღჭურვილია 4-ცილინდრიანი, 1.2 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ძრავით, რომელსაც თითო ცილინდრზე 4 სარქველი აქვს (ორ-ორი შემშვები და გამომშვები). ძრავთან შეწყვილდება 4-საფეხურიანი მექანიკური, ან ავტომატური გადაცემათა კოლოფი.

"სუძუკი" აცხადებს, რომ "სპლაში" პირველი საცდელი მოდელია მომავლის იმ ავტომობილისა, რომელიც "მსოფლიოს ბევრ ბაზარზე და ბაზრის განსხვავებულ სექტორებში" გაიყიდება.

## ჰიუნდაი არნეზი და კია ს'იიდი

კორეული კომპანია არ მალავს, რომ მერმისიდან მსოფლიოს ბაზრის C-სეგმენტის "შტურმით აღებას" დაიწყებს. ამ შტურმის განსახორციელებლად კი მას მომზადებული აქვს ავტომობილი, რომელიც პარიზის ავტოშოუზე "არნეზის" სახელით წარსდგა.

ეს ავტომობილი პარიზისთვის "ჰიუნდაის" ევროპელმა კონსტრუქტორებმა მოამზადეს. ეს არცაა გასაკვირი, "არნეზი" პირველ რიგში, ევროპისთვისაა განკუთვნილი და მან "ძველი კონტინენტის" ბაზარზე უნდა შეავიწროვოს ისეთი აღიარებული ლიდერები, როგორებიცაა "ფოლკსვაგენ გოლფი", "ოპელ ასტრა", "პეჟო 307", "რენო მეგანი" და "ფორდ ფოკუსი". პარიზში ნაჩვენები "არნეზი" წინასერიული კონცეპტუალური მოდელია. სერიული ავტომობილის დებიუტი კი მერმის, ჟენევის ავტოსალონზე შედგება.

"ჰიუნდაის" სიახლე იმავე პლატფორმაზეა ბაზირებული, რომელსაც იყენებს მისი შვილობილი კომპანია "კიას" ჰეჩბეკი "ს'იიდი". ეს ორი ავტომობილი დიზაინითაც ჰგავს ერთმანეთს. ოღონდ, "არნეზი" უფრო თამამი და სპორტული გარეგნობით გამოირჩევა. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ჟენევაში ამ ავტომობილს სითამამეც და სპორტულობაც დაეკარგოს - როგორც წესი, მწარმოებლები ერიდებიან მეტისმეტ ექსტრავაგანტურობას.

წარმოების დაწყების პირველ ხანებში, "ჰიუნდაი" მყიდველს შესთავაზებს ხუთკარიანი ჰეჩბეკისა და უნივერსალის ძარიან "არნეზს". მოგვიანებით კი დაიწყებს იმავე პლატფორმაზე დამზადებული მინივენისა და კუპე-კაბრიოლეტის წარმოებას.

პარიზში ნაჩვენები "არნეზი" აღჭურვილი იყო უახლესი 2.2-ლიტრიანი ტურბოდიზელის აგრეგატით, რომლის სიმძლავრე 155 ცხენის ძალას აღწევს, მისი მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი 343 ნიუტონმეტრია. კორეული კომპანია აცხადებს, რომ ამ აგრეგატს სერიულ "არნეზზეც" გამოიყენებს.

პარიზშივე, "ჰიუნდაის" შვილობილმა კორეულმა კომპანია "კიამ" წარმოადგინა "არნეზის" ტყუპისცალი მოდელი "ს'იიდი", რომელიც პრაქტიკულად მზადაა წარმოებისთვის და მისი გაყიდვები "არნეზზე" ადრე დაიწყება. ამ უკანასკანელის მსგავსად, "ს'იიდიც" ხუთკარიანი ჰეჩბეკისა და უნივერსალის ძარებს მიიღებს. მისი სპორტული ვარიანტი კი სამკარიანი ჰეჩბეკი იქნება, ოდნავ განსხვავებული დიზაინით და გაბარიტებით. სერიული მოდელებისთვის განკუთვნილია ბენზინზე მომუშავე სამი და ერთიც ტურბოდიზელის აგრეგატი.

"კია ს'იიდის" დიზაინი კორეული კომპანიის რუსელჰაიმელი (გერმანია) სტილისტების მიერაა შემუშავებული. მისი წარმოება კი მალე დაიწყება სლოვაკეთის ქალაქ ზილინას ქარხანაში, რომლის აშენება "კიას" (ჰიუნდას) 1.5 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ამ ქარხნის ნომინალური სიმძლავრე წლიურად 300 000 ცალი ავტომობილია.

1.5 მილიარდი დოლარი დაჯდა "ჰიუნდაის" ნოსოვიცეს (ჩეხეთი) ქარხნის მშენებლობაც, რომელიც სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ, წლიურად 200 000 ცალ "არნეზს" გამოუშვებს.


ჰიუნდაი არნეზი


კია პრო ს'იიდი

# იტალიაში ახალი ტიპის ქარის ელექტროსადგურს იგონებენ

მერაბ ლორთქიფანიძე

პატარა იტალიურ კომპანია "სექვოია აუტომაციონის" ინჟინრებმა ქარის ელექტროგენერატორის ახალი სახეობა მოიგონეს. მათს გენერატორს "კიტიგენი" ჰქვია და ის ქარის ენერგიას ერთ სისტემაში მოქცეული, რამდენიმე პარაშუტის მსგავსი აფრის საშუალებით აგროვებს.

იტალიელი ინჟინრების თქმით, მათი ქმნილება აბსოლუტურად ეკოლოგიურია და ეფექტურობით თითქმის ტოლს არ უდებს ატომურ ელექტროსადგურებს. არადა, ის გასაოცრად მარტივია. მსგავსი პრინციპის გამოყენების მცდელობა არაერთ გამომგონებელს ჰქონია, თუმცა ქარის ასეთი ეფექტური დანადგარი ჯერ არავის შეუქმნია.

დანადგარს რამდენიმე ძირითადი ნაწილი აქვს. ერთი გენერატორია, რომლის უძრავ კორპუსზე დამაგრებულია დოლი. დოლზე სიმეტრიულადაა დამაგრებული გრძელი (დაახლოებით 50 მეტრის სიგრძის) ძელები, რომლებიც წრეშია განლაგებული. მათ ბოლოებში, ლითონის ბაგირებით გამობმულია მცირე ზომის, რამდენიმე (ორი-სამი) ქუდის მქონე პარაშუტის ფორმის აფრა.



მთლიანობაში დანადგარი "ჯაჭვების" ტიპის ამობრუნებულ საქანელას (კარუსელს) მოგვაგონებს. მასში ქარის ენერგიის შეგროვება "პარაშუტებით" ხდება, რომლებიც ბაგირებისა და ძელების მეშვეობით, მაბრუნ მომენტს ქმნიან და მას გენერატორს გადასცემენ.

პროექტის ავტორთა გაანგარიშებით, მათი დანადგარი სიძვირით არ გამოირჩევა, მარტივია და შედარებით მცირე ფართობიდან დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. დანადგარის სავარაუდო სიმძლავრე 0,5-5 გიგაგავატის ფარგლებშია.

რაც მთავარია, "კიტიგენის" მიერ მიღებული ელექტროენერგია სიიაფითაც გამოირჩევა. წინასწარი დაანგარიშებით, მის მიერ გიგავატი ელექტროენეგრიის გამომუშავების შემთხვევაში, ყოველი მეგავატი ენერგია დაახლოებით 1.5 ევრო ჯდება, როცა შესაბამისი რაოდენობით ელექტროენერგიის მიღებისას საშუალოევროპული ფასი დაახლოებით 30-ჯერ უფრო ძვირი ღირს.

შესაძლოა, პროექტი არარეალურად მოჩანს, მაგრამ მისით მაინც დაინტერესდა ტურინის კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელმაც საცდელი "კიტიგენის" შექმნის სურვილი გამოთქვა. ტურინელი ენერგეტიკოსები მზად არიან, თითქმის სანახევროდ დააფინანსონ საცდელი პროტოტიპის დამზადება.

"ერთი შეხედვით, ეს პროექტი შეიძლება მხოლოდ ღიმილს იწვევდეს, მაგრამ თუ დაკვირვებით შეაფასებთ მის შესაძლებლობებს, მაშინ ადვილად დარწმუნდებით, რომ იდეა მართლაც ღირს დამუშავებად და არც ტექნოლოგიაა მეტისმეტად ძვირი. ასე რომ, ჩვენ ამ პროექტში მონაწილეობას ვაპირებთ", - ამბობს ტურინის კომუნალური მეურნეობის ინჟინერი ანდრეა პონტა.

წინასწარი გათვლებით, 100 მეტრი დიამეტრის მქონე "კიტიგენს" ნახევარი გიგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია, მაგრამ თუ დოლის დიამეტრი 2000 მეტრამდე გაიზრდება, მაშინ დანადგარი 5 გიგავატი ენერგიის გენერირებას შეძლებს. სხვათაშორის, 100-მეტრიანი დანადგარის აგება სულ რაღაც 360 000 ევრო ჯდება.

უნდა ითქვას, რომ ახალი ტიპის ქარის ელექტროსადგურის იდეა სრულიად შემთხვევით გაჩნდა. "სექვოიასთვის" იღბლად, მისი კვლევისა და განვითარების შეფი მასიმო იპოლიტო დასვენების დღეებს ზღვის პირას, კაიტ-სერფინგით (ფრან სერფინგით) ერთობოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გართობის დროს მოუვიდა აზრად ქარის ენერგიის აფრებით (პარაშუტებით) დაჭერის იდეა და ბევრი ფიქრისა და მუშაობის შემდეგ, "კიტიგენის" შექმნამდე მივიდა. სანამ თავის ნააზრევს გარკვეულ კონდიციამდე მიიყვანდა, 6 წელი გავიდა. ამ პერიოდში კი მან 7 პატენტი აიღო.

ახლახანს, იპოლიტომ და მისმა გუნდმა იდეა პორტატულ დანადგარზე შეამოწმეს, რომელსაც ხელოვნური ქარით სპეციალური ძლიერი ვენტილატორი უზრუნველყოფდა. სახელდახელოდ შექმნილმა დანადგარმა სახელად "მობილგენ", ელექტროენერგია გამოიმუშავა.

ახლა ჯერი საცდელ პროტოტიპზეა და თუ მანაც იმუშავა, მაშინ იტალიას რეალური შანსი ექნება იმისა, რომ 2010 წლისთვის ქვეყნის ენერგეტიკაში განახლებადი ენერგიის წილი 22 პროცენტამდე აიყვანოს. ეს ის რაოდენობაა, რასაც აპენინელებს ევროკავშირი ავალდებულებს.

# 10 მილიონი დოლარი გენომის სწრაფი და იაფი გაშიფვრისთვის

კალიფორნიულმა ფონდმა X-პრაიზმა, რომელმაც ორი წლის წინ კოსმოსური პროექტების საქვეყნოდ ცნობილი კონკურსი ჩაატარა, ახალ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. გამოცხადდა ახალი კონკურსი, რომლის საპრიზო ფონდი კვლავ 10 მილიონი დოლარია და ის გადაეცემა იმ მონაწილეს, რომელიც ადამიანის გენური რუქის შედგენის იაფ და სწრაფ მეთოდს შეიმუშავებს.

თანამედროვე მეცნიერებმა უკვე შეძლეს ადამიანის გენომის სრული გაშიფვრა და გენების ზოგადი რუქაც შედგენილია. თუმცა, ახლანდელი მეთოდები მეტად ძვირადღირებულია და მათი გამოყენებით ადამიანის (პაციენტის) გენეტიკის შესწავლას დიდი დრო სჭირდება, რაც ამ მიღწევას ცხოვრებაში ნაკლებად გამოყენებადს ხდის.

ფონდ X-პრაიზის მიზანია, კონკურსანტებმა შეიმუშაონ მეთოდი, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელი გახდება ასი ადამიანის გენომის ათ დღეში გაშიფვრა. ძირითადი ჯილდოს გარდა, დაწესდა მილიონიანი ბონუსი მეცნიერთა გამარჯვებული ჯგუფისთვის, თუ ის დამატებით კიდევ ასი ადამიანის გენომის გაშიფვრას შეძლებს. ამ ადამიანებს შორის იქნებიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან "მაიკროსოფტის" ერთ-ერთი დამაარსებელი პოლ ალენი, "გუგლის" ერთ-ერთი დამაარსებელი ლარი პეიჯი და ცნობილი ტელეწამყვანი ლარი კინგი.

კონკურსის მიზანია, საფუძველი ჩაეყაროს პერსონალური გენომიკის ერას, რომლის დროსაც, მედიკოსები და ფარმაკოლოგები ადამიანების ინდივიდუალური გენომის შესაბამისად შეიმუშავებენ მკურნალობის მეთოდებს და დაამზადებენ წამლებს.

ადამიანის გენომის კვლევის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი ფრენსის კოლინსი ამბობს, რომ ახალი კონკურსი ხელს შეუწყობს ახალი, გაცილებით ზუსტი და ქმედითი სამკურნალო მეთოდების შემუშავებას, რითაც აუცილებლად იხეირებს კაცობრიობა. სხვათაშორის, კონკურსში მონაწილეობას კოლინსის ინსტიტუტიც მიიღებს.



შეგახსენებთ, რომ ფონდ X-პრაიზის ორგანიზებული იყო კოსმოსური აპარატების კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ისეთი საფრენი საშალებების შექმნა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა მინიმუმ სამი მგზავრის კოსმოსის ზღვარზე აყვანა.

ეს კონკურსი კოსმოსის კომერციალიზაციას, კოსმოსური ტურიზმის საფუძვლის ჩაყრას ითვალისწინებდა. ის ცნობილი ავიატორის, ბერტ რუტანის კომპანია "სქელდ კომპოზიტსის" მიერ შექმნილმა საფრენმა აპარატმა "სპეისშიპვანმა" მოიგო, რომელმაც კვირის განმავლობაში ორჯერ შეძლო კოსმოსის ზღვარზე (ასი კილომეტრი) ასვლა.

კონკურსის მოგების შემდეგ, რუტანთან პარტნიორული კონტრაქტი გააფორმა ცნობილმა ინგლსელმა მილიარდერმა სერ რიჩარდ ბრენსონმა, ვინც ახალი კომპანია "ვირჯინ გალაქტიკსი" ჩამოაყალიბა და რუტანს ახალი საფრენი აპარატი - "სპეისშიპთუ" შეუკვეთა. ბრენსონი იმედოვნებს, რომ მისი კომპანია პირველი შეასრულებს კომერციულ კოსმოსურ ფრენებს.

რაც შეხება ახალ კონკურსს, რომელსაც "არკონ გენომიკს X-პრაიზი" ეწოდა, მას გამოყენებით მეცნიერებაში გადატრიალების მოხდენა შეუძლია. კოლინსი იმედოვნებს, რომ რომელიმე კონკურსანტი ჯგუფი შეძლებს პრიზის მოგებას. არადა, მის ინსტიტუტს ათი წელი და 300 მილიონი დოლარი დასჭირდა იმისათვის, რომ პირველად გაეშიფრა ადამიანის გენომი. იმავე სამუშაოს შესასრულებლად გაცილებით ნაკლები, 9 თვე დასჭირდა კომპანია "სელერა გენომიკსს" და მის დამაარსებელ კრეიგ ვენტერს, რომელმაც ამისათვის 100 მილიონი დოლარი დახარჯა.

სხვათაშორის, ვენტერმა ნახევარი მილიონი დააწესა მეცნიერთა იმ ჯგუფისთვის, რომელიც მასზე მოკლე დროში შეძლებს გენომის გაშიფვრას. ახლა კი, როცა X-პრაიზმა ახალი კონკურსი წამოიწყო, მის მიერ დაწესებული ჯილდოც ამ კონურსის ორგანიზატორებს ჩააბარა.

მიჩნეულია, რომ ორი ადამიანის გენომი 99.9%-ით ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ესოდენ მცირე განსხვავებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ისინი ერთმანეთისგან გარეგნობით, ხასიათით და სხვა თვისებებით განსხვავდებოდნენ. გარდა ამისა, მათ სხვადასხვა დაავადებათა მიმართ განსხვავებული ბრძოლისუნარიანობაც ახასიათებთ. ეს კი იმის შედეგია, რომ მათს გენომში დნმ-ის (დეოქსირიბონუკლეინის მჟავა) გარკვეული ფრაგმენტები ერთმანეთზე სხვადასხვა მიმდევრობითაა მიბმული. გენომის გაშიფვრის სწრაფი და იაფი მეთოდის შემუშავების შემთხვევაში, ადამიანს დაბადებისთანავე შეუდგენენ გენურ რუქას, რომლის მიხედვითაც, სპეციალისტი შეძლებს იმის დადგენას, თუ ამათუიმ დაავადებათა მიმართ ორგანიზმს როგორი რესისტენტულობა შეიძლება გააჩნდეს და რომელი სენისადმი მიდრეკილება შეიძლება ჰქონდეს მას. ამასთან, ნებისმიერი დაავადების დროს შესაძლებელი იქნება იმ წამლის ზუსტად შერჩევა, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე კარგი სამკურნალო შედეგი შეიძლება ჰქონდეს.

კოსმოსურ კონკურსთან გენურს ის საერთო აქვს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად, მის მონაწილეებს იმაზე გაცილებით მეტი თანხის დახარჯვა მოუწევთ, რის აღებასაც მთავარი პრიზის მოგების შემთხვევაში შეძლებენ. თუმცა, კოლინსი ამბობს, რომ ბევრია ისეთი კომპანია, რომელსაც გენომის ავტომატურად გამშიფრავი მოწყობილობის შექმნა სურს. ეს მაშინ, როცა სიძვირის და სირთულის მიუხედავად, ამგვარ მოწყობილობათა მსოფლიოს ბაზრის ფინანსური მოცულობა მილიარდ დოლარს აღწევს. ჰოდა, მათი შემწეობით, კონკურსანტები შეძლებენ, მნიშვნელოვნად შეამცირონ ადამიანის გენომის გაშიფვრისთვის საჭირო დრო და ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ გენურ ინჟინერიაში მომუშავე მეცნიერების ვარაუდით, პრიზს ხუთი წლის განმავლობაში აუცილებლად გამოუჩნდება გამარჯვებული.

## კლუბები/რესტორნები/ბარები

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 23:00** ახალი DJ და დისკოთეკა. **მიმტანები:** ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV**;
**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70; +995 93 27 47 57);**
ავტოსადგომი უფასოა.

**დღეს**

**HALLOWEEN-Tony O' Malley** და ბენდი; ბილეთის **ფასი:** 50 ლარი;
**დასაწყისი: 22:00;**

**ბიზნესლანჩი: 11:00-დან 18:00-მდე** ორშაბათი-ხუთშაბათი. **პარასკევი/შაბათი/კვირა: 22:00** ცოცხალი მუსიკა; ქართული ესტრადის ვარსკვლავები და მოწვეული სტუმრები.
**მეტეხის 22;**
**ტ.: 77 13 68;**
**მობ.: 877 75 44 00**

**იხსნება: 16:00; ბიზნესლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე. ყოველ დღე: 23:00-დან 03:00-მდე** ცოცხალი მუსიკა **- ვლად არამოვი და მისი ჯგუფი;** შაბათობით: **ლათინოფართი მაესტრო მორისთან ერთად**(განახლებული პროგრამა), **დასაწყისი:** 22:00; მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვეთები კერძო წვეულებებისათვის.

დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.
**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

**დღეს**

**Deekline & Wizard feat MC IVORY; დასაწყისი:** 22:00, **ბილეთის ფასი:** 30 **ლარი.**



**იხსნება:** 20:00; **21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია**; მკაცრი "ფეისკონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება;**
**მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;**
საკუთარი ავტოსადგომი.

**ღიაა:** 09:00-დან 22:00-მდე **/ყოველდღე/;**
საუკეთესო **რესტორანი და ლუდსახარში "თაღლაურა"** გაგიმასპინძლდებათ უგემრიელესი კერძებით, **ლუდითა და ბურახით!** მტკვრის ნაპირას, უჩვეულო ადგილას, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან "ინტერიერში" გემოვნებით ჩასმული ეგზოტიკური გარემო, ერთმანეთში არეულ-შერწყმული ქალაქურ-სოფლური დიზაინით, სილაღეს გაგრძნობინებთ და საქეიფოდ განგაწყობთ. მობრძანდით, გელით!
**მტკვრის მარჯვენა სანაპირო /ვახუშტის ხიდის მიმდ. ტერიტორია/;**

**ღიაა:** 11:00-დან 23:00-მდე **/ღვინის მაღაზია/;**
**იხსნება:** 13:00 **/რესტორანი, ბარი/;**

**ღვინის მაღაზია, რესტორანი, ბარი** გთავაზობთ **12 ქარხნის** წარმოებულ **საუკეთესო ღვინოებს, არაყსა და სხვა ბრენდებს.** მსურველებს აქვე შეუძლიათ **უფასოდ დააჭაშნიკონ** გაყიდვაში არსებული ნებისმიერი სასმელი, **შეარჩიონ** და შეიძინონ სასურველი ღვინო ან სხვა პროდუქცია **უფრო იაფად,** ვიდრე მაღაზიაში. **მიიღონ** პროფესიონალი მეღვინეებისგან მათთვის საინტერესო **კვალიფიციური რჩევები.** გაეცნონ ღვინისა და ვაზის ისტორიას და გააცნონ ის უცხოელ სტუმრებს. **დაესწრონ** კლასიკური (ფრანგული) **შამპანიზაციის პროცესს** და თავი ჭეშმარიტად ღვინის სამყაროში იგრძნონ. აქვე გაუწიონ სტუმრებს სასურველი მასპინძლობა. ვაზისა და ღვინის თემატიკით გაჯერებულ ინტერიერში, ცოცხალი მუსიკის ფონზე **მიირთვან** საუკეთესო ქართული და ევროპული კერძები, რომელთა უმრავლესობა ღვინოშია მომზადებული. **აგრეთვე,** შეიძინონ წვეულებებისთვის მაღალი ხარისხის ჩამოსასხმელი ღვინოები: ევროპულად დამზადებული **რქაწითელი** - 2,5 ლარად (1 ლიტრი), **ჩინური თეთრი** - 3 ლარად, **პინო წითელი** - 5 ლარად, **საფერავი** - 10 ლარად და ფრანგული ტექნოლოგიით დამზადებული **შამპანური "კიუვე მარგო"** სამწლიანი დაძველებით - 25 ლარად. რესტორანი და ბარი მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.
**ლაღიძის 2 /ოპერასთან/;**
**ტ.: 98 95 84.**

**ღიაა:** 09:00-დან 24:00-მდე **/ყოველდღე/; ახალი კაფე** ყაზბეგზე. სადა და მყუდრო, წინ პატარა ტერასით. მრავალფეროვანი, **შერეული მენიუ** (წვნიანით დაწყებული,-დესერტით დამთავრებული) თქვენს ნებისმიერ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. აქ ზოგი **საფირმო პიცას - "კანაპეს" დასაგემოვნებლად მოდის** (7 პატარა მრგვალი პიცა ყველის, ლორისა და პიტნისაგან), ზოგი ბეკონის, ქათმისა და სოკოს **ტოსტებზე გიჟდება.** არც აქაურ **ხაჭაპურსა და ლობიანს ლორით** ელევა მსურველი.

ქათმის ფილე ბეკონით და ხბოს ხორცი სულგუნით ფიქრობთ არ მოგეწონებათ? აღარაფერს ვამბობთ **"ტირამიცუ"-**ზე და **"TIRAMISU WITH FRUITS"!** (რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ აქ არის და მალე ვაკეშიც იქნება) ცნობილი **იტალიური ყველით - მასკაპონე, რომით** გაჟღენთილი ბისკვიტით და **ნაღების კრემით.** ეს მხოლოდ ნამცხვარი არ არის, ეს კარგად გამომცხვარი იტალიური ხასიათია, რომელიც თანდათან თქვენში გადმოდის!
ყველაფერ ამასთან ერთად ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ფართო არჩევანი **და დიდი მოულოდნელობა** - პატარა დახლი ბიჟუტერიის მოყვარულთათვის (**საკონტაქტო ტელეფონი:** 877 49 99 69).

ყაზბეგის 7, ტ.: 898 15 85 21;
აბაშიძის 14, ტ.: 23 14 53;

## მაღაზიები

# მაღაზია N52

თუ თქვენ **გემოვნებიანი მყიდველი ხართ,** შეიძინეთ **ახალი ჯინსები** ახალ **"კიდობანში."** ჩვენ გთავაზობთ ქალის ჯინსის შარვლების, ქვედაბოლოების, ქურთუკების, კაბებისა და სხვა აქსესუარების **საუკეთესო არჩევანს.**
უკვე გაქვთ ერთი? მეტი? განა შეიძლება **ჯინსი იყოს იმაზე მეტი, ვიდრე გინდა რომ გქონდეს?!** რამდენიც არ უნდა იყიდო, რა მოდელიც არ უნდა მოირგო, მაინც ნახავ რაღაც ისეთს, რაც არ გაქვს და რაც **აუცილებლად მოგინდება.** ჯინსები ბევრია, არჩევანი გაცილებით ნაკლები. და თუ გადაწყვიტე, რომ კიდევ ერთი ახალი ჯინსი გჭირდება, **დაიმახსოვრე!** შენ მას აუცილებლად აარჩევ ჩვენთან. ჩვენ გვაქვს **ის, რაც შენ სულ გინდა...** იყიდე ოცნება, **დაიკმაყოფილე სურვილი!**
**ღიაა:** 10:00-დან 18:00-მდე **/ყოველდღე/;**
**ყურადღება! მიღებულია ახალი კოლექცია.**
**ცაბაძის 8,** ახალი **"კიდობანი,"**
**მე-3 სართული, მაღაზია N52;**
**ტ.: 899 49 87 11.**

**სუვენირები და საჩუქრები**

**ქართული ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის სახელოსნო.** ფოკის დედათა მონასტრის ტიხრული მინანქრის გალერეა. შემოგთავაზებთ ბიზანტიურ-ქართული ტრადიციული დიზაინით შესრულებულ მინანქარსა და ოქროს, ასევე ხეში ნაკვეთ საეკლესიო ნივთებსა და თანამედროვე საიუველირო ნაკეთობებს. აქვე შესაძლებელია შეკვეთა ნებისმიერ საეკლესიო და საიუველირო ნაწარმზე.

**ღიაა : 11:00-დან 19:00-მდე**
**კვირას: 12:00-დან 19:00-მდე**
**ბამბის რიგი 7**
**ტ.: (995 32) 97 60 51;**
**(995 32) 19 97 20**

## გალერეა/მუზეუმი

საქართველოს
ეროვნული მუზეუმი
თბილისის ისტორიის მუზეუმი
"ქარვასლა"

**შეგიძლიათ ნახოთ: 28.10.06**-დან **04.11.06**-მდე **პაატა ყუფარაძის** ნამუშევრების **პერსონალური გამოფენა.** დაიბადა თბილისში 1970 წელს. დაამთავრა ქ. თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი - ფაგოტის კლასი. 1988-1994 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის აუზის არქეოლოგიურ ექსპედიციაში არქიტექტორად. **ხშირად მონაწილეობს** სხვადასხვა **კონკურსებში. არის** რამდენიმე მათგანის **გამარჯვებული,** წიგნების **ილუსტრაციებისა** და **ყდის ავტორი.** 2003-2006 წ.წ. **ჰქონდა პერსონალური გამოფენები** /მათ შორის "ქარვასლაშიც"/.




მისი ნამუშევრები კოსმიურ-საკრალურ ინფორმაციას ატარებენ. რაც არა მხოლოდ ჩაგვაფიქრებს, არამედ, ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს, ენერგიას გვმატებს და ყოფიერებიდან უზენაესი ჭეშმარიტების შეცნობისაკენ მიგვაქანებს.
**იხსნება: 28 ოქტომბერს, 15:00 საათზე;**

**31.10.06**-დან **05.11.06-**მდე
**მემკვიდრეობის ფოტოგამოცდილების მე-11 საერთაშორისო კონკურსზე წარმოდგენილი 14-დან 21 წლამდე ასაკის მონაწილეთა ფოტო ნამუშევრების გამოფენა.**

ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობს ევროპის ყველა სახელმწიფო და მათ შორის საქართველოც.

მონაწილეებს ეძლევათ უნიკალური საშუალება, წარადგინონ საკუთარი ნამუშევრები მთელს ევროპაში. წარმოაჩინონ და გააცნონ სხვებს საკუთარი ქვეყნის კულტურა და ინდივიდუალურობა.

**იხსნება: 31 ოქტომბერს, 15:00 საათზე;**

**01.11.06-დან 05.11.06-მდე**
**ფოტოგამოფენა "ევროპელი არქიტექტორები თბილისში."**
**მაია მანიას პროექტი,** რომელიც მიზნად ისახავს, ფართო აუდიტორიას გააცნოს, თუ ვინ მისცა ჩვენს დედაქალაქს ევროპული იერი.
**ორგანიზატორები:** ევროკომისიის წარმომადგენლობა, გერმანიისა და პოლონეთის საელჩოები, ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

**სიონის ქ. 8;**
**ტ.: 92 32 27, 877 79 25 81, 893 39 24 94.**


**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო მაია კაპანაძე**
ინფორმაციისა და რეკლამის განსათავსებლად დარეკეთ:
☎ 899 95 57 67